140
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7
1967



# პიონერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 19 მაისი



ფოტო დავით იაკობაშვილისა





ეროვნული ბიბლიოთეკა

19 მაისი! — გაზაფხულის ამ ულამაზეს თვეს ზეიმობენ ჩვენი ქვეყნის პიონერები თავიანთ დიდ დღესასწაულს, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს! ამ ზეიმს დაერთო პიონერული რაზმეულების საკავშირო დათვალიერების დამთავრება: „იკაშკაშეთ, ლენინური ვარსკვლავებო“.

დაბადების 45-ე წლისთავს მიუძღვნეს საქართველოს პიონერებმა თავისი მეცხრე რესპუბლიკური შეკრება, რომელიც თბილისის ლენინის სახელობის მოედანზე მოეწყო. ტრადიციულ პიონერულ ხაზზე მოძმე რესპუბლიკიდან სტუმრად ჩამოსული პიონერებიც დადგნენ...

კოლონა კოლონას სცვლის, წინ მოუძღვიან პირველი პიონერები, ახლა უკვე გაჭაღარავებული ამაგდარი ადამიანები.

პიონერებმა განასახიერეს რევოლუციის დროინდელი ახალგაზრდობა: მეტყვიამფრქვევეები, მეზღვაურები, წითელარმიელები... აი, ჩაპაევის „ტაჩანკაც“!

ზეიმის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

დასასრულს იპოდრომთან აგიზგიზდა მეგობრობის დიდი კოცონი, ეს მარად უქრობი სიმბოლო პიონერული ხალისიანი ცხოვრებისა.

10.379.

# 45





[illegible]

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის [illegible] პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

7 · ივლისი · 1967

გამოცემის XXXXI წელი

რევაზ ჯაფარიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე



# ჯიმარაის ტუსაღები

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ღამე ფასანაურში გავათიეთ. ავტობუსი მაშინვე უკან გაბრუნდა. მომდევნო დილას მაშველი ჯგუფის ბიჭები უნდა ამოეყვანა კობში. ამ დროისათვის ჩვენ უკვე ღრმად ვიქნებოდით შესული თრუსოს ხეობაში. იქ ხიდი უნდა მოგვენახა, თერგი გადაგვევლო და მერე მნის ვიწრო ხეობას რიყე-რიყე ავყოლოდით, ვიდრე წყალი მთლად არ დაწდებოდა და ფეხს მორენაზე არ დავდგამდით.

მწვერვალი ჯიმარაი-ჰოხი იქიდან უკვე შორს აღარ იყო. მაშველი ჯგუფი სწორედ მთის ძირში წამოგვეწეოდა და კარვებს იქ დასცემდა. მწვერვალის მომავალი დამპყრობები ღამეს ძია შიოს მიერ წინასწარ შეგულვებულ გამოქვაბულში ან კარვებში გავათევდით და მხოლოდ მესამე დღეს, გამთენიის ჟამს, გავიდოდით სალაშქროდ.

ნეტა რამდენმა დრომ უნდა გაიაროს, მე რომ ეს ამბავი დამავიწყდეს. განსაცდელი სხვაც ბევრი შემხვედრია. ის მაინც სულ სხვა ჯურისა იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ სხვისი სიცოცხლის გამო ზრუნვა ერთადერთი გზა იქნებოდა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. არ ვიცოდი და პირველად იქ შევიტყე. შეტყობით სხვამაც შეიტყო, ოღონდ ძალიან გვიან, როცა ყველაფერი უკვე დამთავრდა, როცა ბედის ბორბლის უკან შემობრუნება უკვე აღარ შეიძლებოდა.

დედებმა ალპური კლუბის ეზომდე მოგვდიეს. იქ ჭიშკარი ჩავკეტეთ და, ვითომდა ხუმრობით, ეზოში არავინ შემოვუშვით. დედებს შორის მხოლოდ მერაბის დედა — დეიდა მაკო არ ჩანდა. დეიდა მაკოს ალპურ კლუბში მაშინაც იშვიათად დაინახავდი, როცა მერაბი შორეულ ლაშქრობაში უმამოდ მიემგზავრებოდა. ახლა, რაკი მამამისი, ძია შიო, ჩვენთან იყო, გული, ალბათ, საგულეს ჰქონდა. დეიდა მაკო თავადაც მთასვლელი იყო. მწვერვალებზე უკვე აღარ დადიოდა. მის უფროს ძმას, მერაბს, ვისი სახელიც ახლა ჩვენს მერაბს ერქვა, შხელდაზე მოსწეოდა სიკვდილი სულ უბრალო ფათერაკის დროს. თავს დატეხილ უბედურებას ქალი ისე გაეკერპებინა, ხელის შეშლის მაგიერ, შვილს აქეთ აქეზებდა და ულმობელ ბუნებას ამით თითქოს სამაგიეროს უხდიდა. მერაბს შევნატროდით. შესძლებდა კი თავისი მუდამ თავშეკავებული დედის სანუკვარი ოცნების განხორციელებას? შესახედავად სუსტი ბიჭი იყო, ფერმკრთალი, საშუალო ტანისა. თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ღონით თანატოლები ბევრი ვჯობდით. მერაბთან წაკინკლავებას, ჯერ კიდევ უმცროს კლასებში, მაინც ყველა ერიდებოდა. თვალწინ თუნდ გალესილი ხანჯალი აგექნია, წარბს ვერ შეახრევინებდი. ისე მშვიდად შემოგხედავდა, მარტო ამ სიმშვიდეს ვერ გაუძლებდი და ნება-უნებლიედ უკან დაიხევდი.

დაც ასევე უკარება ჰყავდა. ეტყობოდა, ფრიალო კლდეებზე ცოცვას ჩვეული ძია შიო და დეიდა მაკო შვილებს ძალიან მკაცრად ზრდიდნენ.

ციცო, იგივე ციცინო, მერაბის ერთადერთი და, ორი წლით უკან სწავლობდა. ხნოვანებით პატარა იყო, მაგრამ უკვე ქალიშვილობდა და ახლო ამხანაგებიც სულ უფროსკლასელებისაგან აერჩია. ეს თმაშეკრეჭილი, გამხდარი, მაღალკანჭებიანი გოგო დიდ დასვენებაზე მოგვაკითხავდა ხოლმე კლასში. ნეტავი იმ ბიჭს, ვისაც ციცო გაუღიმებდა და თავისი მეგობრობის ღირსად გახდიდა...

ცოდვა გამხელილი ჯობს: ეს ნატვრა სხვასაც ბევრს ჩავარდნოდა გულში. ციცოს მიმართ გულგრილი არც კოტე ვეშაპელი უნდა ყოფილიყო. კოტე-დაგვაჯული, ჯგუფში ასე ვეძახოდით ჩაფსკვნილი ტანის გამო, პატარაობიდანვე ვარჯიშობდა. სიმძიმეებს სწევდა. სიმძიმეების აწევამ და გამუდმებულმა ვარჯიშმა გულმკერდი, მხარბეჭი და მკლავები არაბუნებრივად განუვითარა. სავარჯიშო მოედანზე გამოსული კოტე წვეტით თავდაღმა დასობილ სამკუთხედს ჰგავდა. ბეჭები — ფართო, კუნთოვანი, მკლავები — მსხვილი და აქეთ-იქით გამობერილი, ქვემოთ — შედარებით ვიწრო მენჯი და უფრო ქვევით — კოჭდაბალი, ღვლარჭნილი ფეხები...

მთამსვლელთა სექციაში მერაბის ჯიბრზე ჩაეწერა. მერაბს სკოლაშიც და ალპურ კლუბშიც უკვე დახელოვნებულ მთამსვლელად თვლიდნენ და კოტემ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აქაც დაესაკუთრებინა პირველი ადგილი. ორ თუ სამ მწვერვალზე უკვე იყო ნამყოფი, ახლა კი ჩვენთან ერთად ჯიმარაის დასაპყრობად აეკრა გუდა-ნაბადი...

შუაღამისას სიცივემ გამომაღვიძა. აგვისტოში ეს იშვიათად ხდება ხოლმე. საძილე ტომარა გულდაგულ შევიკარი და, თუმცა უკვე აღარ მეძინებოდა, თვალები დავხუჭე.

ძია შიო წინდახედულად მოიქცა. ინტურისტის ახლადაშენებულ სასტუმროს სათოფეზეც არ მიგვაკარა. ფასანაურში ცისქვეშ ძილი ღამის გათევაც იყო და ვარჯიშიც...

სკოლიდან, მართალია, სპორტული სექციების საერთო ხელმძღვანელი გერა ახვლედიანი გვახლდა, მაგრამ ჯერ ისიც ჩვენებრ საულვაშეამწვანებული ნედლი ბიჭი იყო, თუმცა ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი ორი წლის წინათ ჰქონდა მიღებული. ნამდვილ ხელმძღვანელად ბიჭები ძია შიოს ვთვლიდით. თვით გერაც ხალისით ემორჩილებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიოს ლმობიერ განკარგულებებს. ეს უსათუოდ კარგი ადამიანობით მოსდიოდა თორემ მის ადგილზე სხვა, აქაოდა, უფროსად მე დამნიშნესო, ყველას დაიჯაბნებდა, თვითნებობას დაიწყებდა და საქმესაც, რასაკვირველია, გააფუჭებდა. მწვერვალზე ასვლის დროს კი ხიფათს ძებნა არ უნდა. თუ გონიერება არ გამოიჩინე, თავად მოგაკითხავს. კლდეზე თოკით რომ დაეკიდები და უფსკრულში გადმოიხედავ, ვისიმე უფროსობა, შენი თუ სხვისა, იქნებ სიცილადაც არ გეყოს. საუფროსოდ გცხელა? შუაზე გაპობილ მყინვარს ხახა დაუფჩენია და ერთი სული აქვს, როდის გადავსანსლავო. თუ სიცოცხლე გწყურია და შინ მშვიდობით დაბრუნება გსურს, გიჯობს, ამხანაგზე იფიქრო და მის საშველად სულიც არ დაიშურო. იცოდე, მწვერვალზე ასვლისას ყველაფერი, რაც ირგვლივაა, შენი მოსისხლე მტერია, მხოლოდ თანამგზავრია მეგობარი და ძლიერსა და საშიშ მტერს შეერთებული ძალით უნდა მოერიოთ.

ამას ისე ბრძნულად ვქადაგებ, თითქოს დიდი ჭირვარამის გადამტანი ვინმე ვიყო. ნუ ჩამომართმევთ ყოყოჩობად. ზოგი რამ მეც მინახავს, საკუთარ ტყავზე გამომიცდია, ზოგიც სხვებისაგან მსმენია და, თუ შემიძლია საზრიანი რჩევით ვისმე გამოვადგე, პირში წყალი რისთვის ჩავიგუბო?

გერა ხელმძღვანელის წვიტინა ხმამ თვალები დამაჭყეტინა. არწივებო, ადგომის დროა, გაიღვიძეთო. მეგონა, საძილე ტომრიდან პირველი ამოვძვერი. ბიჭები ფეხზე იცვამდნენ, ზოგს უკვე ჩაეცვა და პირის დასაბანად არაგვზე მირბოდა. სუფთა ჰაერზე ძილს და ადრიანად ადგომას ყველა გაეხალისებინა — ისე მოურიდებლად ჭიხვინებდნენ, თითქოს აქ ჩვენს მეტი სხვა არავინ ყოფილიყოს. ორ მახლობელ სახლში სინათლე აინთო. ღია ფანჯარაში ვიღაც თეთრთავიანმა ბერიკაცმა გამოიხედა, გვიყურა, გვიყურა, მერე, ალბათ, მიხვდა, ვინც ვიქნებოდით, ხელი ჩაიქნია, ისევ მიიმალა და ფანჯარა მოხურა.

—ჩუმად, ეი, ხომ არ გინდათ, ხალხი გადარიოთ! — მოისმა სადღაც უკან გერას წვიტინა ხმა, — ვინც იხმაურებს, მჟავე წყალს არ დავალევინებ!

—სად არის მჟავე წყალი? — ჰკითხეს გერას.

—გწყურიათ? — გაიოცა ახალგაზრდა მასწავლებელმა. დავაჟკაცებულ მოწაფეებში მთლად პატარა ბიჭივით რომ ჩანდა, — ვინ ჭამა წუხელ ხაჭაპური?

—კონსერვმა მოგვაწყურა.

—სუ, ყურადღება! ძია შიოს ლაპარაკი უნდა.

—მჟავე წყალი დაგვალევინოს.

—სიჩუმე! გადავივლით ჯვრის უღელტეხილს და დავლევთ. სიტყვას იღებს ბატონი შიო. ბატონო შიო!

ტყრუშული ღობის ძირას ქვაზე ჩამომჯდარი ძია შიო იქვე დაყუნცულ კოტე ვეშაპელს ხალთის მორღვეულ სამხრეულს უმაგრებდა. გერას ხმის გაგონებისთანავე ის ზეზე წამოდგა და მთასვლელის მძიმე, მოზომილი ნაბიჯით ჩვენკენ წამოვიდა.

—ყველა უკვე შევიკრიბეთ?

—დაეწყვეთ ორმწკრივად! — ბრძანა გერამ, — ცოცხლად! ეს ვინ მოდის?

—ვაჟა, გამოიქეცი! — ერთად დაიძახა რამდენიმე ხმამ.

—თენგიზი მანდ არის? — ქლოშინ-ქლოშინით მოატანა დაგვიანებულმა.

—მე რა ხანია მოვედი. რას უცდიდი, ვეღარ დაიბანე?

—საპონი ჩამივარდა.

—ყოჩაღ! თავად ხომ გადარჩი?

ბიჭებმა სიცილი ატეხეს.

—ყურადღება! — ხმამაღლა დაიძახა გერამ და წყვილები სასწრაფოდ გადათვალა. —ყველა აქ არის. სწორდით!

— დაანებე თავი, გერა, თავისუფლად იდგნენ, — თქვა ძია შიომ, — ყველას გესმით ჩემი ხმა? ყური დამიგდეთ. გამეორება ცოდნის დედა არისო, ძველ რომაელებს უთქვამთ. მოკლედ გაგიმეორებთ, როგორია ჩვენი დღევანდელი ამოცანა. მე მგონი, ზედმეტი არ იქნება.

— შეიძლება, ერთი წინადადება? — თენგიზმა ხელი ასწია.

— ახლა გვიანია, თენგიზ, წინადადების წამოყენება. ლაშქრობის გეგმა ხომ ათი დღის წინათ შევადგინეთ. გეგმაში ყველა წვრილმანი გათვალისწინებულია. ენერგიას უნდა გავუფრთხილდეთ. წინ, სანამ მწვერვალს მივადგებოდეთ, ძნელი და გრძელი გზა გვიდევს. აქედან კობამდე ოცდახუთი კილომეტრია.

— რატომ ოცდარვა არა? — დააზუსტა კოტე ვეშაპელმა.

— ახლა პირველსავე გამვლელ მანქანაზე დავსხდებით და საათნახევრის შემდეგ კობში ამოვყოფთ თავს, — დინჯად განაგრძო ძია შიომ, — კობიდან მორენის ბოლომდე, დაიხსომეთ, ოცდაათი-ოცდათორმეტი კილომეტრია. სიარული მოგვიწევს რიყეზე. ამას გარდა, ყინულივით ცივ წყალში რამდენჯერმე გადასვლა და გადმოსვლა მოგვიხდება.

— მანქანები იგვიანებენ, როდემდე ვუცადოთ! — ისევ მოაწვდინა ხმა თავისი სიდაბლის გამო მწყობრის მარცხენა კიდეში მოქცეულმა კოტე ვეშაპელმა.

— გაჩნდება რამე. არ შეიძლება, არ გაჩნდეს. სამხედრო გზაზე ამ დროს მანქანებს რა გამოლევს, ისიც დილაადრიან.

— მოეცათ ის ავტობუსი, რა იქნებოდა, შევუჭამდით?

— ეგ პატივცემულ გერას ვკითხოთ. რაკი ვერ მოგვცეს, მაშასადამე, არ იყო მეტი საშუალება. მაშველი ჯგუფიც ხომ უნდა მოვიდეს ადგილზე. იმათ ჩვენზე მეტი ბარგი აქვთ. ახლა რას გთხოვდით: დავსხდეთ ყველა ერთად, ერთმანეთს ნუ დავშორდებით. სუ, მგონი, გვიახლოვდება რაღაცა!

სული გავნაბეთ და სმენად ვიქეცით. მანქანების კოლონის გუგუნი ქინვალის მხრიდან ძლივს აღწევდა. გუგუნი მერე თანდათანობით მიწყდა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— გუდამაყრის ხეობაში შეუხვიეს, — თქვა ძია შიომ, — უკვე აღარ გვეგვიანება. ახლა მლეთაში მაინც უნდა ვიყოთ.

მოტორების გუგუნი უფრო ხშირად და ხშირად ისმოდა, მაგრამ მანქანები, თითქო ჯიბრზე, ან ფასანაურის შემოსასვლელშივე ჩერდებოდნენ, ან ხიდს გადადიოდნენ და გუდმაყრის იწროებში განაგრძობდნენ გზას.

ამასობაში კიდევაც ირიჟრაჟა. თვალწინ აყუდებულ მთებს დაკბილული თხემები გამოუჩნდა. ფოთლოვანი ტყის ზონის ზემოთ რიჟრაჟის გამჭვირვალე ნისლში თვლემდნენ ლურჯი საჯიხვეები. იქ, მიწასა და ცას შორის, საზღვარი თითქოს წაშლილიყო და მოტიტვლებული ფრიალო კლდეები სამყაროს უსასრულობას უერთდებოდნენ.

არ ვიცი, სხვებიც აღტაცებული მუნჯდებიან თუ არა მთების დანახვისას. მთებს და ამ საკვირველ დილას უთუოდ რაღაც ჯადო აქვთ. აბა, ვინ მოახერხებს ბუნების მიუწვდომელი სიმშვენიერის სრულყოფილ აღწერას, ვის ხელსა და გულს დაემორჩილება ეს უცხო სილამაზე, რომელიც ყოველდღე, ყოველ წუთს და ყოველ წამს სხვადასხვანაირია და მაინც ერთნაირი...

2.

ორჯონიკიძეში მიმავალი სატვირთო მანქანის შოფერი ნასვამი თუ უძილარი იყო. მანქანას დაუდევრად მიაქანებდა და მოსახვევებში ისე მკვეთრად უხვევდა, მუხრუჭები კივილს იწყებდნენ. ძარაზე შეჯგუფებული ვისხედით და წამდაუწუმ ერთმანეთს ვეხლებოდით.

— გადაგვყრის ეს გადარეული! — სერიოზული სახით თქვა ვაჟამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია შიო კაბინაში უზის, — დაამშვიდა მეგობარი თენგიზმა, — თუ შეატყო, საქმე ცუდად არის, ხელადვე გადაჯდება შოფრის ადგილზე.

ამ დროს მანქანა ისე საშინლად შეინჯღრა, აღარავის ეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდით. მხოლოდ წამის შემდეგ გამოირკვა, რომ საშიშროება გადატანილი იყო. აღმართში გაოჩნებული მანქანა უკვე პირველი თუ მეორე სიჩქარით მილასლასებდა.

— რა მოხდა? — იკითხეს ჩემს ზურგსუკან.

— მარჯვენა საბურავი ქვაზე შედგა, — თქვა ძარის ფერდზე ცალი ხელით დაყრდნობილმა გერამ, თან მთის კალთაზე დაკლაკნილ გზას თვალს არ აშორებდა, — ახალი ჩამოვარდნილი ქვა იყო.

— ეს რა სოფელია?

— ქვეშეთი.

— ჯვრის უღელტეხილი უკვე დაიწყო?

— ცოტა ზემოთ იწყება.

— მლეთა ხომ გავიარეთ?

— ვერ ხედავ, ჯერ ქვეშეთიც არ გაგვივლია!

მლეთაში შოფერმა მანქანა შეაჩერა, ძირს ჩავიდა, საბურავზე მკვირცხლად შემოდგა და დაჭეჭყილი ვედრო დაითრია.

— ვის სწყურია? დალიოს წყალი! — გამოაცხადა გერამ, — ოღონდ, იცოდეთ, ბევრს ნუ დალევთ, ოფლად დაიღვრებით.

ადგილიდან არავინ დაძრულა. მე ნახევრად ხუმრობის კილოზე მინდოდა მეთქვა, ჩავიდეთ და სხვა მანქანას მოვუცადოთ, თორემ ეს დამთხვეული შოფერი მართლა ფათერაკს გადაგვკიდებს მეთქი. კიდევ კარგი, არა ვთქვი. უცებ ყურადღება მივაქციე იმას, რომ, როდესაც შოფერმა რადიატორს ხუფი დაახრახნა და დაჭეჭყილი ვედრო ძარაზე ამოგვაწოდა, კაბინას მარჯვენა მხრიდან მიადგა და იქ დაჯდა, სადაც რამდენიმე წუთის წინ ძია შიო იჯდა.

— ვაშააა! — ერთხმად აღრიალდნენ ბიჭები და მეც, რაღა თქმა უნდა, იგივე მოვიმოქმედე, — ვაშა, ვაშა, ვაშააა...

მანქანამ მსუბუქად გადაიარა უფსკრულზე გადებული ძველისძველი ხიდი, სიჩქარე შეცვალა და აღმართს მხნედ შეუდგა.



— ზოგი უჭკუო მანქანას დაუწყებს ძაგებას, — ყველას გასაგონად თქვა გერა ხელმძღვანელმა. იგი შუა ძარაზე არხეინად იდგა და შუბლშეკრული იყურებოდა, — მანქანამ რა ქნას! დამოკიდებულია, ვის მიყავს...

— ძია შიო პირველი კლასის შოფერია.

— მეც მაგას ვამბობ. აბა, ტაქსზე ვინ დასვამდა!

— ომის დროს ამერიკულ ვილისზე იჯდა, არმიის სარდალი დაჰყავდა.

ეს ყველამ ვიცოდით. გერასაც გაგონილი ჰქონდა, სიტყვა აღარ გაუგრძელებია.

გუდაურში. შეგვიანებულ თუ ძალზე ადრე წამოსულ მგზავრებს ავუსწარით. წყაროსთან დიდი ცეცხლი დაენთოთ და ღამეც იქვე გაეთიათ. ჭუჭყიანი ბრეზენტით გადახურულ მანქანებს რთვილი დასდებოდა. მთელი ღამის სიცივით მობუზულ მგზავრთაგან ზოგი პირს იბანდა, ზოგი ცეცხლს მისჯდომოდა და გამგზავრების წინ გუნებიერად ეფიცხებოდა.

— ბიჭებო, ცხვრის ფარას ხედავთ? — დაიძახა ვიღაცამ ძარაზე.

— სად? — უმალ ყურები ვცქვიტე და აქეთ-იქით ცქერა დავიწყე.

— გაღმა, გაღმა, იმ ლურჯი კლდის ზემოთ. ხედავთ? ქორი მოფრინავს. კლდის წვერს ჩრდილმა გადაუარა.

მთის ბროლივით გამჭვირვალე სივრცეში ქორს თვალი გავადევნე, შემდეგ მოფარფატე ჩრდილიც ვიპოვნე მწვანეზე და ცხვრის ფარაც დავინახე. ფარა აქედან ცერად დაქანებულ მწვანე ფერდობზე გაბნეულ ლოდებს ჰგავდა. ბოლოს, ძლივსძლივობით გავარჩიე, რომ ფარა მოძრაობდა და, ალბათ, დასარწყულებლად თოვლის ზოლისაკენ მიიწევდა, სადაც ახლადამოწვერილი მზის შუქზე წყარო ბრწყინავდა.

მანქანა საგზაო რესტორნის წინ შეჩერდა. ვაჟა და თენგიზი ძირს პირველნი ჩახტნენ და მაშინვე სამზარეულოს მიაშურეს. ერთიცა და მეორეც ჯერ კიდევ ფასანაურში აპირებდა სამწვადე ხორცის ყიდვას. ძია შიომ არა ჰქნა. მთაში სამწვადე ხორცის წაღება მართლაც ამაო გარჯა იყო. ცეცხლის დასანთებად გზაში შეშას ვერ იშოვნიდი. ალპური ზონის ზემოთ, ხრიოკ კლდეებში, ხომ ბალახიც არ ხარობს.

რესტორანი თუ სასადილო, რომელსაც ერთი დაბალჭერიანი ოთახი ეკავა ოთხივე მხრივ ბოლით შემჭვარტლულ ქვიტკირის მომცრო სახლში, ბელტისოდენა შავი ბოქლომით იყო დაკეტილი. დერეფანში ერთიმეორეზე შეელაგებინათ თბილისიდან ამოტანილი ლუდის ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთები.

ვაჟა და თენგიზი კუდამოძუებული დაბრუნდნენ. სამზარეულოში მხოლოდ ჭურჭლის მრეცხავი დახვედროდათ. ორისამი სიტყვა ძლივს გაემეტებინა. ვიდრე გამგე არ ამოვა ყაზბეგიდან, ვერავინ ვერაფერს გეტყვითო, ხორცი შეიძლება ამოიტანოს, მაგრამ ყოველთვის ისე ცოტა ამოაქვს, რომ კერძის გასაკეთებლად ძლივსა ვკმარობთ და ამდენი ხალხის სამყოფი რა უნდა გაგატანოთო.

— რაო, რაო? — სად იყო და სად არა, უცებ კოტე ვეშაპელმა წამოჰყო თავი, ჯიბეებიანი ხალთა, რომლსაც სამხრეული ისევ მორღვეოდა, დერეფნის სვეტზე გარედან მოაყუდა და თავისებური დამცინავი ღიმილით თქვა, — მე დამალაპარაკეთ!

თენგიზი ისედაც ამრეზილი იყო, წადილი რომ ვერ აისრულა და კოტეს აგდებულად მიუგო:

— შენ სხვანაირი ლაპარაკი იცი?

— თუ არ ვიცი, ნახავ! — ვეშაპელი ჯერ ისევ იღიმებოდა, — სად არის?

თენგიზმა პასუხი აღარ გასცა, მხოლოდ ზურგი შეაქცია. ამაყსა და თავდაჯერებულ კოტეს ეს ამბავი, რასაკვირველია,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭკუაში არ დაუჯდა, თუმცა უკვე მეორე კურსის სტუდენტ თენგიზზე მთელი სამი ოთხი წლით უმცროსი იყო. ამას იმწამსვე მივხვდი, როგორც კი სახეზე შევხედე.

— წამომყვეს ვინმე, — წყენა ვითომ არ შეიმჩნია და კვლავ მიმართა თენგიზს, — მარტო ვერ მივაგნებ.

— თუ სხვამ მიაგნო?

სამზარეულოდან კოტეც ხელცარიელი გამობრუნდა. თენგიზმა მოიხედა და ჩაიცინა:

— აკი სხვანაირი ლაპარაკი ვიციო?

— შენზე უკეთესი, ბიჭო, ლაპარაკიც ვიცი და...

— შედეგს ვერ ვხედავ!

ეს კი ნამდვილად მეტისმეტი იყო. თუ თენგიზი ჭკუას არ მოიხმარდა და ენას მუცელში არ ჩაიგდებდა, ეს პატარა შელაპარაკება უჩხუბრად არ დამთავრდებოდა. არადა, რა იყო საჩხუბარი! გზას ვადექით. ახლა ჩხუბისა და აყალმაყალის დრო გვქონდა? თვალი მანქანისაკენ გავაპარე. ძია შიო ისევ კაბინაში იჯდა. ლაპარაკის ეშხში შესულ ყბედ შოფერს მკლავში ჩაევლო ხელი და არ უშვებდა. რამდენი დამთხვეული და ჭკუათხელი ჰყავს დალოცვილ ღმერთს! ძია შიოს ახლა სწორედ მისი გრძელ-გრძელი ლათაიების მოსასმენად სცალოდა!

ჩხუბი თითქმის გარდუვალი იყო, ყველასათვის მოულოდნელად მერაბს რომ არ გამოეჩინა ფხა. თენგიზის ჭკუის სასწავლებლად დაძრულ ვეშაპელს ის წინ უსიტყვოდ დაუდგა და თვალი თვალში გაუყარა. მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: დაგვაჯულმა მუშტები შარვლის ჯიბეებში ჩაიჩურთა და მერაბს თვალი აარიდა. მისი შემოვლა ან გზიდან მოცილება არც კი უცდია, თუმცა ეს ადვილზე ადვილი საქმე იყო...

ამ დროს შემოგვიერთდა სწორედ ძია შიოც და მაშინვე ჯერა მოიკითხა. იმით ნაწყენი გერა ხელმძღვანელი, რომ ვეშაპელმა მისი ხათრი არ მოიდო.და თენგიზის გალახვა მოინდომა, ძია შიოსაკენ შემობრუნდა.

— რა ვქნათ, დაგვუცადოთ აქ თუ წავიდეთ? — ჰკითხა ძია შიომ.

— როგორც იტყვით, — უგუნებოდ მიუგო მან, — მე თუ მკითხავთ, მოცდას ვამჯობინებდი.

— რომ ასიცხდება? — ძია შიომ გატრუსულ ჩალისფერ თმაზე დაძარღვული ხელი გადაისვა და ძირს დაიხედა, —ეს ხალთა ვისია?

ყველამ კოტეს გავხედეთ. ის დერეფნის განაპირა სვეტს იქით იდგა და ყურადღების ღირსადაც აღარ გვთვლიდა.

— წაეჩხუბა ვისმე? — ძია შიომ ჩვენ მოგვმართა.

პასუხი არავის გაგვიცია. ბოლოს ისევ გერამ თქვა:

— ეგ და თენგიზი წაკინკლავდნენ.

— როდის? — გაიკვირვა ძია შიომ, — რატომ მე ვერაფერი გავიგე? მოდი აქ კოტე!

„თუ ძია შიომ ვერ მოითმინა და მეორედ დაუძახა, გათავებულია —კოტე ადგილიდან არ დაიძვრის!“ — გამიელვა და მოუთმენელმა მოლოდინმა შემიპყრო. ძია შიოს აზრადაც არ მოსვლია მეორედ დაძახება. ის გამოცდილი მეთაურის მოთმინებით ელოდა თავისი ბრძანების შესრულებას. დაძაბულობა მხოლოდ ორ-სამ წამს გაგრძელდა. სულ რამდენიმე წუთის წინ ისე საშიში კოტე ვეშაპელი მობრუნდა და თავჩაღუნული ძია შიოსკენ წამოვიდა.

ძია შიოს შეუვალმა ძალაუფლებამ აღტაცება მოგვგვარა. ხარივით ჯიუტი კოტე ვეშაპელის დამორჩილება და მოკუნტვა განა ადვილი საქმე იყო. ძია შიო გრძნობდა საკუთარ ძალას და ამით ეს ძალა ერთიორად იზრდებოდა.

— თენგიზი სად წავიდა? — შორიახლო გაჩერებულ ვეშაპელს ზედაც არ შეხედა და ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა, — რომელმა დაიწყეთ ჩხუბი? — ხევისბერის სიმკაცრით ჰკითხა სირცხვილისაგან ნირწამხდარ თენგიზს, როცა ის წინ გამოვიდა, — პატივცემულო გერა, რომელმა დაიწყო ჩხუბი?

— ორივე დამნაშავეა, ბატონო შიო. თუ ასე გაგრძელდა, ჯობს, უკან დავბრუნდეთ. სად უნდა გავამხილოთ ეს ამბავი!

— რას იტყვი, კოტე, გინდა მწვერვალზე წამოსვლა? თუ შეგცვალოთ ორივე, ჰა, თენგიზ? აი, სათადარიგო ჯგუფი დაგვეწევა და...

გვეგონა, საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო და ამხანაგებისათვის პატიების გამოსათხოვად ძია შიოს გარს შემოვეხვიეთ.

— სიჩუმე! — წყნარად თქვა მან და თვალებში აპწკიალებულ ნაპერწკლებზე შევნიშნე — გულმოსული სულაც არ იყო, მხოლოდ თავს გვაჩვენებდა გულმოსულად, — ესენი რატომ არაფერს ამბობენ?

— თქვენი ნებაა, — წაილუღლუღა კოტემ, — თუ საჭიროა... მაინც ყველას ვუშლი...

— გული ნუ აგვიჩუყე! აღუ, თითზე არ მიკბინო !

კოტეს თვალები მოენისლა. ერთბაშად იმისთანა შესახედავი გახდა, პირდაპირ შეგეცოდებოდა.

ძია შიოს გამამხნევებელმა შეძახილმა, უნებლიე ღიმილმა და მშვიდობიანობის ჩამოგდებამ ისე გაგვახალისა, ნება-

ყოფლობით შერიგებას როდიღა დავუცადეთ — მოჩხუბრებს ვეცით, ორივე ჰაერში ავიტაცეთ და, თუმცა გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, ერთმანეთს მივახალეთ და მერე ხელი ვუშვით. თენგიზი დარცხვენილი იყო. დანა პირს არ უხსნიდა. არც კოტე ვეშაპელი იყო უკეთეს დღეში. სულ მალე ეს მცირე შეხლა-შემოხლა დავიწყებას მიეცა. ნასაუზმევს ძია შიო წინ გაგვიძღვა და ვიწრო ორღობეებით თრუსოს ხეობაში შეგვიყვანა. მარჯვნივ და მარცხნივ ხავერდოვანი მწვანე ბალახით დაფარული მთის კალთები აღმართულიყო. მდინარე არ ჩანდა. მისი ყრუ დუდუნი ჭალის მეორე მხრიდან ძლივს აღწევდა.

მაშველი ჯგუფის ავტობუსი მოულოდნელად წამოგვეწია. ფანჯრებში ჩვენივე სკოლის ბიჭები იჭყიტებოდნენ და, თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ დღეს პირველად დავენახოთ, გახარებულები ხელს გვიქნევდნენ.

უცებ მუხლი მომეკვეთა და ადგილზე გავშეშდი. პირველ სავარძელზე, შოფრის კაბინის უკან, ფანჯარასთან, ციცინო იჯდა და შავი სათვალის ქვეშ მზეს ემალებოდა. ხარბად დავაკვირდი. მართლა ის იყო თუ ვინმე სხვა მივამგვანე? საბედნიეროდ, მალე შევნიშნე, რომ მარტო მე არ ვიყავი ამ მოულოდნელი ამბით ელდანაკრავი. ჩემებრ ერთ ადგილზე გახევებულმა კოტე ვეშაპელმა ავტობუსის სარკმელს მაშინღა მოსწყვიტა თვალი, როცა მიხვდა, ციცინოსადმი ზედმეტი ყურადღების გამოჩენა კარგს არას მიქადისო.

— ციცო წამოსულა, — თქვა მან ჩემს გასაგონად და თავი ისე მაჩვენა, თითქოს ამ ორად ორ სიტყვას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, — ნეტა ეგეც ჯიმარაიზე მოდის?

— წამოსვლა უნდა, მამამისმა თუ წამოიყვანა, — რატომღაც ვიცრუე მე, — შენ გგონია, ვერ ივლის?

კოტეს სურვილი სწვავდა, ერთხელ კიდევ გაეხედა ავტობუსისაკენ, მაგრამ ჩემი ერიდებოდა და იძულებული იყო თავჩაღუნულსევლო. ავტობუსმა ნელა გაგვიარა და მტვერში დაგვტოვა.

— სად მიდიან? — ისევ მკითხა კოტემ.

— სანამ ავტობუსი ივლის, იჩაქჩაქებენ ცოტას.

— გზა არის?

— ვერ ხედავ?

— კიდევ წყდება ეს სამხრეული, ბეჭებზე არ მეტევა, რა ვქნა?

— გაგიცვლი, თუ გინდა.

— სულ ერთი არ არის?

— ჩემი მთელია. გაგიძლებს. ცოტა დიდი ზომის უნდა აგეღო.

კოტეს უზომოდ უხაროდა, როდესაც სიტყვა მის არაჩვეულებრივ ღონესა და გულმკერდის გოლიათურ მოცულობაზე ჩამოვარდებოდა. ხალთა სწრაფად მოვიხსენი, სამხრეულები რამდენადაც შეიძლებოდა, დავუგრძელე და ნაბიჯის შეუნელებლად მივაწოდე. კოტემ ბევრი იწვალა, სანამ ჩემი ხალთის სამხრეულებში მკლავებს გაუყრიდა.

— გიჭერს? — თანაგრძნობით ვკითხე მე.

— რა გაეწყობა, უნდა გავუძლო. მართლა ადრე ჯობდა წამოსვლა. ხედავ, როგორ დაცხა?

— ჯერ სადა ხარ. კიდევ დაგვაჭერს სიცხე. აქაური მზე თორნის ცეცხლივით აცხუნებს.

— არ მოიგო ჭკუა, ვინც იმ ავტობუსში ზის? მომკალი და ფეხით მატარე. ადგილზე, თუ გინდა, მთას დავძრავ და ზურგზე წამოვიკიდებ!

მოსახვევს იქით ხიდი, ძველი ნაციხარი და ერთიმეორეზე მიჭუჭკული ქოხები გამოჩნდა. ხიდისყურში ყველა შეჩერებულიყო და სანახაობით მოჯადოებული სადღაც მარჯვნივ იყურებოდა. ნაბიჯს ავუჩქარე. ნეტა რას უყურებდნენ ასე გაშტერებული?



თრუსოს ვიწრო ხეობას, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოვყვებოდით, სწორედ სოფელ ქვემო ომალოს თავზე უერთდებოდა მეორე ასეთივე ვიწრო, ხმაურიანი და რიყის თეთრი ქვებით მოფენილი ხეობა. ალაგ-ალაგ, რიყის ოდნავ შემაღლებულ ადგილებში, სადამდეც თვით დიდი წყალდიდობის დროსაც ვერ მიაღწევდა პირგამეხებული მდინარის ტალღები, დაბალი, მწვანე ბალახი, ბიბინებდა და იქ წითელი და ჭრელი ხბოები კუნტრუშებდნენ.

შორს, მთელი დღის თუ დღენახევრის სავალზე, თუმცა თვალს გაცილებით უფრო ახლო ეჩვენებოდა, ხეობას ყრუდ კეტავდა ღრუბლებში გახვეული თოვლიანი მთების ჯაჭვი. მთების ეს ჯაჭვი — კავკასიის მთავარი ქედი — თითქოს სხვა სამყაროს ნაწილი იყო და მთებს, გარს რომ გვერტყა, არც ელფერით და არც მოხაზულობით არ ჰგავდა. თითქოს საგანგებოდ ალესილი და გამახვილებული თხემების ზემოთ გამჭვირვალე ღრუბლების უკან დამალული მზე სულ სხვანაირად ანათებდა და იდუმალებით მოცულ შორეულ მყინვარებს სიზმარეულ შუქსა ჰფენდა. გარკვევითა და თვალნათლივ ღრუბლების ქვეშ იკვეთებოდა მხოლოდ ერთი უცნაური შესახედაობის მწვერვალი. ის თვით ბუნებას კი არა, თითქოს ჯადოქარი კაცის ხელს გამოეკვეთა და ყოველის მხრივ კარგად გამოსაჩენ ადგილზე სასოებით დაედგა. მწვერვალის ფუძე ხეობის უწყლო რიყეს ებჯინებოდა. ღრმა შუროებითა და ძორენებით დაღარული უდაბური კალთა, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა და შუაწელში კარგა მოზრდილ ვაკესა ჰქმნიდა, ქათქათა თოვლით იყო დაფარული. შვეულკედლებიან ციხე-კოშკივით ცაში აწვდილი თოვლიანი მწვერვალი სწორედ ამ კუზიან ვაკეზე იდგა. გაოცებული მივჩერებოდით და საკუთარ თვალებისათვის ვერ დაგვეჯერებინა: ეს საკვირველი სანახაობა ნუთუ გონიერი არსების ხელით შექმნილი და სულჩადგმული არ იყო?

დაწინაურებულ ჯგუფთან ერთად ხიდზე გადასული ძია შიოს ნათქვამმა ბოლოს ჩვენამდეც მოაღწია: საკვირველი მოყვანილობის კეკლუცი მწვერვალი ჯიმარაი-ჰოხი არ ყოფილიყო. უფრო მეტიც — მწვერვალს სულ არ ერქვა სახელი და იმისი ჩრდილო კალთიდან კავკასიის მთავარ ქედამდე, სულ ცოტა, ათი-თორმეტი კილომეტრი მაინც რჩებოდა კიდევ გასავლელი. ჯიმარაი აქედან არ ჩანდა. მისი დანახვა მხოლოდ იმ დროს შეიძლებოდა, როცა ცა მოწმენდილი იყო და ისიც მაშინ, თუ ხიდს გადაივლიდი და სოფლის თავში ახვიდოდი.

გული დაგვწყდა. ციხე-კოშკისმაგვარი საკვირველი მწვერვალი ერთბაშად დაჩიავდა ჩვენ თვალში. მერე ასე ლამაზი და მიმზიდველი მაინც არ ყოფილიყო...

3

კოლონა ბილიკზე გაიჭიმა. ერთმანეთს დაწალიკებული მივდევდით. ბილიკი ვიწრო იყო. მარჯვნივ და მარცხნივ რიყის ვეებერთელა ქვების გროვები და მზეზე ამომშრალი შლამით სავსე ნაგუბარები მოგვდევდა.

მანქანიდან გადმობარგებული მაშველი ჯგუფი უკან ჩამოვიტოვეთ. ბილიკმა ერთხანს მდინარის მარცხენა ნაპირზე გვატარა. მალე ფერდობზე შეფენილი სოფელი დავინახეთ. სადღაც ძალიან შორს ძაღლის გაავებული ყეფა ისმოდა. მეცხვარეები თუ იყვნენ ან მონადირეები. მალე რიყის ქვებზე ასხლეტილი ფლოქვების მჭახე ჭახანი და ფორნის თვლების ბრაგუნი შემოგვესმა. წყვილცხენშებმული ფორანი, რომელიც ზევიდან მოდიოდა, განზე გადგა. გვადროვა, ვიდრე ყველა გა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვივლიდით. ორი შავწვერა, ბრგე ვაჟკაცი, მგონი ძმები, ფორნიდან მკვირცხლად ჩამოხტნენ, ნაბდის ქუდები მოიშვლიპეს და გახარებულები, თავიანთ მიყრუებულ ხეობაში ამდენ უცხო ხალხს რომ ერთად ხედავდნენ, მოგვესალმნენ.

— აქაურები ხართ, ვაჟებო? — ჰკითხა უფროსს ძია შიომ.

— გახლავართ, ბატონო.

— ასე კარგად იცით ქართული?

— ცუდად რატომ გვეცოდინება, ბატონო, ქართველები არა ვართ?

— აგაშენოთ ღმერთმა! საიდან მოდიხართ, ან საით გაგიწევიათ, სად მიგყავთ ეს ავი ქოფაკები?

ძმებმა ფორნის უკანა ხელნაზე ჯაჭვით გამობმულ ორ მოზვრისოდენა ნაგაზს მოწყალე თვალით გადახედეს და გულღიად გაიცინეს. უცნაურად გამოწყობილი ხალხით გარსშემორტყმული ძაღლები ბრაზიანად ილრინებოდნენ, წვეტიან კბილებსა და სისხლივით წითელ ღრძილებს აჩენდნენ, მაგრამ ყეფით არ ყეფდნენ, არც ჯაჭვის გაწყვეტას ლამობდნენ.

— აქ, ხეობაში, ცხვარი გვიდგა, — თქვა ისევ უფროსმა, — ჩვენ თვითონ ჩამოსახლებული ვართ. პაპაჩვენი ზემო რაჭიდან გადმოსულა.

— ბატონს მოკლავდა! — შესცინა ძია შიომ.

— არა, — მთიელმა პირი მიიბრუნა და დარცხვენილმა თვალი მოგვარიდა, — ქალი ჰყოლია მოტაცებული.

— ბებიათქვენი?

— დიახ...

მწყემსები ჩვენთან ერთად აროხროხდნენ. საუბარი ისე გაუტკბათ, მგონი სულ დაავიწყდათ სადმე წასვლა. დახარბებული გვათვალიერებდნენ. ველარ გამძღარიყვნენ უცხო ხალხის ცქერით.

— თქვენ ჯიმარაიზე აპირებთ? — უმცროსმა ძმამ გაბედა და ახლა ის შეეკითხა ძია შიოს.

— იცი ჯიმარაი? — ძია შიოს თვალები გაუბრწყინდა.

— აქაური კაცი ვარ და... ცხვარი დაგვიდის.

— მთამსვლელები ხშირად ამოდიან?

— ეს ორი წელიწადია, არავინ ყოფილა. ისე, ადრე უფრო ხშირად დადიოდნენ.

— მე ავედი ორმოცდაოთხში. ხომ არ გახსოვართ?

— ორმოცდაოთხში? უჰ, ეგ როდის იყო! ორმოცდაოთხში მე პატარა ბიჭი ვიქნებოდი.

—წვერი მეტ შეხედულებას გაძლევს. გაიპარსე.

— აქ სულ ერთია, მაინც მთაში ვართ.

— ავაღწევთ დაღამებამდე?

— როგორ არა, — უმცროსს უფროსი ძმა წაეშველა და ფორნის ჭალზე უღლით დაკიდებული აბგა ჩამოიღო, — მზე ისევ მაღლა იქნება. დილას ახსენებთ ღმერთს და...

— როგორ ატყობთ, ამინდი ხომ არ გვიღალატებს?

— ჯიმარაიზე ღრუბელია. წუხელ თოვდა. თქვენი სახელი, ბატონო? თუ უკაცრავად არ ვიქნები...

— შიო.

— მცირეზე ნუ დაგვძრახავ, შიო. რაც გვაბადია, იმით გაგიმასპინძლდებით. გუდის ყველი წამოვიძღვანეთ ბლომად, მარილწყალში მოხარშული ხორციც მოგვეძევება. ზოგი — თქვენ, ზოგი — ჩვენ!

— აჰ, — ძია შიომ შორს დაიჭირა, — როგორ გეკადრება! ჩვენ არაფერი გვაკლია. საჭმელიც ბევრი გვაქვს და სასმელიც. შენ ეს მითხარი, ძაღლები თუ არის ზევით საშიში. მეშინია, არავინ დამიგლიჯონ.

— მორიდება უნდა. შორიდან მიაწვდინეთ ხოლმე ხმა მეცხვარეებს. ცხვრის ფარებს ისე ნუ მიუახლოვდებით. მშიერი, ჩემო შიო, მადლობა ღმერთს, ახლა არავინ არ არის. აქაური ნახელავით ისიამოვნეთ. დიდი სასიამოვნო კი არაფერია, მარა... აქეთობისას სხვა იქნება. შვილები მამიკვდეს და მარჯვენს გეფიცები, თუ კაცი ვყოფილვარ, ჭედილას დავკლავთ. ოჯახის უნახავად ნუ ჩაგვივლი. ბესა და ვანიკა ვართ, მერმანიშვილები. პატარა ქოხი გვიდგას მნაში. მამაჩვენმა მეტი არ დაგვიტოვა. მანამდე აგერ ვანიკა გაგყვებათ, გზას გაგასწავლით.

— რაზე აწუხებ, კაცო, ბესა, ჩვენ თვითონ გავიგნებთ გზას, პირველად ხომ არ მოვდივარ!

— არა უჭირს რა, ჯეელია, ნელა ვივლი, დამეწევა, ნეტავი კი სხვაფერ შეგვეძლოს რამე... აჰა, ეს — თქვენ, ეს — ჩვენ, აბგა ქე წამოიძღვანიეთ უკან, მთაში არსად დამიკარგოთ.

სხვა რაღა ღონე იყო — ყველითა და ხორცით პირამდე გა-



ტენილი აბგა ვანიკამ გადაიკიდა და წინ გაგვიძღვა. თენგიზმა და ვაჟამ თვალი უყვეს ერთმანეთს და მერე მე გადმომხედეს — ძია შიომ კინაღამ არ დაგვღუპა და ამისთანა ძვირფასი პურმარილი არ მიგვატოვებინაო? სიცხისაგან გასავათებული და ენაგადმოგდებული ჯოგის ძაღლები მოუსვენრად აწყდებოდნენ აქეთ-იქით და თან თვალს გვადევნებდნენ, როგორ გადავდიოდით საცალფეხო ხიდზე, რომლის იქითაც გზა აღმართზე მიიკლაკნებოდა, ხოლო მის ორივე მხარეს ცალფა ყორით შემოღობილი კარტოფილის ყანები მოჩანდა.

სოფლის შესასვლელში, ღელის პირას, ორი პატარა ბიჭი და სამიც ქალაქურად ჩაცმული თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგონები დაგვიხვდნენ. ვანიკამ შორიდანვე დაუძახა ბავშვებს და ოსურად რაღაც ჰკითხა. ბავშვები დაბარებულებივით წამოცვივდნენ და, თუმცა თვალები ჩვენზე რჩებოდათ, სადღაც გაიქცნენ.

სოფლის შუკები ფეხაკრეფით გავიარეთ. დამწყვდეული ქოფაკების ყეფა და ძაძგანი გომურებიდან გამოდიოდა.

— როდის გელოდოთ ახლა? — გამომშვიდობების წინ ჰკითხა ვანიკამ ძია შიოს და აბგა თენგიზს გადაულოცა.

— მე მგონია, — ძია შიო წუთით ჩაფიქრდა, თან ჩვენ გვანიშნა, დრო აღარ დაგვეკარგა და გზა განგვეგრძო, — თუ მშვიდობა იქნა, ზეგ საღამოს უსათუოდ დავბრუნდებით.

— მოლოდინი გვექნება, — ვანიკა გულალალად იღიმებოდა. ძია შიოსაც გაეღიმა და მე მივხვდი, რომ ორივეს ზემო რაჭიდან გადმოხვეწილი კაცისა და მოტაცებული ქალის ამბავი გაახსენდა.

— ბატონი ბრძანდები! — თქვა ძია შიომ და ვანიკას ხელი ჩამოართვა, — სიტყვა სიტყვაა. მართლა, სოფლის ბოლოზე ჩვენი მაშველი ჯგუფი შემოგხვდება. უთხარი ძაღლების ამბავი და, თუ კაცი ხარ, ეს ხალხიც გააფრთხილე, სანამ ისინი არ ამოივლიან, ძაღლებს ნუ გამოუშვებენ.

— კეთილი მგზავრობა!

— შენც კეთილად გემგზავროს. ბესას მოკითხვა!

დაღმართში სირბილით დავეშვით და ისევ რიყეზე ამოვყავით თავი. ძია შიოს მოუსვენრობა შევნიშნე. ერთთავად უკან იყურებოდა, ხან კიდევ გზისპირას დაყუდებულ ლოდზე შეხტებოდა, ხელისგულით თვალს მოიჩრდილავდა და დიდხანს აკვირდებოდა გზას, რამდენიმე წუთის წინ რომ გამოვიარეთ. მეც უკან მოვიხედე. ფრიალო კლდის წვერზე, სადაც მზის ერთი-მეორეზე მიჭუჭკული ბრტყელსახურავიანი ქოხები მოჩანდა, მთამსვლელების გრძელი კოლონა მოდიოდა და ბილიკზე თავდაღმა ეშვებოდა. სულ მალე კლდის ძირას, მორევში, ოთხი დასაპალნებული ცხენი გამოვიდა და ბოგირზე გამოსულ გოგო-ბიჭებს შემოუერთდა. ცხენებს ჩვენი მეათე პირველი კლასის ყმაწვილები მოსჯდომოდნენ და წკეპლის შხუილით მოაჩქარებდნენ.

— აი, თურმე რატომ დაიგვიანეს. ცხენები უშოვნიათ! — თქვა თენგიზმა, ქონით გაპოხილი აბგა წინ დაიდგა და ოფლში მთლად გაწურული ქვაზე ჩამოსაჯდომად დაიხარა.

— შეგენაცვლო? — ვკითხე მე.

— არა, ჯერ ვატარებ. ძალიან მძიმე კია. ნეტა შიგ რიყის ქვები ხომ არ ჩააწყვეს!

— შენ არ იყავი, სამწვადე ხორცს რომ ეძებდი კობში?

— ეს მოხარშულია.

— არც მოხარშულს უშავს რამე. არა, კოტე?

ამ დროს პირველი მხედარი ბექზე ამოიჭრა და აღმართში თქარათქურით გამოექანა. უნაგირს ძლივს აჩნდა ცხენის კისერზე გადმოწოლილი გოგო, რომელსაც მზეზე თუქ-ლუქად აბრწყინებული შავი თმა ჩამოშლოდა და თვალისმომჭრელ წითელ კაბას პირქარი უფრიალებდა. გული შემიტოკდა. ციცო ვიცანი. როდის ესწავლა ცხენოსნობა? ნუთუ არ ეშინოდა!

ძია შიო შეჩერდა. მხედარს მოუცადა. ციცინოს საკმაოდ დაუდევრად მოჰყავდა აღმართში ქენებით გაქაფული ცხენი. პირველი მოიჭრა, ცხენი უეცრივ შეაჩერა და, ვიდრე ბიჭები აღვირის ჩამოსართმევად მისცვივდებოდნენ, უნაგირს მერცხალივით გადმოევლო და თვალის დახამხამებაში ძირს ჩამოხტა. ჩამოქვეითებულ მხედარს ბიჭები გარს შემოეხვივნენ. მე, სწორე გითხრათ, ახლოსაც არ მივკარებივარ. ვითომც არ შემიმჩნევია მისი მოსვლა. რა საჭირო იყო. ბიჭები პირში აქებდნენ. ერთი ორმა ისიც კი ჰკითხა, რატომ იპოდრომზე არ დაიარებიო. დოღში მონაწილეობის მიღებას ურჩევდნენ. ეს უკვე მაიმუნობა იყო. რასაკვირველია. ციცომ იაზრა, დამცინიანო. შეიძლება, არც დასცინოდნენ, რა იცი, მაგრამ გოგო მაინც გაიბუტა, ცხენის სადავე ვიღაცას შეატოვა და ამაყად თავაწეულმა მამას მიაშურა.

ციცოს და შემდეგ მისი კბილა გოგოების შემოერთებამ ხალისი შეგვმატა. სიცხეც მიგვავიწყდა და დაღლილობაც. მხოლოდ კოტე ვეშაპელი იყო რატომღაც დაღვრემილი და უბრად მოაბიჯებდა. გავბედე და ფრთხილად შევეხმიანე:

— ეი, კოტე, რა მოგდის, შე კაცო?

ვეშაპელმა ეჭვიანად ამხედ-დამხედა და შუბლზე ღვარად წამოსული ოფლი მოღუნული საჩვენებელა თითით მოიწურა.

— რა უნდა მომდიოდეს?!

— სიარული ხომ არ გაგიჭირდა?

— ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო.

— არა, ცოტა მეც დავიღალე, რაც მართალია, მართალია. მოდი აქ, რაღაცა უნდა გითხრა.

— თქვი!

— ციცინოს ემდური?

— რა შენი საქმეა! — კოტემ თავი ასწია და მიბრჯნით შემომხედა. ალბათ, არ მოელოდა, თუ ციცოს სახელს ასე როყიოდ ვახსენებდი.

— წეღან, ცხენიდან რომ ჩამოხტა, ბიჭები კინაღამ გაგიჟდნენ, შენ კი ზედაც არ შეხედე.

— ყველამ თავის თავს მოუაროს.

— აგრე, ხომ? კარგი! შენც დაგჭირდება რამე...

— მიდი და იმას კითხე, მე რას მეკითხები!

— ენა მოგიცვდება? ვკითხე და სწორედ... — ეშმაკობა ვიხმარე. ამაზე უფრო ხელსაყრელი წუთი კოტეს გულისნადების შესატყობად როდისღა დამიდგებოდა, — სწორედ ამიტომ მინდა გავიგო შენი აზრი.

კოტე შეჩერდა, მკლავში ხელი მტაცა და გაფართოებული თვალებით თვალებში შემომაჩერდა:

— მაბითურებ თუ მართლა ამბობ?

— ხელი გამიშვი! გიჟია ეს ოხერი!

— მართლა კითხე ჩემზე რამე?

— ვკითხე, ჰო, დამანებე თავი, ხელი გამიშვი!

— რა გითხრა?

— რა უნდა ეთქვა, კაცო, შენ გიჟი ხომ არა ხარ!

კოტემ ხელი მკრა, მძულვარებით სავსე თვალები მხოლოდ წამით მომაპყრო და ზურგი შემომაქცია. მაშ, მართალი ყოფილა: კოტე ვეშაპელსაც ციცოს ხატი სდებია გულში. ეს ამბავი დიდი ხნის წინათ ვიცოდი. გუნება მაინც გამიფუჭდა ნუთუ კოტეს რისამე იმედი ჰქონდა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეიმურაზ ცაგარელი

# შავი ზღვის პირას

ქალაქ ვარნის დობრი ჩინტულოვის სახელობის რვაწლიანი სკოლის პიონერებმა ეს სურათი „პლოვდივის" გემბანზე გადაიღეს და თავიანთ ფოთელ თანატოლებს გამოუგზავნეს მეგობრობის ნიშნად.

ჯერ კიდევ 1964 წლის ნოემბერში, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალურმა საბჭომ ერთხელ კიდევ ამცნო თავისი მიმართვით ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა პიონერს, რომ 1967 წელს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი და ამასთან დაკავშირებით მოუწოდა ყველა პიონერს მონაწილეობა მიიღოს რაზმეულების საკავშირო ლენინურ დათვალიერებაში. იმავე დღეს ფოთის მე-2 საშუალო სკოლის რუსთაველის სახელობის პიონერულ რაზმეულში სახელდახელო შეკრება მოეწყო. უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ციალა კართხიამ დაწვრილებით გააცნო რაზმეულს საკავშირო დათვალიერების მიზნები და ბოლოს დასძინა:

— ფოთი რევოლუციური ტრადიციების ქალაქია. მრავალმა სახელმოხვეჭილმა პატრიოტმა აქ მიიღო თავისი პირველი რევოლუციური ნათლობა და აქტიურად ჩაება თავისუფლებისათვის ბრძოლში. ბევრ მათგანს ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცნობთ და ამიტომ...

—ამიტომ, კარგი იქნება თუ ჩვენც ჩავებმებით საბრძოლო დიდების ლაშქრობაში და შევისწავლით ჩვენი ქალაქის მკვიდრთა რევოლუციურ წარსულს. — . სიტყვა ჩამოართვეს პიონერებმა ხელმძღვანელს. ყველაფერი კი იმით დაიწყეს, რომ დაათვალიერეს ქალაქის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები და შეისწავლეს ერთ-ერთი ძველი ბოლშევიკის დავით სიკოს ძე ფაჩულიას ბიოგრაფია, მისი რევოლუციური მოღვაწეობა და შეხვედრა მოუწყვეს მას.

აი, რა უამბო თავის თანატოლებს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ძველი რევოლუციონერის შესახებ: თებერვლის რევოლუციამ დავით ფაჩულიას ბათუმში მოუსწრო. სხვებთან ერთად ისიც სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში აღმოჩნდა და, ამიტომ, ბოლშევიკებმა ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს, დაუნდობლად ამხელდნენ კონტრევოლუციურ პოლიტიკას. 1917 წლის აგვისტოში დავით ფაჩულია მტკიცედ ადგება ბოლშევიკების გზას, შედის პარტიაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს მის მუშაობაში. **1918** წლიდან დავითი ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელთა რიგებშია. 1919 წლის შემოდგომაზე მას ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე დაავალა ფოთის ორგანიზაციამ, — იგი ავრცელებს არალეგალურ ლიტერატურას, პროკლამაციებსა და ფურცლებს. 1920 წლის ზაფხულში დავით ფაჩულია არალეგალურად მიემგზავრება ბაქოში და მონაწილეობს აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის მუშაობაში. ამ ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ დავითი მუშაობას იწყებს გემ „ჭოროხზე". რათა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ნავსადგურის მუშებსა და მეზღვაურებს. 1921 წლიდან დავითი სამუდამოდ დასახლდა ფოთში და, როგორც პოლიტკომისარი და განსაკუთრებული განყოფილების მუშაკი, აქტიურ მუშაობას ეწევა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამჟამად დავით სიკოს ძე ფაჩულია პერსონალური პენსიონერია.

შეკრების დასასრულს, მხცოვანმა კომუნისტმა ბევრი საინტერესო რამ უამბო პიონერებს და მათთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადაიღო.

რუსთაველის სახელობის რაზმეულში ხალისიანი, საქმიანი პიონერული ცხოვრება ჩქეფს. ჯერ იყო და, დიდი ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსი გამოცხადდა რაზმეულში. „ყველას, ყველას, ყველას! — იუწყებოდა განცხადება. — 20 მარტიდან 20 აპრილამდე ტარდება კონკურსი, რომელიც ეძღვნება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს. კონკურსის თემაა: „მარჯვე ხელები სამშობლოს". კონკურსში ბევრმა მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ყველას როდი გაუღიმა ბედმა.



სამახსოვრო ვიმპე-ლი — „ბულგარეთ-ს საზღვაო ფლოტი“

მერვეკლასელი ნორჩი ავიომოდელისტის ვახტანგ კემულარიას თვითმფრინავმა ყველაზე დიდხანს და ყველაზე სწრაფად იფრინა. მძერწავებში კი მეხუთეკლასელმა თემურ კაკულიამ აჯობა ყველას. მის მიერ პლასტელინში გამოძერწილი პიონერის პორტრეტი მნახველთა მოწონებას იმსახურებდა. ხელსაქმეში ბადალი არ ჰყავდა მეექვსეკლასელ ნარგიზა ჭაავას. შესანიშნავად ამოქარგა ნაირფერი ძაფებით პიონერის სამკერდე ნიშანი და გამარჯვებაც მას დარჩა.

სხვათაშორის, ვახტანგ კემულარიამ და ვოვა გარბუნოვმა შარშან თბილისში მოწყობილ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ გამოფენაშიც მიიღეს მონაწილეობა. ბიჭებმა ერთად დაამზადეს კრეისერ „სატურნის“ მოქმედი მოდელი და მესამე ხარისხის დიპლომი მიიღეს.

ფოთის რომელ მკვიდრსაც არ უნდა ჰკითხოთ ინტერნაციონალური კლუბის შესახებ, ყველა გეტყვით, რომ ეს წითელი აგურისაგან ლამაზად ნაგები მაღალი შენობა მდებარეობს პორტში, ზედ შავი ზღვის პირას, რომ კლუბს ერტყმის სუბტროპიკული მცენარეებით დამშვენებული ბაღი, რომ კლუბში დროდადრო შეხვდებით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მეზღვაურებს, რომლებიც, გრძელი და დამქანცველი ნაოსნობის შემდეგ, აქ პოულობენ მყუდრო სავანეს, ისვენებენ, ძალღონეს იკრებენ, ეცნობიან სხვა ქვეყნის მეზღვაურებს, ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობას მათთან და, რაც მთავარია, დაწვრილებით ეცნობიან საბჭოთა მეზღვაურის, საბჭოთა ადამიანის ყოფა-ცხოვრებას.

დღე ერთია და პორტში შემოსული უცხო ქვეყნების გემები კი — ათობით. ვის არ ნახავთ აქ, — ფრანგს თუ გერმანელს, ინგლისელს თუ ამერიკელს, ჰოლანდიელს თუ შოტლანდიელს, უნგრელს თუ ბულგარელს, ვიეტნამელს თუ კორეელს და კიდევ სხვა მრავალი ქვეყნიდან მეგობრული ვიზიტით თუ სავაჭრო გემით ჩამოსულ მეზღვაურებს...

მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ასეთი კლუბი ფოთის მე-2 საშუალო სკოლაშიც ჩამოყალიბდა და ამავე სკოლის შოთა რუსთაველის სახელობის პიონერული რაზმეული გულღიად მასპინძლობს თავის უცხოელ თანატოლებს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჯერ კიდევ გასული წლის მაისში, ფოთის ნავსადგურში შემოვიდა ბულგარეთის სავაჭრო გემი. უჩვეულო აქ არაფერია — ნავსადგურში ხომ უცხოეთის მრავალი გემი შემოდის და გადის, პორტში ახას ყველა შეეჩვია — ჩამოსულიც და დამხვდურიც. მაგრამ სულ სხვა იყო მაისის ის დღე, როცა ფოთის ნავსაყუდელს ბულგარეთის სავაჭრო გემი „პრესლავი“ მოადგა. უჩვეულოდ აფუსფუსდა პორტი. „პრესლავის“ გემბანზე წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭების გუნდი ირეოდა. ყველა მათგანს მოუთმენლობა ეტყობოდა და ეს გასაგებიც იყო. ისინი პირველად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში, პირველად უნდა შეხვედროდნენ საბჭოთა პიონერებს...

სულ მალე ბულგარელი პიონერები ნაპირზე გადმოვიდნენ და გემის დირექტორ-კაპიტნის ვიდევ ვიდევის მეთაურობით ფოთის ინტერკლუბისაკენ გაემართნენ. ეს ამბავი სწრაფად შეატყობინეს მე-2 საშუალო სკოლის პიონერულ რაზმეულს, — თქვენი თანატოლი ბულგარელი პიონერები ჩამოვიდნენო. დიდი იყო ფოთელების სიხარული, როცა ბულგარული ენის პირველი გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგის იორდან ზლატევის ხელმძღვანელობით ბულგარელი პიონერები შოთა რუსთაველის სახელობის რაზმე[illegible]მრნენ. ფოთელებმა, უწინარეს ყოვლისა, თავიანთ ახალ მეგობრებს დაათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, შემდეგ კი სასკოლო ინტერკლუბში მიიწვიეს. გაუმასპინძლდნენ კოლხური ხილით, ტკბილეულით და თან მეგობრული კონცერტიც გამართეს. ერთმანეთს სცვლიდნენ ნორჩი დეკლამატორები და შემსრულებლები. მეექვსეკლასელმა ზაზა ქინქლაძემ მეგობრობისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა. ტაშისცემა არც კი იყო მიწყნარებული, რომ ალექსანდრე წულაიამ რევაზ ლაღიძის ცნობილი „სიმღერა თბილისზეს“ პირველი აკორდები ააჟღერა ფორტეპიანოზე; წამიც და, დარბაზში მანანა ქანთარიასა და ლია თოფურიას სასიამოვნო ხმა გაისმა, — „თბილისო“ — მღეროდნენ გოგონები და მათ დამსწრეებიც აჰყვნენ.

მასპინძლებს არც სტუმრები დარჩნენ ვალში. ისინიც ჩაებნენ საერთო მხიარულებაში და რამდენიმე ბულგარული სიმღერა შეასრულეს. ბოლოს, ამ მეგობრული კონცერტის დასასრულს, ბულგარელმა პიონერებმა და მეზღვაურებმა ქართველ პიონერებს სამახსოვრო სუვენირები და ვიმპელი — „ბულგარეთის საზღვაო ფლოტი“ — გადასცეს. არც მასპინძლებმა დასტოვეს გულნაკლულად სტუმრები. მათაც აჩუქეს ქართული სუვენირები და „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა..

ასე ჩაეყარა საფუძველი ბულგარელ და ქართველ პიონერთა მეგობრობას და პიონერული ინტერნაციონალური კლუბის დაარსებას ფოთში. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. ბულგარელ და ფოთელ პიონერებს ახლა მეგობრული და საქმიანი მიმოწერა აქვთ გაჩაღებული.



ფოთის I-ლი საშ სკოლის პირველკლასელ ირინე ხორავას მდიდარი ფანტაზია აქვს. ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ეს კოპწია თოჯინები ირინემ დაამზადა და ახლა ისინი პიონერთა ოთახს ამშვენებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი ქალაქ ვარნის, სახელგანთქმული გმირი პარტიზანის დობრი ჩინტულოვის სახელობის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმაც გაიგეს და მათაც აღეძრათ სურვილი, დამეგობრებოდნენ ქართველ პიონერებს. ამ მიზნით თავიანთ შეფს —



აგერ ირინეს ხელით ამეტყველებული გირჩები, — ბატკნები და აფხორილი ინდაურები.



ულგარეთის სავაჭრო გემ „პლოვდივის“ ეკიპაჟს სთხოვეს, საქართველოში წაგვიყვანეთო. „ახლა ზამთარია, ამინდები ცუდია, ზღვაზე ხშირია შტორმი და, თუ გაზაფხულამდე მოითმენთ, 19 მაისისათვის, საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს, აუცილებლად წაგიყვანთ ფოთშიო. ამჯერად კი, თქვენს სურვილს უსათუოდ გადავცემთ ქართველ პიონერებსო“, — უთხრეს მეზღვაურებმა თავიანთ პატარა მეგობრებს. და აი, 14 იანვარს, ფოთის ნავსადგურში წყნარად შემოცურდა „პლოვდივი“, რომლის ეკიპაჟს ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს პიონერებმა და თავიანთ ინტერკლუბში მიიწვიეს. ამ მეგობრული შეხვედრის დასასრულს სიტყვა აიღო „პლოვდივის“ დირექტორ-კაპიტანმა:

— ჩემო პატარა მეგობრებო! ქალაქ ვარნის რვაწლიანი სკოლის მეხუთეკლასელები. მართალია, თქვენ ჯერჯერობით არ გიცნობენ. მაგრამ იციან, რომ თქვენ ბულგარული ენის პირველი გიმნაზიის პიონერებთან მეგობრობთ და ამიტომ მათაც სურთ თქვენთან დამეგობრება.

— სიამოვნებით, სიამოვნებით! — გაისმა აქეთ-იქიდან ტაშის გრიალში.

— მაშ ასე, — განაგრძო დირექტორ-კაპიტანმა. — ვარნელი პიონერები სულითა და გულით გილოცავენ ახალ წელს და თან ყველა თქვენგანს ცალ-ცალკე ბარათებს გიგზავნიან საახალწლო კეთილი სურვილებით.

— ეგ როგორ! — გაიოცეს ფოთელებმა. — პირად წერილებს როგორ გვიგზავნიან? ჩვენ ხომ ჯერ ერთმანეთს არ ვიცნობთ?

— აი, როგორ, — დინჯად განაგრძო „პლოვდივის“ კაპიტანმა, — მათხოვეთ თქვენი საკლასო ჟურნალი. კეთილი. აი, მაგალითად, სიის მიხედვით რომელია თქვენს შორის მეორე?

— მანანა ბაჯალაძე, — ერთხმად შესძახეს პიონერებმა. — ბარათზე ხომ გარკვევით აწერია: „საბჭოთა კავშირი, ფოთის მე-2 საშუალო სკოლა, მეხუთე კლასის სიით მეორე მოსწავლეს“ ეს ხომ შენა ხარ მანანა?

მანანას ლოყები აეფაკლა და სიხარულით მიიღო წერილი.

— მეშვიდე! — ხმამაღლა გამოაცხადა დირექტორ-კაპიტანმა და მის წინ მოკრძალებით გაჩერებულ რუსუდან გაგუას შეავლო თვალი. — ეს შენა ხარ? — კეთილი. მიიღე ბარათი. მეთხუთმეტე! — განაგრძო კაპიტანმა და ახლა მარინე ივანოვა წამოდგა. მეცხრამეტე! — რაულ კაჯია აღმოჩნდა. და ასე ბოლომდე. ყველამ მიიღო ბულგარული ხალხური ზღაპრების ილუსტრაციებიანი ბარათები, ვარნის ფოტოხედები და ბულგარული კამფეტებით სავსე პატარა კოლოფები.

არც ფოთელი პიონერები დარჩნენ ვალში თავიანთ ახალგაცნობილ მეგობრებს და სთხოვეს ბულგარელ მეზღვაურებს, ქართველ პიონერთა სახელით ვარნის რვაწლიანი სკოლის მეხუთეკლასელებს გადასცენ ქართული სუვენირები და ფირფიტები: რ. ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“, თ. შავერზაშვილის „პიონერული სიმღერა“ თ. გორდელის „სიმღერა მეტროზე“, ქართული საესტრადო სიმღერები ლ. გეგელიას შესრულებით, კოლხური ხილით სავსე ამანათი და საახალწლო მილოცვები...

მაგრამ შ. რუსთაველის სახელობის რაზმეულის ინტერკლუბის საქმიანობა მარტო ამით როდი ამოიწურება, — კლუბის წევრებს მეგობრული მიმოწერა აკავშირებთ ლიტვის, ლატვიისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქების პიონერებთან. ამას წინათ ლატვიიდან მიიღეს წერილი, რომლის ავტორი, მეხუთეკლასელი მარინე ივანოვა, ითხოვდა, მისი წერილი გადაეცათ ფოთის მე-2 საშუალო სკოლის მეხუთე კლასის იმ პიონერისათვის, რომელიც სურვილს გამოსთქვამდა მარინესთან დამეგობრებაზე. როცა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ციალა კართხიამ ეს წერილი მეხუთეკლასელებს წაუკითხა, პიონერებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩვენ რათ გვიკითხავს ამ წერილსო. და მერე მარინეს მიმართეს: „მარინე, შენი სეხნია ყოფილა! შენც მარინე ხარ და — ისიც. შენც ივანოვა ხარ და — ისიც. შენც რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ხარ და — ისიც; ჰოდა, ამ წერილზეც შენ უნდა გასცე პასუხი. ჩვენ კი, თქვენი სახით, ორი მარინე ივანოვა გვეყოლება მეგობრად.“ ასე გაიცნეს და დაუმეგობრდნენ ერთმანეთს ქართველი და ლატვიელი პიონერები...

ასე ცხოვრობს და საქმიანობს შავი ზღვის პირას შოთა რუსთაველის სახელობის პიონერული რაზმეული.

# ძველი და ახალი



ბავშვებო, № 1 ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ ზურგზე კასრმოკიდებულ, კურტნიან მუშას, № 2 ფოტოსურათზე — რუმბით დატვირთულ ცხენებს. (რუმბი დიდი ტიკია. ის მზადდებოდა ხარის ან აქლემის ტყავისაგან. ბეწვიანი პირი შიგნით ჰქონდა მოქცეული). ორივე ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ძველი თბილისის წყლისმზიდავები. ალბათ გაოცებით იკითხავთ: „წყლისმზიდავებიო?! რა საჭირო იყო ამოდენა კასრებითა და რუმბებით წყლის ზიდვა, როცა საკმარისია, მოუშვა ონკანი და წყალიც თქრიალით წამოვა?!“

მაგრამ ძველი თბილისის მკვიდრნი, წყლისმზიდავები რომ არა, ალბათ წყურვილით დაიხოცებოდნენ.

წინათ, მეფის ოჯახს, თბილისელ დიდებულებს სასმელი წყალი მოსდიოდათ მიწაში ჩაფლული თიხის მილებით, თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე წავკისის ხევში გამონადენ წყაროებიდან. ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა კი მტკვრის წყალს სვამდა.

წარმოიდგინეთ ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ამღვრეული, ხოლო გვალვის დროს — გამთბარი და გაუგემურებული მტკვრის წყალი.

იმ დროს თბილისის მოსახლეობას წყლით ამარაგებდნენ წყლისმზიდავები, რომლებსაც მეთულუხჩეებს ეძახდნენ. ისინი კოკებით, კასრებით და რუმბებით ქუჩა-ქუჩა, ეზო-ეზო დაატარებდნენ მტკვრის წყალს გასაყიდად.

წყალი იყიდებოდა სპეციალური სარწყულით. ერთი ვედრო წყალი 1—8 კაპიკი ღირდა. რაც უფრო შორიდან იყო მოტანილი წყალი, მით უფრო ძვირად ფასობდა.

თითოეულ მეთულუხჩეს თავისი მუშტარი ჰყავდა და თავისი უბანი ჰქონდა წყლის გასაყიდად. იგი მუშტარს კვირის თავზე ან ათი დღის შემდეგ ახდევინებდა ფულს. ანგარიში რომ არ შეშლოდათ, მეთულუხჩესაც და წყლის მყიდველსაც 30-40 სანტიმეტრი სიგრძის თითო ხის ჯოხი ჰქონდათ. მეთულუხჩე, რამდენჯერაც წყალს მოიტანდა, დანით იმდენ ნაჭდევს უკეთებდა ამ ჯოხს, ასევე აკეთებდა მყიდველიც. ანგარიშსწორება ამ ნაჭდევების მიხედვით ხდებოდა.

1861 წელს თბილისში, მტკვარზე, პირველი წყალსაქაჩი დადგა სამსახურიდან გადამდგარმა გენერალმა ყორღანოვმა. ეს წყალსაქაჩი იდგა ვერის ხიდის მიდამოებში.

იგი ორთქლის მცირეძალოვანი საქაჩით წყალს აწვდიდა ქალაქის 62 სახლსა და იმჟამად გაშენებულ ალექსანდრეს საზოგადოების ბაღს (ახლანდელი კომუნარების ბაღი).

წყალსადენის სიგრძე 5,5 კილომეტრს უდრიდა.

ცხადია, ამ წყალსადენით მოწოდებული წყალი ზღვაში წვეთი იყო.

ინჟინრების—კონრადისა და ოზეროვის ხელმძღვანელობით 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ავჭალის წყალსადენის პირველი რიგის მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1887 წელს.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ ვერც ავჭალის წყალსადენი დააკმაყოფილებდა ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას წყალზე. ამიტომ, ქალაქის მმართველობამ მტკვრის წყალი, რომელიც საგანგებოდ იფილტრებოდა, მიუმატა ავჭალის წყალს.

1916 წელს ქალაქი დღე-ღამეში დაახლოებით 1.371.625 ვედრო წყალს იღებდა.

დრო მიდიოდა. თბილისის მოსახლეობა იზრდებოდა, ხოლო წყლით



ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი მომარაგების საკითხი კი გადაუჭრელი რჩებოდა.

1921 წლისათვის ქალაქის მოსახლეობის ნახევარსაც არ ჰქონდა წყალგაყვანილობა სახლებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დიდი ყურადღება მიექცა ქალაქის უზრუნველყოფას წყლით. დაიწყო საძიებო სამუშაოები. 1929 წელს იწყება ნატახტარის წყალსადენის პირველი რიგის სამუშაოები და 1938 წელს თბილისმა უკვე მიიღო ნატახტარის ცივი წყალი.

30-იანი წლების მიწურულისათვის ნატახტარის წყალსადენმა მთელი სიძლიერით დაიწყო მუშაობა, მაგრამ ქალაქში მრეწველობის განვითარებამ, ქალაქის კომუნალური მეურნეობის ზრდამ დიდად გაზარდა მოთხოვნილება წყალზე.

წყლის ნაკლოვანება განსაკუთრებით ზაფხულობით იგრძნობოდა.

ინჟინერ გ. ხიზანიშვილის პროექტით, 1945 წელს დაიწყო ბულაჩაურის წყალსადენის პირველი რიგის მშენებლობა და, თბილისმა 1952-1954 წლებში უკვე მიიღო ბულაჩაურის წყაროს წყალი.

ამჟამად თბილისი სასმელ წყალს იღებს ნატახტარის, ბულაჩაურის, ავჭალის, სამგორის, საგურამოს, ორთაჭალის, ჰოპორტის წყალსადენებიდან და მტკვარზე მოწყობილ წყალსაქაჩებიდან.

მტკვარზე მოწყობილი რამდენიმე წყალსაქაჩის საშუალებით ირწყვება ჩვენი დედაქალაქის ბაღები, პარკები და სკვერები.

თუ 1861 წელს ქალაქის წყალსადენი მილების სიგრძე 5,5 კილომეტრს უდრიდა, დღეს მისი ქსელი ასეული კილომეტრი სიგრძისაა.



---

თბილისში, მტკვარზე დაცურებით, ხშირად ჩამოჰქონდათ ტივებად შეკრული, გასაყიდი შეშა. ზოგჯერ კი პირდაპირ დიდ მორებად დაჭრილ ხეს აცურებდნენ მდინარეზე.

მე-3 სურათზე ხედავთ მტკვარზე დაცურებულ მორს, რომელიც ხარებს ნაპირზე გამოაქვთ.

თბილისში, მტკვრის პირებზე მრავლად იყო ხის სახერხი სახელოსნო. მტკვარზე დაცურებული ზოგი ხე აქ საშენ მასალად იხერხებოდა, ზოგი კი შეშის სახით იყიდებოდა.

თბილისში, ზამთარ თუ ზაფხულ, ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო ხის ნახშირზე. ქუჩებსა და ბაზრებში ყოველდღიურად ასეული გოდორი ნახშირი იყიდებოდა. ნახშირი თბილისში ჩამოჰქონდათ სახედრებზე აკიდებული გოდრებითა და ტომრებით (იხ. სურათი № 4).

თითოეულმა თქვენგანმა კარგად იცის, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი ხელისუფლება თბილისისა და მისი მიდამოების გასამწვანებლად. თბილისის გადახრიოკებული ფერდობები ყოველწლიურად იმოსება ათასობით

მარადმწვანე ბუჩქით, ფოთლოვანი და წიწვიანი ხეებით.

ამ ხრიოკ ფერდობებზე კი ოდესღაც უღრანი ტყეები ხარობდა. მაგრამ საუკუნეების მანძილზე მათგან არა დარჩა რა. საქართველოს დედაქალაქისკენ წამოსული მტერი, ციხესიმაგრეებთან ერთად, ულმობლად ანადგურებდა, ცეცხლს უკიდებდა ტყეს—ხალხის შესახიზნსა და თავშესაფარს. ხოლო, რაც მტრის ხელს გადაურჩა, მას ნახშირის გამყიდველებმა მოუღეს ბოლო.

თბილისის გარშემო და მის ახლომახლო სოფლებში, საგანგებოდ ამოთხრილ ორმოებში, ყოველდღე რამდენიმე ათეული ფუთი ნახშირი მზადდებოდა. ხის ნახშირს თბილისში სათბობად ხმარობდნენ. თავლია, დაბალ ფეხებზე შემდგარ თუნუქის მრგვალ ღუმელში, რომელსაც ქურსას უწოდებდნენ, ყრიდნენ ნახშირს და აღვივებდნენ. ქურსით თბებოდა ოთახები, დუქნები, სახელოსნოები.

დღეს ქალაქის საცხოვრებელი სახლების უმეტესი ნაწილისა და სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების გათბობა მძლავრი თბოელექტროსადგურების საშუალებით ხდება.

თბილისის ცენტრალურ რაიონებში გაყვანილია თბოფიკაციის ქსელი. ქალაქის ახალი კვარტალები კი სითბოსა და ცხელ წყალს ადგილობრივი საქვაბეებიდან იღებენ.

თბილისმა ბუნებრივი გაზი პირველად მიიღო 1959 წლის 6 ნოემბერს, მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, ყარადაღ-თბილისის 508 კილომეტრი სიგრძის ტრასის საშუალებით. სტავროპოლის მხარის ბუნებრივი გაზის გამოყვანა ამ რამდენიმე წლის წინ დამთავრდა. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა თითქმის მთელი ქალაქის მრეწველობის გაზიფიცირება.

ქალაქის საწარმოთა გაზიფიკაციამ ფაბრიკა-ქარხნების საკვამლე მილებიდან ამოფრქვეული ჭვარტლისაგან გაასუფთავა ქალაქის ჰაერი.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს მთელი ქალაქის საცხოვრებელი სახლების გაზიფიცირებისათვის და, სულ მოკლე ხანში თბილისის ყოველ სახლში აინთება გაზის ცისფერი ალი. ხოლო აქა-იქ შემორჩენილი ნავთქურა სამუზეუმო ექსპონატად გადაიქცევა.

თეიმურაზ ბერიძე.



ჭაგუ მებურიშვილი

## მომაგონდება



მომაგონდება ბუხარი,
მთები, ტყეები უღრანი.
ღრუბლები მომაგონდება,—
კორთხის წვერზე რომ გროვდება.
მომაგონდება „ვარადა",
ნისლი გაშლილი ბარათად;
იქ ერთი შვილის სიშორეს
დღემდე სწუხან და... შიშობენ.

## და უხაროდა აცდენილ საფანტს



იჯდა ჭადარზე
და ზამთრის წასვლა
ახალისებდა,
უხმობდა ფრთოსნებს...
გავარდა თოფი
და ჩიტის ნაცვლად
მკვდარი საჩუმე დაეცა მოლზე.
ჩიტი სივრცეში აიჭრა სწრაფად,
ბიჭს ცარიელი თოფი მიჰქონდა...
და უხაროდა აცდენილ საფანტს
ჩიტის სიცოცხლე... და შორს
მიჰქროდა...

## გზები, გზები...

უფრო ზევით
ზევით.
ზევით,
ლურჯი მთების
ხათრით;
ზვრები,
ზვრები,
ზვრები,
ზვრები
იმერეთის,
ქართლის.
უფრო ზევით,
ზევით,
ზევით,



ზევით ასვლას ნატრობ...
გზები,
გზები,
გზები,
გზები
სამოყვრო და სამტრო.
თეთრი ნისლი,
ლურჯი ნისლი
და ცვარნამი დილის...
მჯერა,
მჯერა.
მხოლოდ ერთი,—
სამოყვრო გზით ივლი.

მხატვარი გ. ფოცხიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კიტი მაჩაბელი

# ქანდაკება

შეიძლება ბევრ თქვენგანს უნახავს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ცხოველებისა და ადამიანის საოცრად მეტყველი ბრინჯაოს გამოსახულებები, რომელნიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული; ყოველი თქვენგანისათვის ნაცნობი და ახლობელია ჯვარის მონასტრის ფასადებზე ამოკვეთილი ქართველ ერისმთავართა გამოსახულებები; მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვირფასი ბეჭდების თვლებზე ამოკვეთილი სახეები; საქართველოს დედაქალაქს თავს დასცქერის ქ ა რ თ ვ ლ ი ს დ ე დ ი ს განზოგადოებული სახე; სულ ახლახან კი თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, მეტეხის ტაძრის გვერდით, აღიმართა სახელოვანი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასალის ძეგლი.

ყველაფერი ეს — უძველესი დროის ადამიანის ნახელავი მცირე ზომის ფიგურები, ანტიკური ხანის ქვისმჭრელთა მიერ შესრულებული მინიატურული პორტრეტები, შუასაუკუნეების ოსტატთა მარჯვენით დამშვენებული ტაძრის კედლები, ჩვენი თანამედროვე ხელოვანთა მიერ შექმნილი ფიგურები — არის ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა, სახვითი ხელოვნების დარგი, რომელიც გამოსახავს ადამიანს, ცხოველებსა და ბუნების სხვადასხვა საგანს მათი რეალური, ხელშესახები სახით. ქანდაკებაში შენარჩუნებულია გამოსახულების სამი განზომილება: სიმაღლე, სიღრმე და სიგანე.

ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეიქმნა პირველი ქანდაკება, ხელოვნების რა დარგია უფრო ადრე წარმოშობილი—ქანდაკება თუ მხატვრობა. ერთი რამ კი ცნობილია — პირველყოფილი ადამიანის მიერ გამოქვაბულების კედლებზე შესრულებული ნახატების გვერდით, რომელნიც ძალზე მეტყველად ასახავდნენ ნადირობის სცენებს, უკვე არსებობდნენ ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ შესრულებული ქანდაკების ნიმუშები — ცხოველების პატარა ფიგურები, რომელნიც გაოცებას იწვევენ ოსტატურად გადმოცემული მოძრაობით, დამახასიათებელი ნაკვთებით, ხაზგასმული დეტალებით. გარე სამყაროს საგნებისა და მოვლენების ასახვის სურვილი, მათი განმეორებისადმი მისწრაფება უხსოვარი დროიდან თან სდევს ადამიანს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მრავალი საუკუნე დაილია, ქანდაკებამ განვითარების მეტად რთული და ხანგრძლივი გზა გაიარა, მაგრამ დღეისთვისაც კი მისი მთავარი ამოცანა იგივეა, — რეალური სამყაროს ასახვა მისი ყველა დამახასიათებელი ნიშნით.

ქანდაკების მთავარი თემა მუდამ იყო და არის ადამიანი. შემოქმედება სწორედ მაშინ იწყება, როდესაც ხელოვანი — მოქანდაკე ქვის ლოდიდან ან თიხის უფორმო მასიდან ადამიანის ფიგურას გამოაჩენს. მრავალგვარია ქანდაკების მასალა — თიხა, ცვილი, გრანიტი, მარმარილო, ქვა, ბრინჯაო, ძვალი და სხვ. ქანდაკების პლასტიკური ხასიათი, მისი გამომსახველობა მასალაზეა დამოკიდებული. ყოველი მასალა, მარმარილო იქნება ეს თუ ბრინჯაო, თიხა თუ სპილოს ძვალი, მოქანდაკისაგან მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას ქანდაკების მხატვრული და ტექნიკური მხარისადმი. ხშირად მასალა კარნახობს ამა თუ იმ მხატვრულ ხერხს. მოქანდაკის საჭრეთელმა ქვა შეიძლება ადამიანის მძლავრ სხეულად წარმოგვიდგინოს, მბრწყინავი ბრინჯაო შეიძლება მეტყველ პორტრეტად მოგვევლინოს. თეთრმა მარმარილომ — შემოგვინახოს ქალის სხეულის სითბო და სინაზე, დაკოჟრილი ხე შეიძლება ზღაპრულ ჯადოქრად გარდაისახოს. ყველა ნამუშევარში იგრძნობა მასალა, ყველგან რჩება შეგრძნება იმისი, თუ რა მასალისაგანაა დამზადებული ქანდაკება.

მოქანდაკე ქმნის მხატვრულ სახეს უპირატესად ადამიანის სხეულის, მისი მოძრაობის, ჟესტების ასახვის გზით, ქანდაკებისათვის დამახასიათებელი, მხოლოდ მისთვის ჩვეული ხერხების საშუალებით. ფიგურის ანატომიური აგების საფუძველზე, მოქანდაკე ქმნის მოცულობითს ფორმას მ ო დ ე ლ ი რ ე ბ ი ს (ძერწვის) საშუალებით, მოცულობითი სხეულის სამგანზომილებიანი ასახვის გზით. ძერწვა მოქანდაკეს საშუალებას აძლევს, იმგვარად დაამუშავოს ქანდაკების ზედაპირი, რომ შესაძლებელი გახდეს შუქისა და ჩრდილის გარკვეული ეფექტების მიღება.

ქანდაკება თავისი ხასიათით რამდენიმე სახისაა. ქანდაკება, რომელიც ზუსტად ასახავს საგნებს სამ განზომილებაში, სივრცეში, მათს ბუნებრივ ურთიერთდამოკიდებულებაში — მ რ გ ვ ა ლ ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა ს წარმოადგენს; თუ გამოძერწილი ფიგურები ბრტყელ ან ამოზნექილ ზედაპირზეა მოთავსებული (კედელი, ქვის ფილა, ჭურჭელი), ამგვარი ქანდაკება რელიეფს წარმოადგენს. იმის მიხედვით, თუ ფიგურის მოცულობის რა ნაწილია ფონიდან ამოწეული, განასხვავებენ ორგვარ რელიეფს: ქანდაკება, რომელიც ფონის სიბრტყესთანაა დაკავშირებული და ამასთანავე ინარჩუნებს თავის ბუნებრივ მოცულობას, ხოლო ფონის სიბრტყიდან თავისი მოცულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარზე მეტადაა ამოწეული, *ჰორელიეფად* (მაღალ რელიეფად) იწოდება; თუ რელიეფური გამოსახულება თავისი მოცულობის ნახევარზე ნაკლებადაა ამოწეული ფონიდან, *ბარელიეფად* (დაბალ რელიეფად) იწოდება.

ქანდაკების ყველა ამ სახეობას თავისი საკუთარი მხატვრული კანონები გააჩნია. რელიეფი ერთგვარად ენათესავება ქანდაკებასაც და მხატვრობასაც; იგი სამგანზომილებიანია, მოცულობითია, როგორც ქანდაკება და. ამასთან, მხატვრობის მსგავსად, სიბრტყეზეა განფენილი. ბარელიეფს ხელოვნებაში შეაქვს გარკვეული ელემენტი, რომელიც არ გვხვდება მრგვალ ქანდაკებაში. ეს არის პერსპექტივის ეფექტი, მახლობელი და უფრო დაშორებული ფიგურებისა და საგნების ურთიერთდაკავშირების განსაკუთრებული წესი. დროთა განმავლობაში რელიეფი რთულდებოდა, ფიგურებს ემატებოდა მრავალრიცხოვანი დეტალები, ბუნების სხვადასხვა საგანი, პეიზაჟი, ის, რაც თავდაპირველად მხოლოდ ფერწერისთვის იყო დამახასიათებელი.

ქანდაკებასთან არის დაკავშირებული გამოყენებითი ხელოვნების ბევრი სახეობა — მონეტების, მედლების ჭრა, საიუველირო ნაკეთობათა ორნამენტები, იარაღის შემკობა სხვადასხვა გამოსახულებებით.

ქანდაკების შექმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ემორჩილება პროპორციების, რიტმის, ჰარმონიის გარკვეულ კანონზომიერებებს.

გზა, მოქანდაკის ჩანაფიქრიდან — დასრულებულ ნაწარმოებამდე რამდენიმე ეტაპს მოიცავს. თუ ხუროთმოძღვრისათვის ან ფერმწერისათვის საკმარისია ჩანაფიქრის ქაღალდზე გადატანა, მოქანდაკემ თავისი პირველი აზრი, ჩანაფიქრი აუცილებლად უნდა გამოხატოს ესკიზში (თიხისა ან ცვილისაგან). მცირე ზომის ეს მონახაზი, რომელიც გადმოსცემს ნაწარმოების მთავარ იდეას, ქანდაკების შექმნის საწყის ეტაპს წარმოადგენს. ამ ესკიზის მიხედვით სრულდება ნატურალური სიდიდის თიხის მოდელი, საიდანაც კეთდება სამსხმელო ფორმა და ჩამოისხმება თაბაშირის მოდელი. ქანდაკება დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გადატანილი იქნება საბოლოო მასალაში (ქვა, მარმარილო, ბრინჯაო და სხვ.).

ქანდაკების შექმნის ამ ეტაპებს განსხვავებული ტექნიკური ხერხები შეესაბამება: *ძერწვა* — რბილი, პლასტიკური მასალის მიმატებით სასურველი ფორმის მიღება, *ჩამოსხმა* — მოდელიდან აღებული ფორმიდან, გამოკვეთა, *ჭრა* — დასამუშავებელი მასალის ნაწილის ჩამოცილება საჭირო ფორმის მისაღებად. ძველად მოქანდაკის ნამდვილ შემოქმედებად მხოლოდ ეს უკანასკნელი პროცესი ითვლებოდა. აქედან წარმოსდგება ხელოვნების ამ დარგის ლათინური სახელწოდება *სკულპტურა*. სკულპო — ვჭრი, ვკვეთ).

ქანდაკების შესაქმნელად სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მასალას აძლევდნენ უპირატესობას. გრანიტს, რომელიც თავისი სიმაგრის გამო არაჩვეულებრივად ძნელია დასამუშავებლად, ოსტატურად იყენებდნენ ძველ ეგვიპტეში, კეთილშობილი თეთრი მარმარილო კი ბერძენ მოქანდაკეთა საყვარელ მასალას წარმოადგენდა; რომაულ ხანაში ხშირად გამოიყენებოდა ფერადი ქვები, შავი და წითელი მარმარილო. ხე, როგორც ქანდაკების მასალა, ჯერ კიდევ ეგვიპტელების მიერ იყო გამოყენებული. ქანდაკების მასალად ხეს ფართოდ იყენებდნენ შუა საუკუნეების ევროპაში, განსაკუთრებით — გერმანიაში. დღემდე დიდი რაოდენობითაა შემონახული ხისგან ნაკვეთი საკურთხევლები. მცირე ზომის ქანდაკებისათვის სპილოს ძვალი გამოიყენებოდა. იგი გვხვდება ძველ ეგვიპტეში, მაგრამ თავის აყვავებას სპილოს ძვლის ქანდაკებამ ბიზანტიაში მიაღწია.

ქანდაკება თავისი ბუნებით ძალზე მეტყველია, თუმცა ზოგ შემთხვევაში, მისი შესაძლებლობები ერთგვარად შეზღუდულია, მაგალითად, მძაფრი მოძრაობა ქანდაკებაში უფრო ძნელი გადმოსაცემია ვიდრე მხატვრობაში; სამაგიეროდ, ქანდაკებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს განათებას, შუქს. სწორედ შუქისა და ჩრდილის გადასვლები ანიჭებენ ქანდაკებას ნამდვილ სიცოცხლეს. ფერმწერისაგან განსხვავებით, მოქანდაკე სარგებლობს რეალური სინათლის მთელი ცვალებადობით და ნაირფერობით. ქანდაკების ზედაპირის დამუშავების დროს ხელოვანი მუდამ ითვალისწინებს ამ რეალურ განათებას, ანგარიშს უწევს ზედაპირის მიერ შუქის არეკვლის შესაძლებლობებს და მას თავის ჩანაფიქრს უმორჩილებს.

ქანდაკების სივრცობლიობა, მისი სამგანზომილებიანობა რეალურ განათებასთან კავშირში, ქანდაკებას განსაკუთრებულ სიცხოველეს ანიჭებს. ქანდაკების დიდ შთამბეჭდავ ძალაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული ქანდაკება აღიქმება როგორც გარკვეული ქალაქის ან ქვეყნის სიმბოლო. მაგალითად, მოქანდაკე ფალკონეს მიერ შესრულებული პეტრე I ქანდაკება აღიქმება, როგორც ამ მეფის მიერ აგებული ქალაქის სიმბოლო. და მართლაც, მოქანდაკის ამ ქმნილებას დიდი ზემოქმედების ძალა გააჩნია. ძლიერი ხელით აკავებს მეფე-მხედარი ყალყზე შემდგარ ცხენს, მისი შთაგონებული სახე მშვიდი და ძლიერია. არაჩვეულებრივი ძალა და ნებისყოფა იგრძნობა მის მოძრაობაში, მისი მარჯვენის მარტივ და მეტყველ ჟესტში. ამ ექსპრესიით აღსავსე ქანდაკებაში სრულყოფილად არის გადაჭრილი რთული მხატვრული ამოცანა.

რევოლუციური საფრანგეთის, ხალხის თავგანწირული ბრძოლის სიმღერად გაისმა ფრანგი მოქანდაკის ფრანსუა რიუდის სკულპტურული ჯგუფი პარიზის ტრიუმფალური თაღიდან. საბრძოლველად მიმავალ მეომართა ჯგუფს წინ მიუძღვის ფრთოსანი ქალი. ეს ჯგუფი ფრანგი ხალხია, ფრთოსანი ქალი კი საფრანგეთის სიმბოლოა. პარიზელებმა ამ ქანდაკებას უწოდეს „მარსელიეზა" — რევოლუციური ჰიმნი, რომელიც ბრინჯაოში განსახიერებული. ქანდაკების უფრო მეტი დაფასება წარმოუდგენელია.

„ყოველი ქვა ქანდაკებას შეიცავს, — ამბობდა მიქელანჯელო, — უნდა შესძლო ჩამოაშორო ყოველივე ზედმეტი და დღის სინათლეზე გამოაჩინო იგი". სწორედ მარმარილოს ლოდში შეიგრძნო ამ უდიდესმა ხელოვანმა ჭაბუკი დავითის სახე და მისმა ხელმა მარმარილოს ტყვეობიდან გაათავისუფლა ანტიკური ეპოქის გმირთა მსგავსი ჭაბუკი. მიქელანჯელოს *დავითი* თავისუფლებისმოყვარე ფლორენციის განსახიერებად იქცა.

გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკე ქალის — მუხინას სკულპტურა *მუშა და კოლმეურნე ქალი* პარიზის მსოფლიო გამოფენაზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი სიმტკიცისა და მომავლისათვის გმირული შრომის სიმბოლო გახდა.

მოქანდაკის ამოცანაა, გადმოსცეს ადამიანის ფიგურა მის ყველაზე დამახასიათებელ მდგომარეობაში. ქანდაკების ბუნებიდან გამომდინარე, მოქანდაკე ამჯობინებს სხეულის უფრო მშვიდ და მყარ მოძრაობას. მაგრამ ამასთან ქანდაკებას დიდი უპირატესობა აქვს ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით: მისი აღქმა უფრო მდიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი და რთულია; ყოველი მოცულობითი საგანი სხვადასხვა მხრიდან სულ სხვადასხვაგვარად აღიქმება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს არ არის საგრძნობი. მაგრამ მოქანდაკე მუშაობის პროცესში ამჩნევს ამ ნაირგვარობას და, სწორედ მოცულობითი საგნების ამ თვისების ხაზგასმით ამდიდრებს თავის ნაწარმოებს. ამგვარად, ქანდაკების მოცულობითობა, მისი ყოველი მხრიდან აღქმა — ქანდაკების წარმატების აუცილებელი პირობაა. ქანდაკებამ სხვადასხვა მხრიდან დათვალიერებისას სულ სხვადასხვა შთაბეჭდილება, სხვადასხვა განწყობილება უნდა შექმნას. აქ, ისე როგორც მუსიკაში, თითქოს ერთი მთავარი მელოდიის განვითარებასთან გვაქვს საქმე. სწორედ ასეთებია მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული. თვით ანტიკური ქანდაკებები ხომ რეალური ცხოვრების იდეალური სურათებია, მთელი თავისი ნაირგვარობითა და მრავალფეროვნებით.

ხანდახან ქანდაკება ფიგურათა ჯგუფისაგან შედგება. ასეთ შემთხვევაში ცალკეული ფიგურა ვერ აღიქმება ყოველი მხრიდან, საერთო პლასტიკური შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას მთელი ანსამბლის ხმოვანებით, ფიგურების ერთმანეთთან ჰარმონიული შეფარდებით, ქანდაკების ხაზთა გამომსახველობით. დიდ ხელოვანთა მიერ შესრულებული ამგვარი რთული ქანდაკებები განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ასეთებია ზემოთ ნახსენები მუხინას ქანდაკება, ანტიკური ეპოქის ცნობილი სკულპტურული ჯგუფი — ლ ა ო კ ო ო ნ ი და ბევრი სხვა.



ფალკონე. პეტრე პირველი.

ქანდაკების საწყისები შორეულ წარსულში იღებენ სათავეს. ყველაზე ადრეული ქანდაკებები პირველყოფილი თემური წყობილების დროიდან შემორჩა. ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად, ქანდაკებაც ასახავდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, მასში აღიბეჭდებოდა ადამიანის ყოფის, შრომისა და აზრის კვალი. ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის გამო, ქანდაკება ყოველთვის პასუხობდა საზოგადოების მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ქვის ხანის დროინდელი ნაქანდაკარი ასახავს იმ ეპოქის ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს, მის შრომით საქმიანობას. ამ ქანდაკებათა უმეტესობა გამოსახავს ცხოველებს, მიგვანიშნებს ნადირობაზე, როგორც პირველყოფილი ადამიანის ძირითად საქმიანობაზე.

საზოგადოების კლასებად და ფენებად დაყოფა, სოციალური ვითარების ცვალებადობა ქმნიდნენ წინაპირობებს ქანდაკების სხვადასხვა სახეობის ჩამოსაყალიბებლად, — თანდათან გამოიყო ქანდაკების სხვადასხვა ჟანრი: პორტრეტი, მონუმენტური ქანდაკება, საერო და საკულტო დანიშნულების ქანდაკება. დიდ მნიშვნელობას იღებს არქიტექტურულ ნაგებობათა შემკობა ქანდაკებებით. იგი ყოველთვის როდია დამოუკიდებელი, ხშირად გამოიყენება როგორც ხუროთმოძღვრების დამატება, როგორც პარკების, ბაღების, შადრევნების სამკაული. ასეთ ვითარებაში მოქანდაკე, ადამიანის ფიგურის გარდა, ხშირად იყენებს მცენარეულ და ცხოველურ მოტივებს. ყველა ამ შემთხვევაში ქანდაკება არ კარგავს თავის სპეციფიკას, იგი თავისი კანონების ერთგული რჩება, რაც განპირობებულია ქანდაკების მასალითა და შინაგანი ჰარმონიით.

ქანდაკება, ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, უფრო ახლობელი და გასაგებია ადამიანისათვის. მისი ხილვადი, კარგად გასარჩევი ფორმები ადვილია აღსაქმელად, მისი მოთავსება ღია ცის ქვეშ, პეიზაჟში, ბუნების წიაღში, ადამიანისათვის ჩვეულ გარემოში, თითქოს აახლოებს მას ადამიანთან. ამიტომაც არის, რომ ქანდაკებას ხალხზე დიდი ზეგავლენის ძალა აქვს და თვალსაჩინო საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. უდიდესი ყურადღება მიაქცია ქანდაკების განვითარებას დიდმა ლენინმა. ვ. ი. ლენინის მიერ იყო შემუშავებული „მონუმენტური პროპაგანდის“ გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანთა — მარქსის, რადიშჩევის, დობროლიუბოვის, გარიბალდის და სხვა მოღვაწეთა ძეგლების შექმნას, რათა ისინი ხალხის ხსოვნაში სამარადისოდ დარჩენილიყვნენ.

ყოველ ხალხს, ყოველ ეპოქას თავისი ხელოვნება გააჩნდა. თავისი ხელოვნების მოღვაწეები ჰყავდა. იმისათვის, რომ ღირსეულად შევაფასოთ ხელოვნების ნაწარმოები, სწორად შევიგრძნოთ ქანდაკების მთელი მშვენიერება და ძლიერება, აუცილებელია გავეცნოთ ქანდაკების განვითარების ძირითად ეტაპებს, გავეცნოთ წარსულის მდიდარ მემკვიდრეობას, თაობათა მიერ შექმნილი ხელოვნების მდიდარ საგანძურებს. მხოლოდ ასე შეგვიძლია ბოლომდე ჩავწვდეთ ხელოვნების იმ რთულსა და მნიშვნელოვან დარგს, რომელსაც ქანდაკება ეწოდება.



# ზაქარია ჭიჭინაძე

მოგონება

კვირა დილაა. მე და ჩემი ამხანაგი, სტუდენტი დავით ხოჭოლავა ფოთის ბაღში ვსეირნობთ. ხალხი ქუჩაში გამოფენილა. ზოგი ბაზარში მიეშურება, ზოგი ჩვენსავით სეირნობს, ზოგიც ეკლესიაში მიდის. 1920 წელია და ეკლესიას ჯერ კიდევ ჰყავს გულშემატკივრები.

ხეივნის პირას ვიღაც მოხუცი გამოჩნდა. მკლავზე კალათა ჰქონდა გადაკიდებული. კალათაში წიგნები ელაგა. ზაფხული იყო და ჭილოფის ქუდი ეხურა, ძველი, გახუნებული; საყინძე შეხსნილი ჰქონდა და პერანგი მოუჩანდა. უბრალო პიჯაკი და შარვალი ეცვა, რუხი, ამტანი ფერისა; ფეხსაცმელები — ძველი.

მოხუცი პატარა ტანისა იყო, მოკლეწვერებიანი. ხშირი და ბანჯგვლიანი წარბები ჰქონდა, სახე — კეთილი, თვალები შავი, მოციმციმე, ჩაფიქრებული და ჭკვიანი. თუ ეს თვალები არა, ჩვენ უეჭველად ჩავუვლიდით გვერდს ამ მოხუცს. შევჩერდით, დავაკვირდით. შეჩერდა მოხუციც და ტკბილი ქართულით მოგვმართა:

— ყმაწვილებო, ვასო ქადეიშვილის კიოსკს ვერ მიმასწავლით?

— კი, ბატონო! — ვუპასუხეთ ჩვენ, — აგერ ჩაჰყევით ხეივანს და...

ვასო ქადეიშვილი ფოთის მცხოვრები იყო. ჟურნალ-გაზეთების კიოსკი ჰქონდა, იყო საზოგადო მოღვაწე კაცი და ფოთში პერიოდულ პრესას ის ავრცელებდა. მაშასადამე, თუ ამ მოხუცს ვასოსთან აქვს საქმე, ესეც წიგნის კაცი იქნება. მაგრამ ეს კაცი, ეს მოხუცი, ჩვენ ფოთში არ გვენახა. დავინტერესდით და გავყევით უკან.

აი, კიოსკიც. ვასო ზის ფანჯარასთან და ჟურნალ-გაზეთების მოტანას ელის. მატარებელი სწორედ ამ დროს ჩამოდის თბილისიდან.

მოხუცი მიადგა ფანჯარას და ტკბილი ხმით სთქვა:

— ვასოს გაუმარჯოს!

ვასო დააკვირდა მოხუცს და შესძახა:

— ოჰ, ბატონო ზაქარია! მობრძანდით!

ვასო გამოვარდა კიოსკიდან, გადაეხვია მოხუცს და ორივენი კიოსკში შევიდნენ.

ხეივანში გამოჩნდა მასწავლებელი ალექსანდრე ცანავა. ის მეფის დროსაც ქართულს ასწავლიდა სამოქალაქო სასწავლებელში. იყო კეთილი, ჭკვიანი და ქალაქში დიდ პატივს სცემდნენ. ალექსანდრე მივიდა კიოსკთან და იკითხა, მოიტანესო თუ არა გაზეთები.

— აბა, შემოიხედე, ვინა მყავს? — უთხრა პასუხის ნაცვლად ვასომ.

ალექსანდრემ შეიხედა და ხალისიანად შესძახა:

— ოჰ, ბატონო ზაქარია! კეთილი იყოს შენი მობრძანება!

და შევარდა კიოსკში...

გამოჩნდნენ დიასახლისი ქალები, ხელში ჩანთებით. ბაზრისაკენ მიიჩქაროდნენ.

— ქალბატონო მარიამ! — გასძახა ერთ მათგანს ვასომ [illegible] ძანდი, რა გითხრა!

მარიამი მივიდა კიოსკთან. ვასომ რაღაც უთხრა. ქალს გაუხარდა და წამოიძახა:

— ზაქარია? ვეტყვი ჩვენებს, ვეტყვი.... ოჰ, როგორ გაეხარდებათ...

მარიამ ზამბახიძის ოჯახი ცნობილი იყო ფოთში რევოლუციური მოღვაწეობით.

კიოსკს მიადგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ექიმი კოწია მიქაბერიძე.

— გაზეთი? — იკითხა მიქაბერიძემ.

— გაზეთი საცაა მოვა, ბატონო კოწია, — უპასუხა ვასომ და ღიმილით დაუმატა: — რომ იცოდე, ვინ ჩამოვიდა! შემოიხედე!...

კოწია მაღალი კაცი იყო, ფანჯარა დაბალი. კოწიამ შეიხედა ფანჯარაში.

— ოჰ, ზაქარია! — მხიარულად შესძახა კოწიამ და შევიდა კიოსკში.

ახლა კი მართლა დაგვაინტერესა ამ ზაქარიამ. თუ კოწია მიქაბერიძე, დიდი საზოგადო მოღვაწე, ცნობილი ექიმი, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის პირადი მეგობარი, ასე გაახარა ამ მოხუცის ჩამოსვლამ, მაშასადამე... მაშასადამე, ეს მოხუცი, ეს ზაქარია, არაა უბრალო კაცი..

და ვკითხეთ ვასო ქადეიშვილს: ვინაა ეს კაცი?

— ზაქარია ჭიჭინაძე, — გვიპასუხა ვასომ.

— ზაქარია ჭიჭინაძეო?

ვის არ გაუგონია ზაქარიას სახელი? უანგარო საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ისტორიკოსი, მკვლევარი, დიდი პატრიოტი... წიგნებს წერდა, ბეჭდავდა და 3, 5 და 10 კაპიკად ავრცელებდა ხალხში. ასე იაფად. ხშირად უფასოდაც კი. ზაქარია დადიოდა ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ და დაჰქონდა თავისი წიგნები. მეფის დროს მოწაფეობისას, მის იაფიან წიგნებს ვყიდულობდით მოწაფეები და ვეცნობოდით ჩვენი ქვეყნის წარსულს. მეფის დროს სკოლაში ჩვენი ქვეყნის წარსულს არ გვასწავლიდნენ.

და აი, ეს ზაქარია ჭიჭინაძე, ეს ცოცხალი ისტორია, ახლა აქ იყო...

— შემოდით, გაიცანით! სწორედ თქვენა ხართ საჭირო, — გვითხრა ვასომ.

შევედით. გავიცანით. საჭირო კი იმიტომ აღმოვჩნდით, რომ ზაქარიას წიგნები ჩამოეტანა, 500 ცალი. აი, ნიმუშები აქაა, კალათაში, დანარჩენი ვაგზალზეა.

ჩქენ, დავითს და მე, შეგვეძლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დღეს გაგვესაღებინა ამდენი წიგნი მარგანეცის გადამტვირთველ ფოთის მუშებში. დავითი დამზღვევი სალაროს გამგე იყო, მე კი მუშათა პროფკავშირების მდივანი. ფოთის მუშები წიგნის მოყვარული ხალხი იყო და დაიტაცებდნენ წიგნებს.

ასეც გადაწყდა...

მოიტანეს გაზეთები და ხალხი მოაწყდა კიოსკს. ხალხმა რომ გაიგო, ზაქარია ჭიჭინაძე კიოსკშიაო, მოისურვა მისი ნახვა. ვასომ გამოიყვანა ზაქარია და წარუდგინა ხალხს. იგრიალა ტაშმა.

მაგრამ უსაზღვრო იყო ხალხის გაოცება. ასეთი დიდი საზოგადო მოღვაწე, დიდი ეროვნული მოამაგე, ასე უბრალოდ, ასე უპრეტენზიოდ იყო ჩაცმული. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ თავმდაბალი ადამიანი იყო. და მართლაც ასე თავმდაბლად წარუდგა ხალხს.

ხალხი კი — კვირა დღე იყო და მორთულ-მოკაზმული იდგა ხეივანში.

ერთადერთი კაცი, რომელსაც ყველაზე დიდი სახელი ჰქონდა, ხოლო ტანისამოსი და გამომეტყველება ყველაზე უბრალო, ზაქარია იყო...

1932 წელია. საქართველოს მწერალთა კავშირში დიდი ამბავია. არჩევენ ახალ დადგენილებას მწერალთა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ფოიე სავსეა სტუმრებით. ნემსი არ ჩავარდება ლიანგში.

ფოიეში, ბუხართან, მიტუზულა ზაქარია და ჯოხს დაყრდნობია. აცვია სადად, ძალიან სადად, დგას დინჯად და უჩუმრად. გვიან მოვიდა და ვერ შესულა დარბაზში.

გაისმა ზარის წკრიალი და თავმჯდომარემ გახსნა კრება. სწორედ ამ დროს განიერი ნაბიჯებით შემოვიდა ფოიეში პაოლო იაშვილი. მაღალი, თავაწეული, ამაყად აღერებული, ფართო მხარბეჭიანი პაოლო ლაღად მიარღვევს ლიანგს. და უცებ თვალი მოჰკრა ზაქარიას. მივარდა, ხელი ჩაავლო მკლავში.

— ბატონო ზაქარია, თქვენ აქ რათ დგეხართ?...

და გასძახა ხმამაღლა:

— ამხანაგებო! ზაქარია ჭიჭინაძე მობრძანდა! გზა მიეცით ზაქარიას!..

ზაქარია ჭიჭინაძეო?!..

ხალხი გაირღვა შუაზე და ცოცხალ დერეფანში შევიდნენ ჭაღარა ზაქარია და მუქქოჩორა პაოლო. ზაქარია მიდიოდა წინ, ხოლო ერთი ნაბიჯით უკან, მკლავში ხელგაყრილი მიჰყვებოდა პაოლო. შევიდნენ დარბაზში.

— ზაქარია ჭიჭინაძე მობრძანდა! — გასძახა პაოლომ დარბაზს.

წამოიშალა დარბაზი, იგრიალა ტაშმა და პაოლო იაშვილმა მამაშვილური მოწიწებით პირველი რიგისკენ წაიყვანა ზაქარია ჭიჭინაძე.

ზაქარიას ჭკვიანი თვალები უციმციმებდა, კეთილ სახეს ნათელი ღიმილი უმშვენებდა, მარჯვნივ და მარცხნივ თავს უკრავდა მწერლებს და...

და ისევ-ისე თავმდაბლად ეჭირა თავი, თითქოს...

თითქოს ქართველი ერის წინაშე ნახევარი საუკუნის სახელოვანი სამსახურის გზა არ ჰქონოდა გავლილი...

**როდიონ ქორქია.**

## არსენას ლექსი

„არსენას ლექსი" ქართული ზეპირსიტყვიერების ერთერთი მარგალიტია. აგერ უკვე ასი წელია ამ ლექსის სტრიქონები თაობიდან თაობაში გადადის.

ამ ლექსით ხალხმა საუკუნო ძეგლი აუგო არსენა ოძელაშვილს — ხალხის ქომაგსა და თავისუფლებისათვის მებრძოლ უბრალო ადამიანს.

არსენას ლექსი მრავალჯერ არის გამოსული ქართულად, მაგრამ ეს გამოცემა იმითაა განსაკუთრებული, რომ იგი შესანიშნავად დაასურათა მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ. წიგნი გრაფიკულად შემკულია ქართული ხალხური ორნამენტებით, მატერიალური კულტურის ნიმუშებით, აგრეთვე გრაფიკული ილუსტრაციებით, რომლებზეც მხატვარი თითქმის ათ წელიწადს მუშაობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოემის ტექსტი, ძველი ქართული მანერით, მთლიანად ხელითაა გადაწერილი.




## დევგმირი გუნანი

მონღოლური ზღაპრები, რომლებიც გაერთიანებულია საერთო სათაურით „დევგმირი გუნანი" — დამუშავებულია მწერალ ნ. ხოძას მიერ. ამ ძალზე კოლორიტულ, საინტერესო ზღაპრებში უხვადაა გაბნეული ძველი აღმოსავლეთის სიბრძნე. ზღაპრები მოგვითხრობენ მეგობრობაზე, სწავლასა და შრომაზე, სიყვარულზე, სიმართლისა და სიკეთის უძლეველობაზე. ჩვენი მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს ამ შესანიშნავ ზღაპრებს.

## ახალი წიგნები



ეროვნული ბიბლიოთეკა



როსტომ ელანიძე

# [illegible]

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

[illegible]

## მძიმე ტვირთი

დილაადრიან, ჩაქუჩებითა და რკინის ნიჩბებით შეიარაღებული ბიჭები მდინარის შესართავისკენ დაეშვნენ. ისეთი ამბით მიდიოდნენ, გეგონებოდათ, ნამდვილი მკვლევარები არიანო... გადადიოდნენ კლდიდან კლდეზე, ლოდიდან ლოდზე, მიძვრებოდნენ, მიხოხავდნენ, ეჭვითა თუ იმედით ჩაჰყურებდნენ ყველაფერს. თვითონვე გრძნობდნენ, როგორ გაუმახვილდათ თვალი. უკვირდათ, რამდენ ისეთ რამეს ამჩნევდნენ მდინარის ფსკერზე, ნაპირებზე, შლამში, ქვიშაში, კლდე-ლოდებში, რომლისთვისაც სხვა დროს ყურადღებაც არ მიუქცევიათ.

მიდიოდნენ ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე. რომელიმე მათგანი წააწყდებოდა რაღაც უცნაურ ქვას, იღებდა ხელში, ამტვრევდა, სინჯავდა... შემდეგ წამოეწეოდა ამხანაგებს და უჩვენებდა. თვითონ აქებდა, ისინი უწუნებდნენ...

— ჩვენ ასე გვიან ჩავალთ ნარიანში, — უთხრა ნუგზარმა ამხანაგებს, — ჯერ შესართავთან ჩავიდეთ და იქიდან ამოვყვეთ, ეს ქვები არსად არ გაგვექცევა.

— სწორია, ასე სჯობია, — დაეთანხმნენ თანამგზავრები. სულ მალე შესართავსაც წაადგნენ. ცოტა შეისვენეს, დანაყრდნენ და შემდეგ შეუდგნენ კვლევა-ძიებას. ჯერ მდინარის ფსკერი ამოხვეტეს, ამოალაგეს რაგინდარა ფერის ქვა და კენჭი. ერთი უცნაური მოვლენა შენიშნეს — ფერადი ქვები და კენჭები მდინარეში ისე ელვარებდა, გეგონებოდათ, ნამდვილად რაღაც ძვირფასი მადანიაო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მზის სხივები ეცემოდა. მაგრამ, როგორც კი წყლიდან ამოიღებდნენ, ეკარგებოდათ ის ბრწყინვალე ფერი. ბიჭების პირველი აღტაცებაც ნელდებოდა... ნუგზარმა ამასთან დაკავშირებით ასეთი წესიც კი შემოიღო: ნაპირიდან იღებდა რომელიმე ფერად ქვას, ჩააგდებდა მდინარეში და აკვირდებოდა; შემდეგ ისევ ამოიღებდა. რომელი ქვაც ნაკლებად იცვლიდა ფერს, იმის ნატეხებს ზურგჩანთაში ყრიდა...

ასევე მოიქცნენ სხვებიც და შუადღემდე იმდენი ფერადი ქვა შეაგროვეს, ისე დაუმძიმდათ ზურგჩანთები, რომ ზიდვა გაუძნელდათ

ერთგან, წყაროსთან, ჩამოსხდნენ, ზურგჩანთებიდან ქვები წამოყარეს, თავთავიანთი ქვები ცალ-ცალკე დაალაგეს — აბა, ვნახოთ, ვინ უკეთესი მადანი იპოვაო. რომ გადახედეს და შეადარეს, სიცილი აუტყდათ... სამივეს ერთნაირი ქვები შეეგროვებინა...

— თქვე კაი კაცებო, რაღა ყველანი ვიწყვეტთ წელს, — უთხრა გიგამ ამხანაგებს, — ამ ქვებიდან ერთი კარგი კოლექცია გავაკეთოთ, რაც ზედმეტია გადავყაროთ.

— სულაც რომ გადავყაროთ, უკეთესია, — ვითომ იხუმრა თენგიზმა...

— გაგიჟდი?! — შეუტია ნუგზარმა, — იმ მაჯლაჯუნა ნოდარმა რაღაც ჭიები ამოკრიფა მდინარიდან, ორ წელზე მეტ ხანს შეინახა და მერე იმ ჭიების ბუდეებზე გეოლოგებმა ოქრო აღმოაჩინეს. შენ კი ახლავე წუწუნი დაიწყე?

— არა, კაცო, იხუმრა! — გაიცინა გიგამ და თავისი ქვების გადარჩევას შეუდგა. მას ამხანაგებმაც მიბაძეს. თავიანთი ქვებიდან ყველაზე საუკეთესოებს არჩევდნენ და საერთო კოლექციას უმატებდნენ. ამასობაში ცილაობაც მოუვიდათ — არა ჩემი ჯობია, არა ჩემიო.

ყველაზე საინტერესო ნაპოვნი აღმოჩნდა კარგა მოზრდილი თეთრი კირქვის ნატეხი, რომელშიაც სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ლოკოკინის ნიჟარები იყო ჩაკირული.

,,მკვლევარებმა" კარგა ხანი იდავეს ამ ნატეხზე.

გიგას დიდად მიაჩნდა თავისი ნაპოვნი, ნუგზარი კი არაფრად არ აგდებდა:

— მაგ ნიჟარებს ეს ფერადი ქვა მირჩევნია, — ვინ იცის აქიდან რა გამოდნეს, ნიჟარა კი ნიჟარად დარჩება...

— არც ეგრეა საქმე, ნუგზარ, — მიეშველა გიგას თენგიზი, — ეს ნიჟარებიანი ნატეხი გეოლოგებთან რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხვდეს, ხმას ამოიღებს და რაღაც საინტერესო ამბავს იტყვის.

დავა ალბათ გაგრძელდებოდა, თენგიზს რომ არ აეჩქარებინა ამხანაგები:

— შეხედეთ, მზემ შუადღე გადაიარა და ჩვენ რამდენი გვაქვს გასავლელი...

გადარჩეული ქვები ერთ ზურგჩანთაში ჩაყარეს და კვლავ გაუყვნენ ხეობას. ახლა ისეთ ქვებსა და კენჭებს აგროვებდნენ, რომელთანაირიც მათ კოლექციაში არ იყო. მზის ჩასვლისას მიაღწიეს თავიანთი სოფლის ბოლომდე. იქ ხელახლა გადაარჩიეს შეგროვილი ქვები და სოფელში შევიდნენ. მადნეულის შესანახად თენგიზის სახლი აირჩიეს. იქ, ერთ მყუდრო ადგილას, ისე დააბინავეს, რომ არავის შეუმჩნევია.

ის იყო სამივენი ახლა ნოდარის სახლისკენ აპირებდნენ წასვლას გეოლოგიური პარტიის ამბების გასაგებად, რომ ამ დროს ეზოში თენგიზის ბიძამ — თომამ შემოალაჯა. მას ფერმიდან ცხენები ჩამოერეკა სურსათის წასაღებად.

რაკი გადაწყვეტილი ჰქონდათ, მდინარე თერჯის სათავესთან საქონლის ფერმაში ასულიყვნენ, ძია თომას ნახვა კარგა ხანია უნდოდათ. ბიჭებმა იხელთეს დრო და საუბარში შეაპარეს, ფერმაში აგვიყვანეო.

ძია თომამ არათუ უარი უთხრა თხოვნაზე, უფრო შეაგულიანა:

— წამოდით, ჭინკებო, წამოდით. ერთს რაშზე შეგსვამთ, მეორეს — ჯორზე, მესამეს — იორღა ვირზე და იალაღებზე ისე აგაფრენთ, ვერც კი გაიგოთ. ოღონდ, თქვენი უფროსებისაგან დასტური მინდა.

— აბა, უნებართვოდ როგორ იქნება. ძია თომა, — წამოსწია კისერი ნუგზარმა.

— ჩვენ , პირიქით, სკოლიდან დავალება გვაქვს, სამივემ თქვენს ფერმაში გავიაროთ ამ ზაფხულს პრაქტიკა, — თქვა გიგამ.

— თქვენი მონა-მორჩილი ვიქნებით, უთქვენოდ ფეხს არსად გადავდგამთ, — დაადასტურა თენგიზმა.

ბიჭებს თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდათ, მდინარის ქვედა წელში რამდენიმე ხანი კიდევ ემუშავნათ, მაგრამ კარზე მომდგარი ძია თომას ბედაურების ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა...

— რაკი აგრე გაქვთ გადაწყვეტილი, დილით ადრე უნდა გამოცხადდეთ ჩემთან, რომ, სანამ დაცხება, მოვასწროთ იალაღებზე ასვლა, — უთხრა დამშვიდობებისას ძია თომამ ბიჭებს.

უთენია მივიდნენ ზურგჩანთააკიდებული ბიჭები ძია თომას საჯინიბოსთან. თითოეულს თან გამცილებელიც მოჰყვა სახლიდან. ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ფერმის გამგე, რომ მისი თანამგზავრები თვითნებურად არ მიდიოდნენ მთაში...

ძია თომამ შეურჩია საფერხეები: თენგიზს თვირთვილა იაბო შეხვდა, გიგას — ჩალა ცხენი, ნუგზარი, თითქოს განგებ, ჯორზე შესვა და თან დააყოლა:

— აქაოდა ჯორიაო, არ დაიწუნო, ვაჟო. ამ ცხენის რემაში ეს ყველას ჯობია; ისე წაგიყვანს, გეგონება, „ტუ-104-ში“ ვზივარო...

ნუგზარს თავიდანვე არ ესიამოვნა ჯორის ზურგი, ეგონა ყველაზე კარგ ბედაურზე შევჯდებიო, მაგრამ თომას ვეღარაფერი გაუბედა...

დაიძრა ქარავანი; მთისკენ ორი გზა მიდიოდა: ერთი — ჩიკოლას გორიდან, მეორე — მდინარე თერჯის ხეობაზე. თანამგზავრებმა სთხოვეს ძია თომას, ხეობას გაყოლოდნენ და ისიც დაეთანხმა.

მდინარე თერჯის ხეობა მთის ძირებიდანვე ქვესკნელში იყო ჩაკარგული, კლდე-ლოდიანი, გაუვალი ტყით დაბურული, მხოლოდ ზოგ ადგილას იყო ფართოდ გაშლილი ჭალა; მდინარესაც მხოლოდ იქ მოუჩანდა კარგად ფსკერი, შედარებით წყნარად მიღელავდა ტოტებად დაშლილი — თითქოს ისვენებსო კლდეებზე ტანდაჟეჟილი, დაქანცული. მაგრამ ჭალა მალე თავდებოდა, მდინარის ტოტები ისევ ერთდებოდნენ; იკუმშებოდა მდინარე, ვარდებოდა კლდეზე, იმსხვრეოდა და ღრიალებდა...

მდინარის პირას კლდე-ლოდებზე გაბმული თუ მთის ციცაბოებზე დაკიდებული გზა-ბილიკი, რომელსაც მგზავრები მიჰყვებოდნენ, კიდევ უფრო აძლიერებდა უძირო ხეობის სიმკაცრეს...

პატარა მკვლევარები პირველად იყვნენ ასეთ მგზავრობაში და შიშითა და აღტაცებით შეჰყურებდნენ ყველაფერს. არ ეგონათ, თუ ის ხეობა ასე საშიში და მიუვალი იქნებოდა... ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდნენ: ვაითუ გეგმა ჩაგვეშალოს, ვერაფერს გავხდეთო. ახლა იმის იმედიღა ჰქონდათ, შეიძლება სათავისკენ უკეთესი ადგილები იყოსო, მაგრამ რაც ზევით ადიოდნენ, უფრო უარესდებოდა.

ტყე არა და არ თავდებოდა, არც მთები ჩანდა, არც ბარი, მხოლოდ ატყორცნილ ხეებს შორის კიაფობდა ცის ლურჯი ნაფლეთები.

ბიჭებს მოსწყურდათ, მოშივდათ, თანაც დაიღალნენ საფერხეებზე ჯდომით, მაგრამ ითმენდნენ, უფროსს ვერაფერს ეუბნებოდნენ.

— კოსმოსში ხომ არ მივდივართ? — გაეხუმრა თენგიზი ბიძას...

—არა, ჩემო ჩიორებო, ჩვენი მთები უფრო ზევითაა, ვიდრე კოსმოსი.

კოსმოსზე საუბარს სხვებიც აჰყვნენ. ამასობაში ერთგან, გზისპირას, მწვანე ვაკეს წააწყდნენ. იქვე კლდეზე წყარო გადმოწკრიალებდა ჟანგმოდებული.

— აქ შევისვენოთ, — თქვა თომამ. — ცხენებიც დანაყრდებიან და ჩვენც. თანაც მჟავე წყალს დავლევთ. აგერ, ჟანგი რომ ყვითლად აქვს მოდებული, რკინიანი წყალია, ბევრ ავადმყოფობას შველის თურმე.

— პაპაჩემისაგან გამიგონია, ძია თომა, რომ ამ ხეობაში, სწორედ აქ, მჟავე წყალთან ახლო, დევებს უცხოვრიათ და იმათი გამოქვაბული ახლაც არისო, — თქვა გიგამ.

— სწორედ ახლა მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის, კარგია, რომ გამახსენე, — დაიწყო თომამ. — აგერ, ჩვენს პირდაპირ, მდინარის გაღმა, კლდეში ხვრელი რომ მოჩანს შავად, აი ეგ არის ის დევების გამოქვაბული, პაპაშენს რომ უამბნია. ვინ იცის, დევები იყვნენ თუ არა, მაგრამ მანდ რომ ვიღაცებს უცხოვრიათ, ეგ უტყუარია. წინათ თურმე მდინარემდე ჩამოდიოდა კლდეში შესასვლელიდან საფეხურები. შემდეგ კლდის წინა ნაწილი მომზღვლეულა და დარჩენილა დევების ბუნაგში შესასვლელი ხვრელი ეგრე პიტალოდ ჩამოლესილ კლდეში. თურმე ფრინველსაც კი არ შეუძლია იქ მისვლა, არამც თუ ადამიანს.

ერთ მონადირეს უცდია შესვლა. ხევიდან ხვრელამდე საფეხურები გაუკეთებია. ასულა თუ არა, კიდევ მომზღვლეულა უზარმაზარი კლდე და, ის მონადირე ქვესკნელში ჩაუტანია. იმის შემდეგ აღარავინ გაჰკარებია მაგ ადგილს, ზოგი ამბობს, დაწყევლილიაო, ზოგი კიდევ — ქაჯები ცხოვრობენო...

— ერთი შემიყვანა შიგა და... ვინ იცის, რამდენი საინტერესო რამაა იქ, — თქვა ნუგზარმა...

— მართლაც, თუ დევები ცხოვრობდნენ, ხომ დარჩებოდათ იარაღი, ჭურჭელი, ტანსაცმელი.

— დევებს ტანსაცმელი როდისა სცმიათ.

— იარაღი, ხომ ჰქონდათ, — გააჩაღეს ბავშვებმა კამათი, მაგრამ ძია თომამ — წასვლის დროაო და ბიჭები ისევ შესხდნენ საფერხეებზე.

გზა კიდევ უფრო აღმართი და გრძელი გამოდგა. ტყე კარგა ხანს არ დაილია, ოღონდ — იალაღს რომ მიუახლოვდნენ, უფრო გათხელდა, შეცოტავდა, ხეებს სიმაღლე მოაკლდათ, ხავსი მოემატათ. ზოგიერთი ისე განმარტოებულიყო — გეგონებოდათ, ტყეს გაჰქცევიაო.

ტყის ზემოთ, ხშირი ბალახით დაფარულ ფერდობზე, გზამ აღმოსავლეთისკენ გადაუხვია. მდინარე თერჯის სათა-

ვეც იქვე დაუხვდათ, — ხევში პატარ-პატარა წყაროებისაგან იკრიბებოდა, ზოგი კლდიდან გადმოწკრიალებდა, ზოგი — ქვიშაში მოჩუხჩუხებდა; ზოგი ისეთი მცირე იყო, თვალს ძლივს ახელდა, ქვიშაში არა ჩანდა. ყველა ისინი ცალ-ცალკე, უხმოდ, უღონოდ მიედინებოდნენ და ქვევით იკრიბებოდნენ, ერთდებოდნენ ერთ მდინარედ, რომელიც ძლიერი ხმაურით იქვე, კლდეზე ეშვებოდა.

— ეს არის ჩვენი სოფლის მდინარის სათავე, — თქვა თომამ და ერთ-ერთ წყაროს ხარბად დაეწაფა.

პატარა მგზავრები მაშინვე ჩამოქვეითდნენ და დაუწყეს მდინარეს ჩხრეკა: ერთმა ქვიშა ამოხვეტა, მეორემ ბექი მოანგრია, მესამემ ფერადი კენჭები ამოკრიფა. ბოლოს, ცივი წყლით იჯერეს გული და გაუდგნენ გზას...

მალე ბინებამდეც ააღწიეს. იმდენი შენობა და ხალხი იყო, სოფელი გეგონებოდათ.

დამხდურებმა კარგად მიიღეს პატარა სტუმრები.

— დიდი სწავლის შემდეგ, ახლა ჩვენი „სკოლა“ უნდათ გაიარონ, — ისწავლონ საქონლის მოვლა, წველა, დღვება, ხაჭოსა და ყველის გაკეთება, — დასცინა თომამ თანამგზავრებს.

— ჰაი-ჰაი რომ, ცხოვრება დიდი სკოლაა, შვილო, — ჩაერია საუბარში მოხუცი პაპუნა. — მარტო ჭრელი წიგნები რას გახდება. ჩვენ ამათი ტოლები ვიყავით, ცხვრის ფარები რომ გვებარა, ნახირს დავდევდით უკან.

— ჰოდა, ახლა ამათაც ნახონ მწყემსის ჯაფა. დღეს იმდენი იჭანჭყარეს ამხელა გზაზე, რომ რაღა გითხრათ, — თქვა ისევ თომამ. — ახლა თქვენ იცით, როგორ შეინახავთ. მგონი აჯობებს, მელანოს ჩავაბაროთ, იმაზე უკეთესი მასწავლებელი მაგათ არავინ ეყოლება...

— ჰერიჰაა! ამათ იქნება ისე ჩაგვიჭირონ ამ ხბორნახირობაში, რომ კუდი ველარსაით გავაქნიოთ! — წასჩურჩულა ამხანაგებს გიგამ და სამივენი ახითხითდნენ.

## გათლილი ქვები

დილით, მდინარეზე წასასვლელად რომ ემზადებოდნენ, თენგიზმა ამხანაგებს ურჩია:

— უმჯობესი იქნება, ჩვენი საიდუმლო ბურთიკაანთ ჩაფიას გავანდოთ. გახსოვს, წუხელ რა ამბები მოყვა იმ დევების გამოქვაბულზე, ძია თომამ გზიდან რომ გვაჩვენა? სწორედ ეგ დაპირდა გეოლოგებს, — მთაში რომ ამოხვალთ, ყველა გზასა და ბილიკს გაჩვენებთო, ბარემ ჩვენ აქა ვართ და ჩვენ გვაჩვენოს არა ჯობია?

— ნამდვილად ჯობია. მაგან ხომ ხუთი თითივით იცის აქ ყველაფერი, — კვერი დაუკრა გიგამ. მაგრამ ნუგზარი სასტიკ უარზე დადგა:

— თუ სხვამ გვაჩვენა და გვასწავლა ყველაფერი, მაშინ რაღა ჩვენი აღმოჩენა იქნება.

ამის თქმა და მათი გამგზავრება ერთი იყო. მიადგნენ მდინარე თერჯის სათავეს და დაჰყვნენ თავქვე. კარგა ხანი იარეს. ყოველ ნაბიჯზე ამოწმებდნენ მდინარის ფსკერს, ნაპირებს, შედიოდნენ ნაპრალებში, მღვიმეებში; რამდენ ბუს, ჭოტსა და ღამურას დაუფრთხეს ტკბილი ძილი. ურტყამდნენ ჩაქუჩს მთის ქანებს, ამსხვრევდნენ ქვებს და იქიდან გადმოცვენილ სხვადასხვა ფერის მინარევებს სინჯავდნენ შეუიარაღებელი თვალითა თუ გამადიდებელი მინით. რომელიც ყველაზე ფერადი და ბრჭყვიალა იყო, იმას დიდის სიფრთხილით ინახავდნენ, თან უბის წიგნაკში იწერდნენ, რომელი ნატეხი სად და რა პირობებში იპოვეს.

ნუგზარი ერთგან მთის ბროლს წააწყდა. გახარებულმა იმხელა იყვირა, მთელი ხეობა ახმიანდა. რამდენიმე იყო ერთ საყრდენზე სვეტივით ლამაზად აღმართული, აქეთ-იქით გადაწეული, თითქოს ვიღაცას განგებ გაუთლია, დაუკუთხავს, თავზე წაუმახვილებია და ერთ საყრდენზე ჩაუკირავსო. პატარა მკვლევარებმა პირველად ნახეს ასეთი უცნაური ქვა და გაოცებულები ხელიდან ხელში იტაცებდნენ.

ნუგზარმა ჯერ წვეტიანი ქვა მოიმარჯვა, ბროლზე წარწერის გაკეთება





ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცადა, მაგრამ უბრალო ქვა მის სიმაგრესთან რას გახდებოდა; მერე დანა მოიმარჯვა და ისიც უძლური გამოდგა...

— ეს მარტო არ იქნება, — თქვა ნუგზარმა და იქვე ბექს დაუწყო წერაქვით თხრა...

— შეიძლება ზევით, მთაზე, ან ფერდობებზეა ამისი საბადო. ჯერ ყველგან მოვძებნოთ, — გააფრთხილა თენგიზმა ამხანაგები.

ნუგზარმა მაინც თხარა ერთ ხანს და, რომ ვეღარაფერი იპოვა, ამხანაგის რჩევას დაეთანხმა...

დაიწყეს ძებნა. სამივენი სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ. ერთ პატარა ხევში, სადაც ნუგზარი ჩავიდა, ჯერ ვიღაც უცხო კაცის ხმა, მერე ძაღლის ყეფა, ბოლოს კატების ჩხავილი და რაღაც უცნაური ხმაური მოისმა.

შიშისაგან ფერწასული ნუგზარი აქაქანებული მოვარდა ამხანაგებთან.

— გიგა, თენგიზ! იქ ვიღაცები არიან... ხომ გაიგონეთ კატების ჩხავილი, ძაღლის ყეფა... იქნებ ყაჩაღები არიან; წავიდეთ აქედან! რაღა ახლა გამოტყვრნენ ეგ ოხრები! ერთ უცნაურ კლდეს წავაწყდი — მზეზე შუშასავით ბრწყინავს, აქა-იქ ჟანგი აქვს მოდებული. იქვე გამოქვაბულები ჩანს, ერთგან ცეცხლის ნანთებიც კი იყო...

— თუ მართლა ეგრეა, იქ ნამდვილად მადანი იქნება, — თქვა თენგიზმა.

— შეიძლება ჩვენზე ადრე სხვებმა იპოვეს კიდეც და, ახლაც აქ არიან მიმალული. შენ რომ დაგინახეს, იმიტომ ასტეხეს ეგეთი ხმაური, არ უნდოდათ, რომ მისულიყავი.

— ან, შეიძლება, გეოლოგები ამოვიდნენ მანდ და ისინი არიან.

— ან, შეიძლება, სულაც მოჩვენებაა...

— როგორ თუ მოჩვენება, თქვენც ხომ გაიგონეთ! — გაცხარდა ნუგზარი.

— ჰოდა, ახლა მანდ კატებს რა უნდათ?

— შე ბრიყვო! კაცს არ შეუძლიან, კატასავით დაიჩხავლოს, ძაღლივით დაიყეფოს? არის ვიღაცა.

— რა ვქნათ, ხომ არ გავიქცევით! — გაამხნევა ამხანაგები თენგიზმა. — წავიდეთ, იმ ადგილს სხვა მხრიდან შემოვუაროთ, დავზვეროთ და გავიგებთ, რაშია საქმე! შეიძლება სულაც ჩვენი ბინიდან არის ვინმე. ან შეშაზე იქნებიან, ან სანადიროდ, ან ფუტკარს ეძებენ...

ამ აზრს ყველანი დაეთანხმნენ. იარეს და იმ ბრჭყვიალა კლდეს მოულოდნელად ზედ წააწყდნენ. ფრთხილად შეათვალიერეს. ის იყო მეორე მხრიდანაც შემოუარეს, სადაც ერთი ვეება ნეკერჩხალი იდგა, რომ სადღაც კატები აჩხავლდნენ, შემდეგ ძაღლი აყეფდა, მოისმა სტვენა. სტვენას კაცის ძახილი მოჰყვა. ბიჭები უსიტყვოდ მიჰყვნენ ერთიმეორეს. ჯერ კლდეს ამოეფარნენ, მერე ნეკერჩხლის ძირას აიტუზნენ. ისევ აყეფდა ძაღლი, ისევ აჩხავლდნენ კატები...

ფერწასული მემადნეები გაფაციცებით იყურებოდნენ ირგვლივ, თან ერთმანეთს ეკვროდნენ. ყეფა, ჩხავილი, სტვენა და კაცის შეძახილი კი არ წყდებოდა.

სულ მალე მაღლა, ნეკერჩხალზე ფრთხიალი გაისმა. ბიჭებმა უნებლიედ აიხედეს. თურმე, ჩხიკვები ყეფდნენ ძაღლებივით! ცოტა ხნის შემდეგ ისინი კატებივით აჩხავლდნენ, შემდეგ სტვენაზე გადავიდნენ.

— ესეც კარგი აღმოჩენაა! — თქვა გახარებულმა ნუგზარმა და ამხანაგებს მოეხვია, — რა ყოფილა და ჩვენ რა გვეგონა.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! — წამოიძახა ბოლოს თენგიზმა გაოცებით. — შეხედეთ, მანდ ბუდე ჰქონიათ. აგერ, ბარტყებს თავები მოუჩანთ. თურმე ამიტომ იყვნენ ამ ამბავში — ჩვენი შეშინება უნდოდათ, რომ ბარტყებს ახლოს არ გავკარებოდით...

— აკი შეგვაშინეს კიდეც! — ჩაიცინა ნუგზარმა, — წეღან, სულ პირველად, ისეთ მალაყებზე გადამატარეს, რომ შენი მოწონებული.

— ჩხიკვის შეშინებული! — მოყვნენ ბიჭები ხუმრობას და სიცილს. საშინლად აფორიაქებული ჩხიკვები კი დახტოდნენ ტოტიდან ტოტზე, ხანაც ბარტყებს ეფარებოდნენ.

— მოდი, ამათ ოინი ვუყოთ, ასე რომ შეგვაშინეს, — თქვა გიგამ.

— ჯობია, ჩვენს საქმეს მივხედოთ. აი, დააკვირდით იმ კლდეს, როგორ ბრწყინავს! — თქვა ნუგზარმა.

მართლაც, ასეთი კლდე ჯერ არსად ენახათ. მდინარის მარცხენა ნაპირზე იყო აღმართული. რაღაც უფორმო ქანებისაგან შედგებოდა. შიგ იყო ჩართული ვერცხლისა თუ რკინისფერი მინარევები...

— ნამდვილად რკინა ან ვერცხლი ვიპოვეთ! — გაიძახოდნენ ბიჭები ერთხმად და კლდეს ჩაქუჩებს სცემდნენ რაც ძალა და ღონე ჰქონდათ. კლდე ადვილად იმტვრეოდა, იფშვნებოდა, ოთხკუთხედი ბრჭყვიალა მინარევები კი კენჭებივით ცვიოდა.

— ახლა გაგვეჯიბროს ნოდარი თავისი ნაპოვნი ოქროთი!

— ჯერ სადა ხარ! ამ ხეობაში, ვინ იცის, რამდენ რამეს ვიპოვით...

— შეიძლება მადნის გარდა სხვა რამესაც წავაწყდეთ, — იძახდნენ ბიჭები და თან ხვითქი გასდიოდათ...

ცოტახანში იმდენი გათლილი ქვა დაგროვდა, რომ ბიჭები კი არა, ნუგზარის საფერხე ჯორიც ვერ დასძრავდა ადგილიდან.

კლდის მტვრევით გული რომ იჯერეს, მერეღა შეუდგნენ იქ აღმოჩენილი მადნის საბადოს დათვალიერებას.

ის მადნიანი კლდე მდინარის გასწვრივ, სადღაც ზევით, გაუვალ ტყეში იკარგებოდა. ქვევით, მდინარის ფსკერიც იმგვარივე კლდის ქანებისაგან იყო შემდგარი. მდინარეში რომ ჩაგეხედათ, ის ბრჭყვიალა, დაკუთხული ქვები ხშირად ვარსკვლავებივით კიაფობდნენ შიგ.

— ჩვენ რაღაც ცოდვა დაგვდევს თან, — უთხრა გიგამ ამხანაგებს; — ჯერ ამ საქმის ცოდნა არა გვაქვს, ვეძებთ რაღაცას, ვპოულობთ და არ ვიცით, რასა ვპოულობთ. ის გეოლოგები კი, სადაც რამეს იპოვნიან, ერთს დახედავენ და იტყვიან, არის სახეირო თუ არა.

— მოდი, ერთი ცეცხლში ჩავყაროთ ეს ჩვენი მადანი, ვნახოთ რას იზამს, — თქვა თენგიზმა და ცეცხლის დანთებას შეუდგა.

— შენც ახლავე ტყვიასავით არ დაადნო ეგ ქვები!

— უკეთესია, რუსთავში წავიღოთ გამოსადნობად! — მიაყოლეს დანარჩენებმა ხუმრობა. შეშის შეგროვებას კი მაინც შეუდგნენ.

შეშა რომ საკმაოდ მოაგროვეს, თეთრი, ბრტყელი კაჟის ქვები მონახეს. ყველაზე დიდი ქვა ძირს დააგეს, დანარჩენები გვერდზე შემოუყუდეს, შიგ მადანი ჩაყარეს. მას ჯერ ქვევიდან შეუნთეს ცეცხლი, მერე ზევიდან გააჩაღეს...

ცეცხლმა სულ მალე ალი მოიქნია. მადნის სადნობის ქვეშ ქვებმა ტკაცატკუცი დაიწყეს. ირგვლივ მიწა ჯერ გაშავდა, მერე გათეთრდა, დასკდა, დაიბზარა.

მადნის მდნობელებმა კარგა ხანი ადროვეს ცეცხლში გახვეულ „ღუმელს“ და, როცა იფიქრეს, ახლა ან ჰო, ან არაო, — შორიდან ჯოხით გამოჩხრიკეს... ეგონათ, მადანი გამდნარი, ჩანახშირებული ან ჩაფერფლილი იქნებაო, მაგრამ... ქვებს ოდნავ ჰქონდათ ფერი შეცვლილი, ეგ იყო და ეგ...

ნუგზარმა წყალი დაასხა გახურებულ ქვებს, არც ამით გამოვიდა რამე. ბოლოს ჩაქუჩით დაუწყეს ქვებს მსხვრევა და მერე სულ მიანებეს თავი.

მოპოვებული მადნის მთლიანად წაღება შეუძლებელი იყო, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ნიმუში აიღეს, დანარჩენი კი გამოქვაბულში შეინახეს და ბინაში დაბრუნდნენ.

მეორე დღეს, დილით ადრე, მელანომ სამივენი ჩაფიას გააყოლა ნახირში. პირობაც ხომ ისეთი იყო: ბიჭები პრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიკის მისაღებად იყვნენ ამოსულები და ამიტომ უხმოდ დაემორჩილნენ უფროსის ბრძანებას, თანაც უნდოდათ, ჩაფიასგან გაეგოთ რამე თერჯის ხეობის შესახებ.

თავიანთი გეგმა რომ არ დარღვეოდათ, თან წაიღეს მადნის საძიებელი მოწყობილობა. ბინას ცოტათი გასცდნენ თუ არა, ისევ წააწყდნენ გამჭვირვალე, გათლილ ქვებს — მთის ბროლს.

ჩაფიამ მათ მიერ შეგროვილ ქვებს რომ დახედა, ერთი ჩაიცინა და თქვა:

— ჰო, ამას სეტყვის ქვას ეძახიან! ესენი ჩვენი მდინარის ხეობაში ბევრია, — ოდესღაც სეტყვას ჩამოყოლია ციდან და დიდი ცოდო-ბრალიც დაუტრიალებია...

მაშინ ჩვენი სოფელიც ზევით, მთების ძირში ყოფილა. იქ უცხოვრია ერთ მდიდარ კაცს, სახელად შარმაზანს. იმ კაცს იმდენი ცხვარი ჰყოლია, იმდენი, თურმე ამ მთებზე არ ეტეოდა. ახლა რომ ჩვენი ბინებია, იქ პირველად იმისი ბინები ყოფილა. გოგო ჰყოლია ისეთი მზეთუნახავი, კაცი თვალს ვერ მოაშორებდაო.

ერთხელ, ის მზეთუნახავი აქ ამოუყვანიათ, ცხვრის ბინაში. ორი დღეც არ გასულა, რომ მამამისს კარზე მიადგა ერთი მშვილდ-ისრით შეიარაღებული ვაჟი და უთხრა:

— შენი მზეთუნახავი ქალი ცოლად უნდა გამომყვესო.

დიდად შეფიქრიანდა შარმაზანი, დიდ უარზე დადგა. ერთად-ერთი შვილი ჰყავდა და, აბა, იმ უცხოს როგორ გაატანდა...

მზეთუნახავი ბინის ახლოს ტრიალებდა. ამ ამბავს რომ ყური მოჰკრა, ფარეხში შეიმალა. ვაჟი ამაზეც დაღონდა, — როგორ თუ მე დამემალაო. ცხვრის პატრონს მან თხოვნა კიდევ რამდენჯერმე გაუმეორა და, ისევ ცივი უარი რომ მიიღო, უთხრა:

— მე ცათამპყრობელის შვილი ვარ, ღრუბლიას მეძახიან. ამ უარისთვის მაგრა განანებო.

უეცრად, იმ ვაჟს შავი ღრუბელი შემოეხვია, ელვის ისრები დაიკლაკნა, ერთი შემზარავად იქუხა და ცისკენ წავიდა...

ცხვრის პატრონმა თავისი მზეთუნახავი შვილი მაშინვე სოფელში წააყვანინა. მწყემსებს კი უთხრა:

— ცხვარს გაუფრთხილდით. ცოტათიც რომ მოიღრუბლოს, ბინისკენ გამოირეკეთო.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ცა უცბად მოღრუბლულა. ატეხილა ჭექა-ქუხილი და ისეთი ქარიშხალი ამოვარდნილა, ხეები ძირფესვიანად უგლეჯია კლდეები უნგრევია. ჯერ ნამდვილი სეტყვა წამოსულა, კაკლისოდენა, მერე ამ გათლილი ქვის სეტყვა მოჰყოლია და შარმაზანის ცხვარი ისე გაუწყვეტია, ერთი ბღავანა აღარ დარჩენილა...

მის მერე ამ ქვებს სეტყვის ქვებს ეძახიან. ჩვენს მთებზე და ხეობაში ყველგანა ყრია. ამბობენ, ამ ქვისგან ბევრ რამეს ამზადებენო, — დაასრულა ჩაფიამ თხრობა.

ბიჭები სეტყვის ქვამ კიდევ უფრო დააინტერესა. მის ძებნაში წააწყდნენ იმ გათლილ ქვებს — „ჩხიკვების კლდეში“ რომ ამტვრიეს. ჩაფიას ახლა ამ ქვების დანახვაზე აუტყდა სიცილი:

— ამ ქვებით ერთხელ მე მოვიწყვიტე წელი და თქვენც ისე არ დაგემარ-თოთ. იმ დროს თქვენზე მოზრდილ ვიქნებოდი. მაშინაც სწორედ აქეთ გა- მოვრეკე საქონელი. . აგერ, იქ რო კლდეა, სავსეა ასეთი გათლილი ქვე-ბით. იმ კლდეს პირველად წავაწყდ და, რომ შევხედე, გაოცებული დავრჩი „ეს ნამდვილად ძვირფასი მადანი იქ ნება-მეთქი“, — გავიფიქრე და დავიწ-ყე კაჟის ქვით მისი მტვრევა...

ვამტვრევ გახარებული. ვამტვრევ ვაგროვებ ამ ლამაზ ქვებსა და თან ფიქრის გორებსა ვდგამ: ავაშენე სოფელი გავიყვანე გზები, გადავჭიმე ხიდები დავდგი ცათამბჯენი სასახლეები... ვი-იცის, რაღა არ მოვისურვე, რა არ გავაკეთე... იმ ქვების მტვრევაში ხელი დავიჟეჟე, სახე დავიკაწრე. შემომაღამდა საქონელი დამეფანტა და მაინც არ მოვეშვი იმ მატყუარა კლდეს...

გონს რომ მოვედი, იმდენი კლდ-ჩამომენგრია, იმდენი მადანი დამეხვავებინა, — ძლივს დავძარი, თანაც ის-მომშივნოდა, ისე დავღლილიყავი, ფეხზე ძლივს წამოვდექი...

ჯერ კი გავიფიქრე: მადანს აქვე დავტოვებ და ხვალ წავიღებ-მეთქი. მაგრამ მერე ჩემს თავს მევე გავუწყერი:

— ხომ არ შეიშალე! ვინმემ რომ იპოვოს, ხომ დავიღუპები...

წამოვიკიდე იმ ქვებით გატენილი გუდა და ავედევნე საქონელს, ვაგროვებ, ვერეკები... ამასობაში ცა ისე მოღრუბლულა, კუპრივით არი მოქცეული... აქა-იქ წვიმის წვეთები ჩამოდის, თანაც ბინიდან კარგა შორსა ვარ. როგორც იქნა საქონელი მოვაქუჩე, დავთვალე, ორი მაინც მაკლდა. მეცვალა ფერი. ტვირთი ახლა უფრო მძიმედ დამაწვა. ღამდება. წვიმს. მადნის დატოვებასაც ვერა ვბედავ, ბინაში მიტანისაც მეშინია — იტყვიან: საქონელი ამ ქვების დევნაში დაუკარგიაო...

მივდივარ ასე დაღონებული, დამძიმებული და მივერეკები საქონელს. ბინას რომ მივუახლოვდი, ის ორი ძროხაც იქვე დამხვდა, — თურმე წინ წამოსულიყვნენ. ცხადია, იმათი პოვნით გულზე მომეშვა, ტვირთის სიმსუბუქე ვიგრძენი. გავთამამდი კიდეც. ასე მეგონა, ის კლდე ზურგზე მკიდია და იმდენი სიმდიდრე მიმაქვს, მთელ ქვეყანას ააშენებს-მეთქი.

ბინაში რომ მივედი, ჩემი ტვირთი ჯერ მოშორებით მოვიხსენი, შამბებში დავმალე. საქონელი მივრეკე, დავაბინავე, ახლა იმის ფიქრში ვარ, როგორ მოვიქცე, რომ არავინ შემეცილოს, არავინ წამართვას. პირველად ვის ვაჩვენო, ვისა ვკითხო...

ამ ფიქრსა და ღელვაში ჩამძინებია. განა ძილშიც მოვისვენე, — იმდენი სიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი ვნახე, ამ ჩვენს მთებზე არ დაეტევა.

უთენია გამომეღვიძა. მაშინვე წამოვდექი და ჩემი სიმდიდრის სანახავად გავიქეცი — ხომ არავინ წააწყდა-მეთქი...

თურმე ნუ იტყვით, თაგვები დაპატრონებოდნენ: გუდა დაეჭრათ, დაეკუწათ. მადანი მიწაზე ეყარა. ცუდ გუნებაზე დავდექი. უნებლიედ ვიფიქრე: მე ამ მადნეულით სოფელს ვაშენებდი და, ვაითუ ამ ერთ ძველ გუდადაც არა ღირდეს-მეთქი... მაგრამ მალე ისევ ოცნებას მივეცი თავი: ისევ ვაშენებ, ვალამაზებ ქვეყანას, მივქრი მთებზე, ღრუბლებზე ზევით...

ამ ამბავში ვარ და თან იმას ვფიქრობ, რაში ჩავყარო ჩემი მადანი, ან დღეს საგზალი რით წავიღო, გუდა ხომ აღარა მაქვს. ამ გასაჭირში რომ ვარ, უკანიდან ხარხარი შემომესმა. მივიხედე. სარქალი დამდგომოდა თავს. დაჰყურებდა ჩემს ნაპოვნ სიმდიდრეს, თაგვებისაგან დახრულ გუდას და ხარხარებდა. იმის ხარხარზე სხვებიც მოგროვდნენ, თითქმის მთელი ბინა იქ მოიკრიფა. ჩხრეკავენ მადანს, ატრიალებენ თაგვებისაგან დაფლეთილ გუდას და იცინიან... მე ვდგევარ იმედგაცრუებული, ოფლს მასხამს და თან ვფიქრობ: ეს გუდა ჯანდაბას. კიდევ კარგი, ის ორი ძროხა არ დავკარგე და მგელმა არ დაჭამა-მეთქი...

ბოლოს ბინის უფროსიც მოვიდა. ჯერ ბევრი იცინა, მერე გამამხნევა: ეს მაცდური მადანია, ქვასაცა ჰგავს და ვერცხლსაც. ამიტომ ჩვენში ქვავერცხლას ეძახიან. თანაც რა ლამაზად არის გათლილი. ამან ბავშვობაში მეც შენსავით შემაცდინაო.

ასე გადავრჩი ამ მადნის ცდუნებას და, ახლა თქვენც ისე არ დაგემართოთ. ცოტა შეაგროვეთ, ისე, სათამაშოდ. ეს სეტყვის ქვა კი ნამდვილად შეგროვების ღირსია და ბედი იმისი, ვინც მის დიდ საბადოს მიაგნებს სადმე ამ ხეობაში, — დაამთავრა ჩაფიამ.

ბიჭებმა ახლაღა შეხედეს ერთმანეთს გაოცებით, და... შეგროვილი ქვავერცხლა ხელიდან უნებლიედ დაუცვივდათ...





ნორჩი ისტორიკოსი თბილისელი X კლასის მოსწავლე ილია ანთელავა, განსაკუთრებული ინტერესით სწავლობს ჩვენი ქვეყნის წარსულს. მან დიდი მონდომება გამოიჩინა საქართველოს ისტორიის ზოგი საკითხის კვლევაშიც. იგი არის აქტიური წევრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტთან არსებული „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლისა“. წაიკითხა რამდენიმე მოხსენება, როგორც „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლაში“, ასევე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე (ერთ-ერთი მისი მოხსენების თეზისები დაიბეჭდა კიდეც სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისებში).

წარმატებით სწავლასთან ერთად ილია ანთელავა ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას საქართველოს ისტორიის შესასწავლად პროფ. შ. მესხიას ხელმძღვანელობით.

# ლევან II დადიანი

მეტად დიდია XVII საუკუნის წვლილი ქართული კულტურის ისტორიაში. ამ საუკუნეში ბევრი გამოჩენილი მამულიშვილი მოღვაწეობდა. ეს მეტად საგულისხმოა, რადგან XVII საუკუნე საქართველოს ძნელბედობის ხანა იყო.

ამ საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი ლევან II დადიანი.

ლევან დადიანი დაიბადა 1591 წელს, სამეგრელოში. მისი მამა იყო მთავარი მანუჩარ დადიანი, დედა კი — ალექსანდრე კახთა მეფის ასული. ლევანს დედა ძლიერ ადრე გარდაეცვალა, მამამ კი მეორე ცოლი შეირთო. ალექსანდრე ბაგრატიონმა, ლევანის პაპამ, მანუჩარს სთხოვა — გაეგზავნა მასთან შვილი. მანუჩარმა ხათრი ვერ გაუტეხა კახეთის მეფეს. მას შემდეგ ლევანი პაპასთან იზრდებოდა.

კახეთში იმ დროს არეულობა სუფევდა. ლეკები გათამამებულიყვნენ და ქვეყანას აოხრებდნენ. ირანის შაჰი — აბასი კბილებს ილესავდა. ალექსანდრე კახთა მეფემ არა ერთგზის გაგზავნა რუსეთს ელჩი; დაღესტნის ერთი ნაწილის — საშამხლოს პატრონის წინააღმდეგ ჯარისა სთხოვდა, მაგრამ რუსეთმა ვერ შესძლო დახმარების გაწევა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოგზავნა რუსეთმა მცირე ჯარი, რომელმაც თავდაპირველად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მალე დიდი დანაკარგი ნახა და უკან გაბრუნდა.

მშვიდობიანობა არც სამეფო კარზე იყო. ორი უფლისწული — დავითი და გიორგი — ერთმანეთს ტახტს ეცილებოდნენ. მათი მამა — ალექსანდრე დათმობას არ აპირებდა. მთელი რიგი შეთქმულებების შემდეგ ტახტი დავითმა იგდო ხელთ. ალექსანდრე ბერად აღკვეცა, ხოლო გიორგი ციხეში გამოკეტა. დავითის მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა: იგი მალე გარდაიცვალა. ტახტზე კვლავ ალექსანდრე ავიდა. მანუჩარ დადიანი, ეტყობა, თვალყურს ადევნებდა კახეთის სამეფო კარის ამბებს და, შეიტყო თუ არა დავითის მიერ მოწყობილი გადატრიალების ამბავი, თავისი შვილი მოითხოვა. ლევანი სამეგრელოში ჩაიყვანეს 1604 წელს. [illegible] დროს იგი 13 წლისა იყო. არ მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, თუ რა განათლება მიიღო ლევან დადიანმა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი — ოდიშის ტახტის მემკ-

ვიდრე და კახეთის მეფის შვილიშვილი — თავის დროისათვის შესაფერის კარგ განათლებას მიიღებდა.

1611 წელს, ნადირობის დროს დაიღუპა მანუჩარ დადიანი და სამთავრო ტახტზე 20 წლის ლევანი ავიდა.

ლევან დადიანმა დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა და თავიდანვე თავისი პაპის, ალექსანდრეს კვალს დაადგა. იგი კარგ ურთიერთობაში იყო ირან-ოსმალეთთან. ოსმალეთს იგი მცირე ხარკს უხდიდა და მოჩვენებით მორჩილებას უცხადებდა. ირანში ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ ელჩებს გზავნიდა საჩუქრებით. მას ესმოდა, რომ მარტო საკუთარი ძალებით ირან-ოსმალეთის გავლენისაგან თავს ვერ დაიხსნიდა. ამიტომ ელჩებს ევროპაშიც გზავნიდა. რომში დაარსეს ე. წ. „პროპაგანდის კოლეგია", რომელმაც საქართველოში გამოგზავნა მისიონერები. ამ მისიონერებს ქართლში არახელსაყრელი პირობები შეექმნათ და ისინი სამეგრელოში გადავიდნენ. ორმა მათგანმა, არქანჯელო ლამბერტიმ და დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ დაგვიტოვეს სამეგრელოს მშვენიერი აღწერილობანი. პირველმა — „სამეგრელოს აღწერა", ხოლო მეორემ—„წერილები საქართველოზე". ლევან დადიანმა წერილიც გაუგზავნა რომის პაპს ურბან VIII-ს, რომელშიც თხოვდა, გამოეგზავნა ხელოსნები. აღსანიშნავია, რომ ლევან დადიანს ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთანაც. მან რუსეთს ელჩიც გაგზავნა — გაბრიელ გეგენავა, ხოლო რუსეთიდან ელჩებად მას ეწვივნენ დიაკი ელჩინი და დიაკი ზახარიევი. ლევან დადიანს მიმოწერა ჰქონია პოლონეთის მეფესთანაც.

ლევან დადიანს სურდა გამხდარიყო მთელი დასავლეთ საქართველოს მპყრობელი და ამიტომაც ებრძოდა იმერეთის მეფეებს გიორგი III-სა და ალექსანდრე III-ს. მის დროს ოდიშის სამთავრომ ძლიერების ზენიტს მიაღწია. ლ. დადიანს რამდენიმე ზარბაზანი ჰქონია. ამ ზარბაზნებით იგი ქუთაისს მიადგა, მეფის სასახლე ერთიანად მიმოანგრია, რამდენიმე უბანი გააცამტვერა და უკან დაბრუნდა.

ცხადია, ლევანის ასეთი მოქმედება შეცდომა იყო. ძმათა შორის ომი სასარგებლო იყო თურქეთისათვის, რომელიც ამით ბევრს იგებდა.

ლევან დადიანმა, ეკონომიურად შედარებით მძლავრი გახადა სამთავრო; მისი ჭკვიანი პოლიტიკის წყალობით სამთავროზე თავდასხმები შეწყდა. აღმავლობა დაეტყო მიწათმოქმედებას, ვაჭრობას. ლევან დადიანმა ჩხარიდან გადმოასახლა 50 ვაჭარი, რომლებსაც მახლობელ ქვეყნებში გზავნიდა. მან ააშენა პატარა სავაჭრო ქალაქი რუხი.

დიდია ლევან II დადიანის ღვაწლი ქართულ კულტურაში. ლევან დადიანმა უბრძანა თავისთან ტყვედ მყოფ იმერეთის მეფის მდივანს — მამუკა თავაქარაშვილს გადაეწერა და დაესურათებინა „ვეფხისტყაოსანი". თავაქარაშვილმა შეასრულა დავალება და ახლა ჩვენ გვაქვს მშვენიერი მინიატურები, რომლებითაც დასურათებულია პოემის ერთ-ერთი საიუბილეო გამოცემა.

ლევანმა გაალექსინა „ომაინიანი", — „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელების გაგრძელება.

ლევან II დადიანმა შეაკეთებინა სამეგრელოს უამრავი ეკლესია-მონასტერი. მისი თანამედროვის გადმოცემით, ლ. დადიანს რამდენიმე ოქრომჭედელი ჰყოლია, რომლებსაც საეკლესიო ჭურჭელს აკეთებინებდა. მან შეაკეთებინა და მამულები უბოძა ცაიშის, ილორის, წალენჯიხის, ხობისა და სხვა ეკლესია-მონასტრებს.

ლევან დადიანმა შეაკეთებინა იერუსალიმის ჯვარის მონასტერი, რო-

---



### 10 მილიონი შიმშილისაგან იხოცება

სპეციალისტების მტკიცებით, ამჟამად მთელი მსოფლიოს მოსახლეობას აკლია 50 მილიონი ტონა ხორცი, 50 მილიონი ტონა ხილი, 5,5 მილიონი ტონა ცხიმი და მცენარეული ზეთი. მოსახლეობის 10—15 პროცენტი შიმშილობს. ადამიანთა რაოდენობის 58 პროცენტი დღეში ჭამს 15 გრამზე ნაკლებ ხორცს, 17 პროცენტი კი 30 გრამზე ცოტა მეტს. ყოველწლიურად 10 მილიონი შიმშილისაგან იხოცება. განსაკუთრებით ბევრი შიმშილობს ინდოეთში, პაკისტანში, ცეილონში, ბირმაში, სამხრეთ ვიეტნამში, აგრეთვე სამხრეთ ამერიკისა და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში.

### როდის შევწყვეტთ ფეხით სიარულს?

ინგლისის ერთ-ერთი ფეხსაცმელების ფირმის ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, რომ 50 წლის უკან, „ავტომობილისწინა" ეპოქაში ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე საშუალოდ 750 ათას კილომეტრს გადიოდა ფეხით, ამჟამად კი 102 ათას კილომეტრს ფარავს ქვეითად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გადიდდა. ექსპერტები საგონებელს მიეცნენ: **ხომ არ ემუქრებაო** ფეხსაცმელების ფირმას გაკოტრება 50 წლის შემდეგ?

### წელიწადში 12,2 მილიონი ავტომობილი

ავტომანქანების რაოდენობა ყოველწლიურად დიდი სისწრაფით იზრდება. 1965 წლის ბოლოსათვის მთელ მსოფლიოში იყო 178 მილიონი ავტომობილი, მათგან 185 მილიონი მსუბუქი ავტომანქანა იყო, 38 მილიონი კი — საბარგო. დედამიწის მოსახლეობამ მარტო ერთ წელიწადში 12,2 მილიონი ავტომობილი მიიღო.



### ყველაზე დიდი სანთელი

ყველაზე დიდი სანთელი, რომელიც რამდენიმე ტონას იწონის, გააკეთეს ამერიკე



ლი მილიარდერის პიერპონტ მორგანის მემკვიდრეთა შეკვეთით. იგი დადგეს რომში, წმიდა პეტრეს ტაძარში. სულ ანთებული რომ ყოფილიყო, ეს სანთელი 9 წელიწადში დაიწვოდა. მაგრამ მემკვიდრეების სურვილის თანახმად, მას მარტო დიდი მარხვის დღეებში და იმ დროს ანთებენ, როცა ტაძარში მორგანის სულის მოსახსენიებელი პარაკლისია. ეს უზარმაზარი სანთელი მხოლოდ რამდენიმე ათასი წლის შემდეგ დაიწვება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელსაც საკურთხევლის ზევითა კონქი ჩამონგრეოდა. აღსანიშნავია, რომ ჯვარის მონასტერი, რომელსაც არავითარი მატერიალური სახსრები არ გააჩნდა, ვალებში ჩავარდა. ლევან დადიანმა გამოიხსნა მონასტერი. ლ. დადიანმა სამჯერ გაგზავნა იერუსალიმს კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, რომელმაც იქ დიდი შეწირულობანი ჩაიტანა. ვისაც წაუკითხავს. ირ. აბაშიძის „პალესტინის დღიური", ალბათ გაახსენდება იქ მოხსენებული დიდი ოქროს მოთვალმარგალიტებული ჯვარი; ეს ჯვარი ლევან დადიანის შენაწირია.

1643 წელს ლევან დადიანის სახსრებით ჩატარდა ჯვარის მონასტრის რესტავრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი მოღვაწე ნიკოლოზ (იგივე ნიკიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი.

ღვაწლმა, რომელიც ლევან II დადიანმა დასდო ქართულ ეკლესიამონასტრებს, „ვეფხისტყაოსანს" და სხვ., იგი ჩააყენა ქართული კულტურის მოამაგეთა რიგებში.

ილია ანთელავა.



### უძველესი ქსოვილი

უველაზე ძველი ქსოვილი იპოვეს თურქმა არქეოლოგებმა. ეს შალის ქსოვილი აღმოჩენილი იქნა ძველი ქალაქის — ქათალნუკის ნანგრევებში. არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ ნაპოვნი ქსოვილის ასაკი 9 ათასი წელი.

### კანონი კანონია

ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში დღესაც მოქმედებს არაერთი, ყოვლად უაზრო კანონი. აი, რამდენიმე მათგანი:

ილინოისის შტატში ქალს შეიძლება ციხეში უკრან თავი, თუ იგი ერთიდაიმავე მალაზიაში ექვს ქვედაკაბაზე მეტს გაიზომავს.

კალიფორნიაში ვისაც მონადირის ბილეთი არა აქვს, სათაგურს ვერ დაიდგამს.

მიჩიგანის შტატში აკრძალულია ნავით ცურვა ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით.

არიზონში საპნის ქურდი საჯაროდ უნდა გაიქაფოს მანამ, სანამ საპნის ნაჭრისაგან არაფერი არ დარჩება.

მეხის შტატში არავის არა აქვს უფლება ხახუნარი დაუყვიროს

## წისქვილი



### შალვა შუბლაძე

ბორგავს, წუწუნებს წისქვილი:
„ქვეყნის პატრონად დამაგდეს,
ვის ვეცოდები, მითხარით,
მე რომ ოფლსა ვღვრი აქამდე.
როდემდე ვზიდო ჭაპანი—
შიგ რომ მარტოკა შევბმივარ,
სანამ ვარჩინო ქვეყანა,
რომ შემომცქერის ნებივრად?"
თოვლის ქვეშ თვალებს გაახელს
პურის ჯეჯილი მძინარი;
გამოიღვიძებს მინდორი
და ყანა ნასიმინდარი;
გუთანი ტრაქტორს გახედავს,
აუვარდებათ სიცილი:
„ჯეჯილმა თუ არ იხარა,
რის მაქნისია წისქვილი?!"

ზოგ-ზოგს ჰგონია—ამ სოფლად
მხოლოდ იგი ჭრის,
იგი თლის,
და სხვათა ნაშრომ-ნაოფლარს
საკუთარ ღვაწლად მიითვლის.

## ტრაბახა ლოქორა



— მთელ დედამიწას მოვივლი,—
დაიტრაბახა ლოქორამ,—
თუ სიტყვა სიტყვად დამირჩეს,
თავს დამაყარეთ ქოქოლა.

დილიდან დაღამებამდე
არ შეისვენა,
სულ არა,
მაგრამ არ იქნა,—ჩალის ზვინს
ირგვლივ ვერ შემოუარა.
ჩამოჭრილ ჩალის ღეროზე
ჩამოჯდა ბოლოს მკვეხარა,
თქვა:
— მართლაც უსასრულოა
ეს დალოცვილი ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტაჯიკური ხალხური ზღაპარი

მდინარის პირას აქლემი ბალახობდა, იქვე დასუნსულებდა ტურა. მდინარის გაღმა კი ქათმები ქექავდნენ მიწას.

ტურას ქათმების დანახვაზე პირში ნერწყვი მოადგა და გაიფიქრა: „ეჰ, ნეტა ერთი ვარია ჩამახრამუნებინა!.. მაგრამ, როგორ გადავცურო ეს შლეგი მდინარე?“

იფიქრა, იფიქრა, მერე აქლემთან მივიდა და უთხრა:

— ძმაო აქლემო! ვიცი, ტკბილეული გიყვარს, არ გინდა პირი ჩაგატკბარუნებინო?

— მერე, რითი?—ჰკითხა აქლემმა.

— მდინარის გაღმა ბევრი შაქრის ლერწამია, - უთხრა ეშმაკმა ტურამ.—ამ სიმაღლე ფეხები გაქვს, მდინირის გადაცურვა არ გაგიძნელდება. მეც ზურგზე შეგაჯდები და ერთად უფრო სწრაფად გავალთ გაღმა ნაპირზე. აბა, ერთი დაიხარე—ზურგზე შეგაჯდე.

აქლემმა მორჩილად ჩაიჩოქა.

ტურა მოხერხებულად ჩაჯდა კუზებშუა და არხეინად გადავიდა მდინარის მეორე ნაპირზე.

მადლობაც არ უთქვამს აქლემისათვის, სწრაფად ჩამოხტა და დაერია ქათმებს.

აქლემს კი, შაქრის ლერწმის მაგივრად, იქ გამხმარი ბუჩქებიღა დახვდა.

ამასობაში, ტურამ ერთი ქათამი დაიჭირა, ხელად გიგლიჯა და გემრიელად ჩაახრამუნა.

დანარჩენი ქათმები დაფრთხნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ქათმების კრიახზე კეტმომარჯვებული გლეხები მოცვივდნენ.

ტურამ ეშმაკურად ჩაიღიმა და სწრაფად შეძვრა ბუჩქებში, სადაც აქლემი ბალახს სძოვდა. მიცვივდნენ გლეხები უდანაშაულო აქლემს და ცემა დაუწყეს.

მაგრად დაბეგვილმა აქლემმა ძლივს დააღწია თავი გლეხებს და მდინარისაკენ მოკურცხლა.

ამ დროს ტურამ გადაუღობა გზა და უთხრა:

— ძმაო აქლემო, ნუთუ იმდენი სინდისი არა გაქვს, რომ აქა მტოვებ?

— შენ ქათამი მიირთვი, მე კი კეტებით ზურგი ამიჭრელეს!—მიუგო გაბრაზებულმა აქლემმა.

— შენ თვითონა ხარ დამნაშავე,—გააწყვეტინა ტურამ.—შენც რომ ჩემსავით სწრაფად გამოქცეულიყავი, ხომ ვერავინ ვერ დაგეწეოდა.

— არა, ერთი ეს მითხარი, გაღიმებული რატომ მორბოდი ჩემსკენ?

— გაღიმებული? მე ხომ ეს ჩვეულება მაქვს: მაძღრისად ჭამის მერე სახე სულ მიღიმის,—ურცხვად მიუგო ტურამ.

— დიდებული ჩვეულება გქონია,—უთხრა აქლემმა დაცინვით.—კარგი, შემაჯექი ზურგზე.

შეაჯდა ტურა აქლემს ზურგზე და შევიდნენ მდინარეში. შუამდე რომ მივიდნენ, აქლემი გაჩერდა.

— რას გაჩერდი?—წამოიძახა შეშინებულმა ტურამ.

— მე ასეთი ჩვეულება მაქვს—ნაცემი თუ ვარ, უნდა ვიბანაო. არ შემიძლია, ერთხელ მაინც თუ არ ჩავყურყუმალავე!—მიუგო აქლემმა.

— ვაიმე, ვაიმე!—დაიყვირა სასოწარკვეთილმა ტურამ,—შენ რომ ჩაყურყუმალავდები, მე ხომ დავიხრჩობი!..

— ძალიანაც კარგი იქნება. ახია შენზე!—თქვა აქლემმა მშვიდად და ჩაყურყუმალავდა. უმადური და მატყუარა ტურა კი მდინარის სწრაფმა დინებამ გაიტაცა.

თარგმნა მერი ჭიაბრიშვილმა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვოლტერი** (მე-18 საუკუნის ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი - განმანათლებელი): თუ ადამიანს მახინჯი სახე აქვს, შეუძლია იგი ნიღაბით დამალოს. მაგრამ ხომ არ შეუძლია ასევე მოიქცეს, თუ ხასიათი არ უვარგა?

**დემოკრიტე** (ჩვ. წ.-მდე IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი): ადამიანთა კეთილშობილება მათს კარგ ხასიათში ვლინდება.

**ნ. დობროლიუბოვი** (მე-19 საუკუნის რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, ფილოსოფოსი და კრიტიკოსი): ხასიათი ადამიანთან ერთად არ იბადება, იგი აღზრდით შეიძინება და საბოლოოდ ყალიბდება ცხოვრების შემდგომ მღელვარებებში.

**კ. მარქსი, ფ. ენგელსი**: თუ ადამიანის ხასიათს გარემოებები ქმნიან, მაშინ, მაშასადამე, ეს გარემოებანი ადამიანური უნდა გავხადოთ.

**ჰ. ჰაინე** (მე-19 საუკუნის გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი): ნიჭს ერთადერთი გამოვლინებითაც ვიცნობთ, ხასიათის გამოსაცნობად კი ხანგრძლივი დრო და მუდმივი ურთიერთობა გვჭირდება.

**ჟ. ლაბრიუიერი** (მე-17 საუკუნის ფრანგი მწერალი-მორალისტი): როდესაც ადამიანი მისთვის უცხო ხასიათს ავლენს, ხოლო შემდეგ კვლავ თავის ბუნებრივ ხასიათს უბრუნდება, თითქოს ნიღაბს იხდის.

**გ. ლიხტენბერგი** (მე-18 საუკუნის გერმანელი მოაზროვნე): ადამიანის ხასიათში არის ისეთი რაღაც, რომელსაც ვერ გასტეხ: იგი ხასიათის ხერხემალია.

**ჰეგელი** (მე-19 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი): მოქმედებისათვის უმთავრესად საჭიროა მტკიცე ხასიათი, ხოლო მტკიცე ხასიათის კაცი ის არის, ვისაც მუდამ თვალწინ უდგას გარკვეული მიზანი და შეუპოვრად იბრძვის მისი განხორციელებისათვის.

**ე. კანტი** (მე-18 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი): ხასიათი იგივეა, რაც პრინციპების მიხედვით მოქმედების უნარი.

... ხასიათი წარმოადგენს მტკიცე გადაწყვეტილებას — რისი გაკეთებაც გსურს, ნამდვილად გააკეთო. „ვაჟკაცი ურყევი უნდა იყოს თავისი წინასწარდასახულების შესრულებაში, — ამბობს ჰორაციუსი, — აი, ეს არის ნამდვილი ხასიათი!“

ის, რაც ზნეობის საწინააღმდეგოა, ცხადია, აქ არ იგულისხმება.

---

ტომი: მამა, ჩვენმა მასწავლებელმა არ იცის რა არის ცხენი.

მამა: რატომ გგონია ასე?

ტომი: გუშინ ცხენი დავხატე და მასწავლებელს ვაჩვენე. მან კი მკითხა, ეს რა არისო.

---

მასწავლებელი: მითხარი, ტომ, რომელ ბრძოლაში დაიძახა გენერალმა ვულფმა: „ჩვენ ვიმარჯვებთ და ბედნიერნი ვკვდებითო“?

ტომი: თავის უკანასკნელ ბრძოლაში, მასწავლებელო.

---

მასწავლებელი: (ახალ მოსწავლეს) რა გქვია, ბიჭიკო?

ახალი მოსწავლე: ნიკ უაიტი.

მასწავლებელი: როცა მასწავლებელს ელაპარაკები, უნდა მიმართო: „სერ“.

ახალი მოსწავლე: სერ ნიკ უაიტი.

---

ნიკი: ანა, გეთაყვა, მათხოვე შენი კალამი.

ანა: შენც ხომ გაქვს კალამი, რატომ იმით არა წერ?

ნიკი: იმიტომ რომ, ჩემი კალამი ბევრ შეცდომას უშვებს.

---

მამა: ტომ, შვილო, დღეს შენს მასწავლებელს ველაპარაკე. ახლა კი შენ მითხარი, ვინ არის ყველაზე ზარმაცი თქვენს კლასში?

ტომი: მე რა ვიცი, მამა!

მამა: როგორ არ იცი! აბა, კარგად დაფიქრდი! როცა დანარჩენები წერენ ან კითხულობენ, ვინ არის ის, ვინც არც წერს, არც კითხულობს და სხვებს უყურებს, როგორ მუშაობენ?

ტომი: ჩემი მასწავლებელი.

---

მასწავლებელი: ვთქვათ შენს ძმას ხუთი ვაშლი აქვს და შენ ორი გამოართვი, რა იქნება შედეგი?

ტომი: მიმტყეპავს, მასწავლებელო.

---

— დედიკო, მე მინდა არქტიკის მკვლევარი გავხდე.

— ძალიან კარგი, შვილო.

— მაშ, ვარჯიში ახლავე უნდა დავიწყო. მომეცი ექვსი პენსი ნაყინისთვის, რომ სიცივეს აქედანვე შევეჩვიო.

ინგლისურიდან თარგმნა
ნუგზარ რუხაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## მთვარის ყვავილი

ბუნებაში არაერთი ყვავილი გვხვდება. რომელიც მხოლოდ დღისით, მზის სინათლეზე შლის ყვავილს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც მხოლოდ ღამე იშლებიან. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ მხვიარა მცენარეს „მთვარის ყვავილს“ უწოდებენ.

რადგან ეს მცენარე მხვიარაა, მისი ნორმალური განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა მავთულის გაბმა, ან სხვა რაიმე საყრდენი. ბუნებრივ პირობებში ის საამისოდ იყენებს სხვა მცენარეებს, — მათზე ეხვევა ხოლმე. ეს მცენარე აკლიმატიზებული იქნა საბჭოთა კავშირში, ხოლო რამდენიმე წლის წინათ აშხაბადიდან შემოიტანეს თბილისშიც.

ახლა, ყოველ გაზაფხულზე, თბილისის ბაღებს ამშვენებს ეს ლამაზი მხვიარა. იგი მზის ჩასვლას უცდის, რომ გაშალოს თავისი დიდრონი, თეთრი, ქათქათა, ვარსკვლავისებური ყვავილები. როგორც კი მზე ჩავა, კოკრებად შეკრული ყვავილები იწყებენ გაშლას. ეს პროცესი წუთიწუთნახევრის განმავლობაში მთავრდება. დაკვირვებულ თვალს ადვილად შეუძლია შეამჩნიოს მთვარის ყვავილის ეს უცნაური მოძრაობა. ასე ხდება მზის ჩასვლისას; ხოლო მზის ამოსვლისას — პირიქით: ყვავილები სწრაფად იკეცებიან — თითქოს მზის სხივებისა ეშინიათო. და ეს მართლაც ასეა: სწორედ მზის სხივებს ემალებიან ნაზი და ქათქათა ყვავილები. ისინი მხოლოდ მთვარის ნაზ სხივებს ხვდებიან თამამად და გულგაშლილად.

## დიდფოთოლა მცენარე

თბილისის ბოტანიკურ ბაღში მრავალ საინტერესო მცენარეს ნახავთ. ერთი საკვირველი მცენარე საგანგებოდ აგებულ ორანჟერეიაშია. აქ, წყლის აუზში, თავის მეორე სამშობლო უპოვნია ამაზონკის სანაპიროს მკვიდრს — ვიქტორია კრუციას. მისი ფოთლების სიგანე ორ მეტრს აღწევს. ასეთი ბუმბერაზი ფოთლები ღეროზე მიმაგრებულია წვრილი ყუნწებით. ფოთლებს ახასიათებთ იშვიათი გამძლეობა, თითოეული მათგანი 35-40 კილოგრამი სიმძიმის ტვირთს უძლებს.

ვიქტორია კრუცია ორანჟერეიაში დარგვის პირველსავე წელს ჰყვავის, თითოეული ყვავილის სიგანე 35 სანტიმეტრია.

გ. დათუაშვილი.



## ჩიმბორასოდან ჯომოლუნგმამდე

დედამიწის ზედაპირის —მწვერვალების მთების, ვაკეების, ვარდნობებისა და სხვათა სიმაღლეების დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული დახასიათებისათვის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ახალი გაზომვების შემდეგ, ადგილთა სიმაღლეები სულ უფრო ზუსტდება და რუკებზე სიმაღლეთა აღმნიშვნელი რიცხვებიც იცვლება.

დედამიწის შესწავლასთან დაკავშირებით იცვლებოდა მისი ზედაპირის უმაღლესი წერტილიც— „სიმაღლის პოლუსი“. ახლა ყველა მოსწავლემ იცის, რომ დედამიწის ზედაპირის უმაღლეს წერტილს მწვერვალი ჯომოლუნგმა წარმოადგენს. მაგრამ ადრე დედამიწის უმაღლეს წერტილად სხვა მწვერვალებს თვლიდნენ.

1745 წლიდან 1818 წლამდე დედამიწის უმაღლეს მწვერვალად ითვლებოდა ჩიმბორასო (ინდიელების ენაზე — თოვლიანი მთა). ჩიმბორასო არის ჩამქრალი ვულკანი, რომელიც კორდილიერებში, ეკვადორის სახელმწიფოში მდებარეობს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 6310 მეტრს აღწევს.

1818 წლიდან დედამიწის უმაღლესი წერტილის დიდება მწვერვალ დავალაგირზე (დჰაულაგირი) გადავიდა, რომელიც ცენტრალურ ჰიმალაიში, ნეპალში მდებარეობს, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 8222 მეტრს აღწევს. შემდეგი გაზომვით კი დადგინდა, რომ დავალაგირის მახლობლად მდებარე კანჩენჯანგა 8585 მეტრი სიმაღლისა ყოფილა და პირველობაც მას გადაელოცა. გასული საუკუნის შუა წლებამდე იგი ითვლებოდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალად. 1852 წელს ჩატარებული ტოპოგრაფიული გაზომვების მიხედვით კი გამოირკვა, რომ დედამიწის უმაღლესი წერტილია ცენტრალურ ჰიმალაიში მდებარე 8848 მეტრი სიმაღლის მქონე „პიკი XV“ (გასულ წლებში მიღებული იყო რიცხვი 8884 მ), რომელსაც 1856 წელს ევერესტი უწოდეს. ეს სახელწოდება ინდოეთის ტოპოგრაფიული აგეგმვის ხელმძღვანელის ინგლისელ ჯორჯ ევერესტის პატივსაცემად მიუღია მწვერვალს. სინამდვილეში კი ჯ. ევერესტს ამ აღმოჩენასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, რადგან იგი ამ დროისათვის (1856 წ.) ინდოეთიდან ოთხი წლით ადრე ყოფილა წასული. ამ მწვერვალის ნამდვილი სახელი არის ჯომოლუნგმა, რაც შერპების ენაზე ღმერთების სამყოფელს ნიშნავს.

შ. გოგატიშვილი.



თუ შპალერს ლაქები გაუჩნდება — არ დაღონდე, წაუსვი მას ბენზინში გაქლენთილი კბილის საწმენდი ფხვნილი და, როცა გაშრება, ჩამობერტყე ტანსაცმლის საწმენდი ჯაგრისით. როცა ამ პროცესს რამდენიმეჯერ გაიმეორებ, თვითონ დარწმუნდები, რომ ახალი შპალერის გაკვრა აუცილებელი აღარ იქნება.

---

ვიდრე იხმარდე ჩაქუჩს, პატარა უროს, ნაჯახს, ან სხვა მათ მსგავს იარაღს, არ დაგავიწყდეს შეამოწმო, — საიმედოდ არის თუ არა ტარზე წამოგებული თავი სოლით დამაგრებული. უმნიშვნელო დაუკვირვებლობასაც კი დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. (დახედე ნახატს).

---

„გაჯიუტდა“ ძველი, დაჟანგებული ჭანჭიკი



ან ქანჩი, ვერა და ვერ მოხსენი, არადა, მისი მოხსნა აუცილებელია. როგორ მოიქცე? უნდა სცადო მისი ადგილიდან დაძვრა ჩახრახნით და შემდეგ ამოხრახნო. თუ აქედან არაფერი გამოვიდა, აიღე ჩაქუჩი და ფრთხილად შემოუკაკუნე ირგვლივ. არც ამან უშველა? დააწვეთე ნავთი ან თხელი ზეთი და დაუცადე, ვიდრე ნავთი ან ზეთი ჭრილში ჩააღწევდეს. თუ ამანაც არ უშველა, მაშინ „დააგრძელე“ ქანჩსაღების ან სახრახნისის ტარი და ფრთხილად მოაბრუნე. (დახედე ნახატს).

---

ვთქვათ, დაგჭირდა ქანჩის მოხსნა, მაგრამ არ აღმოგაჩნდა საჭი-





რო ზომის ქანჩსაღები. როგორ მოიქცე? აიღე ორი ჩვეულებრივი ბრტყელი ქლიბი და ლითონის რგოლი (დახედე ნახატს). ასეთი იარაღით ყოველგვარი ზომის ქანჩს მოხსნი. სხვათაშორის, ამავე იარაღით შეგიძლია წყალსადენის მილების მოხსნაც.

---

ლითონის პაწია მილს ვიდრე სასურველ ფორმას მისცემდე, უწინარეს ყოვლისა, მასში მშრალი სილა ჩაჰყარე, აავსე და ისე მოხარე, თორემ მილი დაიჭეჭყება, გაბრტყელდება. მაგრამ, თუ მილის კედლები სქელია, მოხრის ადგილი წინასწარ გაახურე.



# ყველაზე საოცარი ნივთიერება

რომელია ჩვენთვის ცნობილ ნივთიერებათა შორის ყველაზე საოცარი? საეჭვოა, ვინმემ თქვას: წყალიო. და ეს გასაგებიცაა, რადგან წყალი ყველაზე ჩვეულებრივი რამაა ჩვენს პლანეტაზე, ჩვეულებრივში კი ვერასოდეს ვერ ვხედავთ უჩვეულოს. მაგრამ, აბა ცოტა დაფიქრდით და თვითონვე დაასკვნით, რომ სწორედ ეს ჩვეულებრივი ნივთიერება არის ყველაზე საოცარი. დედამიწაზე არც ერთი სხვა ნივთიერება არ გვხვდება ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც წყალი, თანაც ერთსა და იმავე დროს — სამ მდგომარეობაში: მყარ, თხევად და გაზობრივ მდგომარეობაში.

წყალი რომ არა, ჩვენი პლანეტა რა ხანია გაცივებული იქნებოდა და სიცოცხლეც მოისპობოდა მასზე. საქმე იმაშია, რომ წყალი არაჩვეულებრივად სითბოტევადია, ესე იგი წყლის გასათბობად გაცილებით მეტი სითბოს დახარჯვაა საჭირო, ვიდრე იმავე რაოდენობის სხვა ნივთიერების გასათბობად. გაცივებისას წყალი უკანვე აბრუნებს ამ სითბოს. კოსმოსური სიცივე დიდი ხნის წინათვე მოაღწევდა დედამიწამდე, რომ იგი, დედამიწა, „ბამბის თბილ ქურქში“ არ იყოს შეფუთვნილი. ეს ქურქი პლანეტის ატმოსფეროა, თბილი ბამბის როლს კი წყლის ორთქლი ასრულებს. უდაბნოებში, სადაც წყლის ორთქლი ჰაერში ძალზე მცირეა, დღისით მიწა ძლიერ ხურდება (რადგან მას არაფერი არ იცავს მზისაგან), ღამე კი ცივდება. ამიტომაა უდაბნოებში ტემპერატურის დიდი რყევადობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც დედამიწა, „ქურქში გახვეულიც" კი, უსათუოდ გაიყინებოდა, წყალს რომ არ გააჩნდეს კიდევ ერთი განსაცვიფრებელი თვისება. როგორც ცნობილია, გაცივების შედეგად თითქმის ყველა ნივთიერება იკუმშება. მხოლოდ ერთად-ერთი—წყალი ფართოვდება. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, წყალი რომ გაცივების შედეგად იკუმშებოდეს. ყინული უფრო მძიმე იქნებოდა წყალზე და ვერ იტივტივებდა მის ზედაპირზე, ფსკერზე ჩაიძირებოდა და იქ არასოდეს არ გადნებოდა. დედამიწაზე არსებული წყალი (მასთან ერთად, წყლის ორთქლიც) თანდათანობით გადაიქცეოდა ყინულად და, ჩვენს პლანეტას, თბილი ქურქის ნაცვლად, გარს შემოერტყმოდა წყლის ორთქლს მოკლებული გაზობრივი ატმოსფერო.

კიდევ ერთი საკვირველი თვისება აქვს წყალს: ამა თუ იმ რაოდენობის წყლის ასაორთქლებლად ან ყინულის გასადნობად ძალიან ბევრი სითბოა საჭირო. მხოლოდ ამ თვისების წყალობითაა შესაძლებელი ცხელი ჰავის ქვეყნებში ცხოვრება. ადამიანები და ცხოველები თავიანთი სხეულის ტემპერატურას მხოლოდ იმის მეოხებით ინარჩუნებენ, რომ ორგანიზმში დაგროვილი წყლის ასაორთქლებლად სითბოს დიდ რაოდენობას ხარჯავენ.

წყლის საოცარ თვისებათაგან ყველაზე ნაკლებად ცნობილია მისი უნარი — შექმნას თავის ზედაპირზე მეტისმეტად მტკიცე აპკი. საქმე იმაშია, რომ წყლის მოლეკულები ძლიერ იზიდავენ ერთმანეთს. წყლის ყველაზე ზედა ფენაში მოლეკულების მძლავრი ურთიერთმიზიდულობა ზედაპირზე თითქოს აპკსა ქმნის. ეს აპკი ისეთი გამძლეა, რომ, თუ მასზე ზუსტად ჰორიზონტალურად და ფრთხილად დავდებთ ისეთ საგნებს, რომელთა ხვედრითი წონა გაცილებით მეტია წყლისაზე (ვთქვათ, ფოლადის ნემსს, ფოლადის ფირფიტას). ისინი არ ჩაიძირებიან, წყლის ზედაპირზე იტივტივებენ.

მეცნიერებმა შენიშნეს. რომ რაც უფრო სუფთაა წყალი, მით უფრო მტკიცეა მისი ზედაპირი. წყალში გახსნილი ნივთიერებების (პირველ რიგში გაზების) მოლეკულები წყლის მოლეკულებს შორის „გაეჩხირებიან" ხოლმე და ამით ამცირებენ წყლის აპკის გამძლეობას. დედამიწაზე რომ არსებობდეს სრულიად სუფთა წყლის ტბა, თუნდაც ისეთი წყლისა, რომლის მიღებაც ლაბორატორიაში შეიძლება, ამ ტბის ზედაპირზე ადამიანები არხეინად ისეირნებდნენ ფეხით და იციგურავებდნენ კიდეც, როგორც ნამდვილ ყინულზე.

ჟურნალიდან „იუნი ნატურალისტ".

# სარჩევი


გვ.

**რ. ჯაფარიძე**—ჯიმარაის ტუსაღები (მოთხრობა) . . 2

**თ. ცაგარელი** — შავი ზღვის პირას (ნარკვევი) . . . 9

**თ. ბერიძე** — ძველი და ახალი (ფოტონარკვევი) . . 12

**ტ. მებურიშვილი** — მომაგონდება; და უხაროდა აცდენა საფანტს; გზები, გზები... (ლექსები) . . . 14

**კ. მაჩაბელი** — ქანდაკება (წერილი) . . . . . 15

**რ. ქორქია** — ზაქარია ჭიჭინაძე (მოგონება) . . . 18

ახალი წიგნები . . 19

**რ. ელანიძე** — ბროლის ხეობა (ნაწყვეტი მოთხრობიდან) . . . . . . 20

**ი. ანთელავა** — ლევან დადიანი (წერილი) . . . 25

ჯადოსნური სარკე 26

**შ. შუბლაძე** — წისქვილი; ტრაბახა ლოქორა (ლექსები) . . . . . . . 27

აქლემი და ტურა (ტაჯიკური ზღაპარი. თარგმნა მ. ჭიაბრიშვილმა) . . 28

ოქროს საწმისი . . 29

უცხოური იუმორი . 29

ბუნების კარი . . 30

**შ. გოგატიშვილი** — ჩიმბორასოდან ჯომოლუნგმამდე (წერილი) . . . . 30

გამოცანები . . . 31

საინტერესო თემაზე . . . . . . . 31

**ვ. ნიკოლაძე** — როგორ შევადგინოთ კროსვორდი? (წერილი) . გარეკ. . 3

თავშესაქცევი გარეკ. 3


გარეკანის პირველ გვერდზე — „ლახტი", მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ ქვარაცხელია. ხერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა(?) ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი). მარიჯანი. თენგიზ სამხონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

„ПИОНЕРИ". На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91 [illegible]

ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ

# როგორ შევადგინოთ

# კროსვორდი?

„კროსვორდი" ინგლისური სიტყვაა და სიტყვების გადაჯვარედინებას ნიშნავს. იგი თავშესაქცევი, გასართობი ამოცანაა. უამრავ, ჟამამდე უცნობ, საინტერესო სიტყვების მნიშვნელობას გაიგებთ, როცა კროსვორდის ამოხსნისას მოიშველიებთ სხვადასხვა ლექსიკონს, ენციკლოპედიას, ცნობარს...

ვინც სისტემატურად კითხულობს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, უსმენს რადიოს, მას სიტყვების მარაგიც დიდი აქვს და კროსვორდის ამოხსნაც უადვილდება.

ალბათ ბევრ თქვენგანს ებადება კროსვორდის შედგენის სურვილი. ეს კი არც ისე რთული საქმეა, — მისი შედგენა ყველას შეუძლია, ოღონდ ამისათვის საჭიროა კროსვორდის შედგენის ძირითადი წესების ცოდნა.

როგორია ეს წესები? საერთოდ, რით უნდა დავიწყოთ?

კროსვორდის ზოგიერთი შემდგენელი ჯერ სიტყვებს შეარჩევს (თემატური კროსვორდის შექმნის დროს), შემდეგ აკეთებს სათანადო ნახაზს. ზოგი პირიქით — პირველად ნახაზის ფორმას მოიფიქრებს, შემდეგ მოძებნის საჭირო სიტყვებს.

კროსვორდის ნახაზის გაკეთება უჯრედებიანი რვეულის ფურცელზე უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ქაღალდზე.

კროსვორდში უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში ჩასმული მარტივი არსებითი სახელები.

არ შეიძლება იმ ნაწარმოებების, ქალაქების, მდინარეების, გამოჩენილი ადამიანებისა და სხვა საგნების სახელების ხმარება, რომლებიც შედგებიან ორი და მეტი სიტყვისაგან, ან იწერებ[illegible]სით. მაგალითად: ბაში-აჩუკი, ალმა-ატა, ტიან-შანი, [illegible] შჩედრინი, მამინ-სიბირიაკი, პორტ-არტური, ნიუ-იორკი და ასე შემდეგ.

საუკეთესოდ ითვლება კროსვორდის ნახაზი, რომლის ოთხივე მხარე სიმეტრიულია. შემდგენელის ამოცანაა სიტყვების ერთმანეთში კარგად „ჩახლართვა", ერთმანეთში ჩაქსოვება, თითოეული სიტყვა ორ სიტყვას მაინც უნდა ჰკვეთდეს. სიტყვების დანომვრა ხდება თანმიმდევრობით — ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად.

კროსვორდის შედგენის გაადვილების მიზნით, წიგნისა თუ ჟურნალ-გაზეთების კითხვის დროს ამოიწერეთ საინტერესო სიტყვები. დაახარისხეთ ასოების რაოდენობის მიხედვით და ჩაწერეთ ცალკეულ სვეტებში (ოთხასოიანი, ხუთასოიანი და ასე შემდეგ). სასურველია სიტყვები ჩაიწეროთ ანბანური წესით.

ვიდრე მოფიქრებულ სიტყვას კროსვორდის ნახაზში ჩასწერდეთ, იგი უნდა დააზუსტოთ ლექსიკონის, ენციკლოპედიის, ცნობარების, რუკების, ლიტერატურული ნაწარმოებების და სხვა საშუალებით, მოძებნოთ მისი მოკლე განმარტება. ისეთი სიტყვები, რომლებსაც მოკლე განმარტებები არ მოეძებნება, სასურველია არ იხმაროთ.

გახსოვდეთ, რომ კროსვორდისათვის განკუთვნილი სიტყვების განმარტებები უნდა დაიწეროს მოკლედ, მიახლოებით, მინიშნებით. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა „ფეხბურთი". თუ მას მივუწერთ განმარტებას, რომ ეს არის სპორტული თამაში ბურთით, რომლის დროსაც მასზე, ე. ი. ბურთზე ხელით შეხება არ შეიძლება, მაშინ, ცხადია, ადვილი გამოსაცნობი გახდება მოსაძებნი სიტყვა. ამიტომ, ამოხსნა ცოტა რომ გართულდეს, მას უნდა გავუკეთოთ მოკლე, ლაკონური განმარტება: „სპორტული თამაში".

კროსვორდის შედგენა ძალზე საინტერესო საქმეა, მაგრამ ვიდრე თვითონ შეეცდებით მის შედგენას, ხშირად უნდა ივარჯიშოთ მზა კროსვორდების ამოხსნაში.

ვ. ნიკოლაძე.

### აბა, სცადე!

შენს წინაშეა საათის ციფერბლატი; აბა სცადე და, ორი სწორი ხაზით გაჰყავი ციფერბლატი სამ ნაწილად ისე, რომ ყოველ მათგანში მოხვედრილი ციფრთა ჯამი ერთიდაიგივე იყოს.



### აბა, გამოიცანი!

1. ურალის ერთ-ერთი მდინარე ატარებს ყვავილის სახელს. რა ჰქვია ამ მდინარეს?

2. აფრიკის ერთ-ერთ მდინარეს ჰქვია სახელმწიფოს სახელი, ამ მდინარეზე არის ჩანჩქერი, რომელიც ატარებს გამოჩენილი მოგზაურის გვარს.

რა ჰქვია მდინარეს, რა გვარია მოგზაური და სადაურია იგი?

3. ჩვეულებრივ, როცა ქვეყანა მდინარის სახელს ატარებს, ეს მდინარე ამ ქვეყანაში უნდა მიედინებოდეს, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ქვეყანა სამხრეთ ამერიკაშია და მდინარე,—ჩრდილო ამერიკაში, ხოლო სახელები კი ერთნაირი აქვთ.

რა ეწოდება ამ მდინარეს და სახელმწიფოს?

დავით შავდია,
სოხუმის მე-6 საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლე.

### გეოგრაფიული ჩაინვორდი

1. 2. ქალაქები ციმბირში; 3. მდ. ციმბირში; 4. 5. ნახევარკუნძულები აზიაში; 6. მდინარე ჩინეთში; 7. სახელმწიფო აზიაში; 8. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 9. ქალაქი თურქეთში; 10. მდინარე საქართველოში; 11. ქალაქი რუსეთში; 12. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 13. ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე; 14, 15. სახელმწიფოები აზიაში; 16. მწვერვალი კავკასიონზე; 17. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა მიხეილ გადრიძემ.
გარდაბნის რ-ნის სოფ. ნორიოს საშ. სკ. VI კლ. მოსწავლე.



ИНДЕКС [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მუშა
და
კოლმეურნე
ქალი

მუხინა



ლაოკოონი



დავითი

მიქელანჯელო



მარსელიეზა

ფ. რიუდი